



Российский совет
по международным
делам



სამუშაო რვეული

რუსულ-ქართული
ურთიერთობები: განვითარების
ახალი გზების ძიებაში

III 2014

რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭო

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების
საერთაშორისო კვლევითი ცენტრი

**რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭო
კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი**

ავტორთა კოლექტივი:

ი. ხაინდრავა; პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. ა. სუშენცოვი;
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ი. სილაევი

გამომცემელი რედაქტორები:

პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატები: **ი. ნ. ტიმოფეევი; ტ. ა. მახმუტოვი;**
ნ. ქიზიყურაშვილი; ე. ს. ალექსეენკოვა; ა. მ. ელისეევი

რუსულ-ქართული ურთიერთობები: განვითარების ახალი გზების ძიებში:
სამუშაო რვეული. / [ი. ხაინდრავა, ა. ა. სუშენცოვი, ნ. ი. სილაევი]; [მთავარი
რედაქტორი ი. ს. ივანოვი]; რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭო (РСМД),
კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი
(ICCN). – მ., «სპეცნიგა», 2014. – 140 გვ. – ISBN 978-5-91891-363-5.

სამუშაო რვეული მომზადებულია კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების
საერთაშორისო კვლევითი ცენტრისა (ICCN) და რუსეთის საერთაშორისო
საქმეთა საბჭოს მიერ შევიცარის მთავრობის მხარდაჭერით «რუსულ-ქართული
დიალოგის ხელშეწყობის» პროექტის ფარგლებში. რუსი და ქართველი
ექსპერტებით წარმოდგენილმა ავტორთა კოლექტივმა ჩაატარა რუსეთისა და
საქართველოს ურთიერთობათა ნორმალიზების პროცესის ანალიზი. ჩატარებული
გამოკვლევების საფუძველზე რუსულმა და ქართულმა მხარეებმა შეადგინეს
რეკომენდაციების ჩამონათვალი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს რუსეთსა და
საქართველოს შორის ეფექტური ორმხრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

ნაშრომში გამოთქმული აზრი გამოხატავს ავტორების შეხედულებებს და
პოზიციას და შესაძლოა არ ემთხვეოდეს კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების
საერთაშორისო კვლევითი ცენტრის და არაკომერციულ პარტნიორობა რუსეთის
საერთაშორისო საქმეთა საბჭოს აზრს.

სარჩევი

| | |
|---|----|
| წინასიტყვაობა..... | 4 |
| ი. ხაინდრავა ასიმეტრია (ქართულ-რუსული ურთიერთობების საკითხისთვის)..... | 6 |
| ნ. ი. სილაევი, ა.ა. სუშენცოვი რუსეთი და საქართველო: რა იმაღება წითელ ხაზებს მიღმა? რუსულ-ქართული ურთიერთობების გრძელვადიანი დღის წესრიგისთვის..... | 32 |
| აგტორების შესახებ | 70 |

ეძღვნება სტამბულის პროცესის ფუძემდებლის,
გამოჩენილი ქართველი კონფლიქტოლოგის,
პროფესორ გიორგი ხუციშვილის ხსოვნას

რუსულ-ქართული ურთიერთობები: განვითარების ახალი გზების ძიებაში

2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შედეგად რუსულ-ქართული ურთიერთობების დონემ დაიწია საბჭოთა კავშირის დაშლის დროინდელ ქვედა კრიტიკულ ზღვრამდე. 2008 წლის აგვისტოს კრიზისმა გამოიწვია პრაქტიკულად ყველა ინსტიტუციური ურთიერთობის შეწყვეტა მოსკოვსა და თბილის შორის და შიდა ქართული კრიზისი ტრანსფორმირდა ორმხრივი ურთიერთობების კრიზისად.

ასეთ პირობებში რუსეთისა და საქართველოს სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები იზოლაციაში აღმოჩნდნენ, რამაც გააღრმავა შიში და ორმხრივი უნდობლობა ქვეყნებს შორის. თუმცა სამთავრობო დონეზე დამაბული ურთიერთობების პირობებში სწორედ არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამოქალაქო და ექსპერტთა წრეების ზემოქმედებით საკმაოდ შეეწყო ხელი ორ ქვეყანას შორის დიალოგის წარმართვას.

2008 წლის მოვლენების შემდეგ კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითმა ცენტრმა (ICCN), შეიარაღებული კონფლიქტების¹ არიდების გლობალური პარტნიორობის ნეიტრალური მოედნის გამოყენებით დაიწყო პროექტი «სტამბულის პროცესი». პროექტის მიზანია, საექსპერტო დიალოგის სტიმულირების გზით, განიხილოს რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობები. პროექტმა დასახელება მიიღო ექსპერთა შეხვედრების ქალაქ სტამბულში გამართვიდან გამომდინარე.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში გამოცხადდა რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების ნორმალიზაციის პოლიტიკა. ამ პოლიტიკურმა კურსმა მხარდაჭერა ჰქოვა ქართული მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა

¹ შეიარაღებული კონფლიქტების არიდების გლობალური პარტნიორობა (GPPAC) – არის სამოქალაქო ორგანიზაციების მსოფლიო ქსელი, რომელიც მუშაობს საერთაშორისო კონსენსუსის მისაღწევად სამშვიდობო საკითხებსა და ძალადობრივი კონფლიქტების აცილებაზე. ორგანიზაცია შეიქმნა 2003 წელს გაეროს გენერალური მდივნის, კოფი ანანის მოწოდების პასუხად, ჩატარებულიყო კონფლიქტების არიდების სფეროში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების საერთაშორისო კონფერენცია. URL: <http://www.easteuropipegpac.siteedit.su>

პირველი მეგობრული ნაბიჯი გადადგა და შემოიღო საქართველოს სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობა რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში. ამ თანამდებობაზე დაინიშნა საქართველოს ყოფილი ელჩი რუსეთში, «სტამბულის პროცესის» მონაწილე ზურაბ აბაშიძე. რუსეთის მხრიდან მისი კოლეგა გახდა სახელმწიფო მდივანი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი.

2013 წლის აგვისტოში შვეიცარიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით სტარტი აიღო კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ახალმა ინიციატივამ – პროექტმა «რუსეთ-საქართველოს დიალოგის ხელშეწყობა». პროექტის განხორციელების პროცესში რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭო გახდა რუსეთში კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის წამყვანი პარტნიორი. საექსპერტო დიალოგი სტამბულის პროცესის ფორმატში პროექტის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა ორი საექსპერტო შეხვედრა, რომელთა შედეგად შეიქმნა რუსი და ქართველი საერთაშორისო სამართლისა და პოლიტიკის სპეციალისტი ექსპერტების ერთობლივი პუბლიკაცია «რუსულ-ქართულ ურთიერთობათა ახალი დღის წესრიგი». სიამოვნებით წარვუდგენთ მკითხველს ამ პუბლიკაციას.

ივლიანე ზაინდრავა

ასიმეტრია (ქართულ-რუსული ურთიერთობების საკითხისთვის)

ერთი სიტყვით რომ ვცადოთ ქართულ-რუსული ურთიერთობების დახასიათება მთელი მათი ისტორიის მანძილზე, ეს შეიძლება იყოს «ასიმეტრია». საკმარისია, გადავხედოთ უზოგადეს მონაცემებს რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს თაობაზე, რათა დავრწმუნდეთ, თუ რაოდენ არათანაზომადია ეს ორი სახელმწიფო:

| | ფართობი კვ.კმ. | მოსახლეობა | მოსახლეობის სიმჭიდროვე 1კაცი კვ. კმ-ზე | მშპ 2012 წ. მლრდ. დოლარი | მშპ ერთ სულ მოსახლეზე, დოლარი |
|----------------------|-------------------|-------------|--|--------------------------------|--|
| რუსეთის ფედერაცია | 17 075 400 | 138 740 000 | 8 | 2 000 | 14 000 |
| საქართველო | 69 700 | 4 436 000 | 64 | 16 | 3 500 |

რუსეთის ფედერაცია თითქმის 250-ჯერ აღემატება საქართველოს ტერიტორიით, მოსახლეობით – 30-ზე მეტჯერ, მშპ-ით – 125-ჯერ. აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ მაშინ, როცა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჯამური ფართობი (12 500 კვ.კმ.) საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 18%-ს, მათი მოსახლეობა (დაახლოებით 260 ათასი) კი საქართველოს მთლიანი მოსახლეობის თითქმის 6%-ს შეადგენს², რუსეთის ფედერაციის ტერიტორიასა და მოსახლეობას რომ მივათვალოთ ეს რიცხვები (საქვეყნოდ ცნობილია, რომ ეს წარმონაქმნები კონტროლდება რუსეთის მიერ, მათი მაცხოვრებლების უმრავლესობას კი რუსეთის მოქალაქეობა აქვს), შესაბამისი მონაცემები სულ პროცენტის მეათედითა და მეასედით შეიცვლება.

ორი ქვეყნის ასეთი არათანაზომადობა განაპირობებს მათი რესურსებისა და შესაძლებლობების – პოლიტიკურის, სამხედროს, ეკონომიკურისა და სხვა ნებისმიერის – არათანაზომადობასაც. შესაბამისად განსხვავდება მათი ამბიციებიც, ეროვნული

² სტატისტიკური მონაცემები აღებულია ოფიციალური წყაროებიდან და დამრგვალებულია ათასამდე. საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობაში არ არის გათვალისწინებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა, რის თაობაზეც მონაცემები წინააღმდეგობრივია. ავტორს მოჰყავს მიახლოებითი რიცხვები შემდეგი წყაროების მიხედვით: Пахоменко В. Обитаемый остров // Полит.Ру. 22 сентября 2009. URL: <http://www.polit.ru/article/2009/09/22/demo>; Население Абхазии // Этно-Кавказ.

პროექტების მასშტაბები, მსოფლიოში საკუთარი ადგილისა და ფუნქციის ხედვა. ასე, თუკი რუსეთთან ურთიერთობა საქართველოსთვის ყოფნა-არყოფნის დონის პრობლემაა (რაც მთელი სიცხადით გამოამჟღავნა რუსეთ-საქართველოს ომმა 2008 წლის აგვისტოში), რუსეთისთვის საქართველოსთან ურთიერთობას თუმცა არც თუ უმნიშვნელო (საქმე უშუალო მეზობელს ეხება, რომელსაც ისტორიულად «კავკასიის გასაღების» ფუნქცია ენიჭება რუსეთში), მაგრამ მაინც არაგადამწყვეტიხასიათი გააჩნია. აქედან მომდინარეობს ორმხრივი ურთიერთობების მოგვარების ასიმეტრიული მოთხოვნილებაც; ურთიერთობებისა, რომლებიც სსრკ-ის დაშლის შემდეგ დროის ვერც ერთ მონაცვეთში ვერ დაეფუძნა ურთიერთნდობასა და კეთილმეზობლობას.

ინტერესები

უპირველესად მივმართოთ ორი ქვეყნის ოფიციალურ დოკუმენტებს, სადაც მოცემულია საგარეო პოლიტიკისა და საკუთარი უსაფრთხოების მათეული ხედვა, განსაზღვრულია ეროვნული ინტერესები. «2020 წლამდე რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში»³ საქართველო მოხსენიებულია მხოლოდ ერთხელ (პ. 42, ყაზახეთთან, უკრაინასა და აზერბაიჯანთან ერთად), სადაც საუბარია სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოებაზე. თუმცა, განსახილველი პრობლემის კონტექსტში, საქართველომ შესაძლოა, საკუთარი მისამართით მიიღოს, აგრეთვე, მე-17 პუნქტის შინაარსიც: «ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან ურთიერთობაში რუსეთისთვის მიუღებელია ალიანსის სამხედრო ინფრასტრუქტურის მის საზღვრებთან მიახლოების გეგმები».

«სტრატეგიის» მნიშვნელოვანი დამატებაა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანებულება «რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკური კურსის რეალიზაციის ზომების შესახებ», რომელიც 2012 წელს გამოქვეყნდა⁴. აქ ხაზგასმულია რუსეთისთვის პრიორიტეტული ინტეგრაციული პროცესები დასტ-ის, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის, საბაჟო კავშირის, ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ჩარჩოებში. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შემდეგი პუნქტი: «ე) აქტიურად შევუწყოთ ხელი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების, როგორც თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების ჩამოყალიბებას, ამ რესპუბლიკების საერთაშორისო პოზიციების გაძლიერებას,

Этнодемография Кавказа. Подробные данные переписей населения и этнографические карты. URL: <http://www.ethno-kavkaz.narod.ru/rnabkhazia.html>

³ დამტკიცებულია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის №537 ბრძანებულებით 2009 წლის 12 მაისს. URL: <http://www.scrf.gov.ru/documents/99.html>

⁴ 7 მაისი, 2012. URL: <http://www.president.kremlin.ru/acts/15256>

საიმედო უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და მათ სოციალურ-ეკონომიკურ აღდგენას». ქართულ-რუსული ურთიერთობებისა და 2008 წლის აგვისტოს ომის რეალიების გათვალიწინებით, პარადოქსულად უღერს პირველი ფორმულირება პუნქტისა, რომელიც ეხება კრიზისულ ვითარებებს: «დავიცვათ რეგიონული კონფლიქტების პოლიტიკურ-დიპლომატიური გზით მოგვარების უაღტერნატივობა საერთაშორისო თანამეგობრობის კოლექტიური მოქმედებების საფუძველზე, მოლაპარაკებებში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვით». რუსეთმა ხომ მაშინ სწორედაც რომ აღტერნატიული და უაღრესად ინდივიდუალური მიდგომა გამოავლიან კონფლიქტის მოგვარების მიმართ, თუმცა ეს მოხდა ბრძანებულების გამოცემამდე ოთხი წლით ადრე.

2013 წლის თებერვალში გამოქვეყნდა რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია⁵, სადაც, ფაქტობრივად, სიტყვასიტყვითმეორდება(პ.51)ზემოთმოყვანილიფორმულირება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შესახებ. იქვე გაჩნდა დებულება, რომლის თანახმადაც «რუსეთი დაინტერესებულია საქართველოსთან ურთიერთობის ნორმალიზებით იმ სფეროებში, სადაც ამისთვის მზად არის ქართული მხარე, იმ პოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით, რაც შეიქმნა ამიერკავკასიაში» (პ. 52). დადასტურებულია (პ. 63) რუსეთის ფედერაციის უარყოფითი დამოკიდებულება ნატოს გაფართოებისადმი. მე-15 პუნქტში კონსტატირებულია, რომ «იძულების ზომებისა და შეიარაღებული ძალის გამოყენებას გაეროს წესდებისა და გაეროს უსაფრთხოების საბჭოს გვერდის ავლით არ ძალუქს, აღმოფხვრას ღრმას სოციალურ-ეკონომიკური, ეთნიკური და სხვა წინააღმდეგობები, რომლებიც საფუძვლად უდევს კონფლიქტებს», თუმცა შეიარაღებული ძალის გამოყენებას საქართველოს წინააღმდეგ 2008 წლის აგვისტოში რუსულმა მხარემ «მშვიდობისთვის იძულება» უწოდა და არანაირი სანქცია გაეროს უსაფრთხოების საბჭოს ამ ქმედებებისთვის არ გაუცია. მართებულია აღინიშნოს, რომ 2008 წლის აგვისტოში საქართველოს არ უწარმოებია არანაირი საომარი მოქმედებები აფხაზეთში. სამაგიეროდ, საქართველოში ომის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის დასკვნით («ტალიავინის კომისია») ერთობლივი აფხაზურ-რუსული ოპერაცია კოდორის ხეობის ზემო ნაწილში 2008 წლის 12 აგვისტოს იყო «ძალის უკანონო გამოყენება და წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის დარღვევას, როგორც აფხაზეთის, ისე რუსეთის მხრიდან»⁶.

ქართული მხარის ოფიციალურ დოკუმენტებში რუსეთს გაცილებით მეტი ყურადღება ეთმობა. 2011 წლის დეკემბერში

⁵ 18 თებერვალი, 2013. URL: <http://www.news.kremlin.ru/media/events/files/41d447a0ce9f5a96bdc3.pdf>

⁶ Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia. 2009. Vol. 1. P. 25. URL: <http://www.ceiig.ch/Report.html>

მიღებულ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში (ეს, არსებითად, მეორე კონცეფციაა; წინა – წელს დამტკიცებული, – წლის აგვისტოს შემდეგ საფუძვლიანად შეიცვალა) რუსეთის ფედერაცია აშკარად მთავარ (ანტი-)გმირადაა წარმოჩენილი. წლის აგვისტოს მოვლენები კვალიფიცირდება, როგორც აგრესია, ქართული ტერიტორიის ოკუპაცია, მისი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმოების უფლების არაღიარება. «საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეები, რისკები და გამოწვევები» თავის მეპუნქტში დაფიქსირებულია, რომ რუსეთის ფედერაცია არღვევს საერთაშორისო სამართლის ძირითად ნორმებს, არ ასრულებს წლის აგვისტოს რუსეთ–საქართველოს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, არ იღებს საქართველოზე თავდაუსხმელობის ვალდებულებას, ბლოკავს გაეროსა და ეუთოს მისიების მუშაობას საქართველოში, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას არ აძლევს საშუალებას, განახორციელოს თავისი მანდატი ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამშვიდობო/საპოლიციო მექანიზმის შექმნის იდეას. თავში «საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები», სადაც მე- მუხლი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობას ეძღვნება, იმავდროულად, ნათქვამია: «საქართველოს სურვილია, რუსეთთან იქონიოს კეთილმეზობლობისა და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთობა, რაც ვერ მოხდება რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის და დეოკუპაციის განხორციელების გარეშე. საქართველო დაინტერესებულია რუსეთთან ამ ფუნდამენტურ საკითხებზე დიალოგის დაწყებით». შემდეგ ნათქვამია, რომ ნატოსთან მიერთება საქართველოს საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიზანია, რომელიც ემყარება ფართო კონსენსუსს საქართველოში ალიანსის წევრობის შესახებ, რაც დადასტურდა წლის იანვარში ჩატარებული პლებისციტით. ეტაპობრივი ინტეგრაცია ევროკავშირში ასევე გამოცხადებულია ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად.

ისევე, როგორც რუსეთის ფედერაციის შემთხვევაში, კონცეფციის შემდგომ დადასტურება/დაზუსტებად შეიძლება ჩაითვალოს წლის 7 მარტის საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია «საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ»⁷. დოკუმენტის მნიშვნელობა ხაზგასმულია იმ გარემოებით, რომ მას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი როგორც უმრავლესობის (კოალიცია «ქართული ოცნება»),

⁷ URL: http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=12

⁸ იგულისხმება სარკოზი-მედვედევის შეთანხმების მე-5 პუნქტი, რომლის თანახმადაც რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებს უნდა დაეხიათ საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე არსებულ ხაზზე (ავტორის შენიშვნა).

⁹ URL: http://www.parliament.ge/index.php?option=com_content&view=article&id=3136%3Aresolution&c_atid=54%3Astatements-appeals-and-resolutions&Itemid=88&lang=ge#sthash.kiAsm2if.dpuf

ისე უმცირესობის (ყოფილი სახელისუფლებო პარტია «ერთიანი ნაციონალური მოძრაობა») წარმომადგენლებმა. რეზოლუცია ადასტურებს, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია (პ. 3). მე-18 პუნქტში ნათქვამია, რომ საქართველოს არ შეუძლია ჰქონდეს დიპლომატიური ურთიერთობები, იყოს სამხედრო-პოლიტიკურ ან საბაჟო კავშირში იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც აღიარებენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. ამავე დროს, მე-12 პუნქტი შეიცავს მეტად საინტერესო განაცხადს: «საქართველო ხელს შეუწყობს სამხრეთ კავკასიაში ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირის, რუსეთის ფედერაციის და სხვა სახელმწიფოთა პოზიციების დაახლოებას ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესებისა და ჰელსინკის დასკვნითი აქტის პრინციპების შესაბამისად». მე-11 პუნქტში ნათქვამია, რომ რუსეთთან კონფლიქტის მოგვარების, კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებისა და გაღრმავების მიზნით, საქართველო აწარმოებს დიალოგს რუსეთის ფედერაციასთან როგორც შენევის, ისე ორმხრივ ფორმატში.

ამგვარად, შესაძლებელია იმ საკვანძო ინტერესების გამოვეთა, რომელიც საფუძველში უდევს საქართველოსა და რუსეთის პოლიტიკას:

| საქართველოს ინტერესები | რუსეთის ინტერესები |
|--------------------------------|---|
| ნატოში გაწევრიანება | ნატოს გაფართოებისთვის წინააღმდეგობის გაწევა |
| ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა | აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოსგან დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა |
| ევროკავშირთან ინტეგრაცია | ინტეგრაციული პროცესები დასთის, საბაჟო კავშირის, ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ჩარჩოებში, ევრაზიულ კავშირზე გასვლით ¹⁰ |

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებთან მიმართებაში მხარეთა ოფიციალური პოზიციები კი ასე ფორმულირდება:

| საქართველოს პოზიცია | რუსეთის პოზიცია |
|--|---|
| ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა და დეოკუპაცია | ახალი (სამხედრო-პოლიტიკური) რეალიების პატივისცემა |

ამით დასტურდება, რომ მხარეთა ინტერესები და პოზიციები საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების ფუნდამენტურ

¹⁰ В. Путин: «Новый интеграционный проект для Евразии – будущее, которое рождается сегодня» // Известия. З თებერვალი, 2011. URL: <http://www.izvestia.ru/news/502761>

საკითხებზე, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების მოგვარების გზებზე დიამეტრალურად ურთიერთსაწინააღმდეგოა (ე. წ. «წითელი ხაზები»). მათ შორის შედარებით ნაკლებ მტკიცნეულად გამოიყურებოდა საქართველოს ევროინტეგრაციის საკითხი, თუმცა სომხეთის (ასევე მოლდოვისა და, განსაკუთრებით, უკრაინის) მაგალითი მოწმობს, რომ რუსეთი სულაც არ არის გულგრილი «ახლო საზღვარგარეთის» ქვეყნების ევროკავშირის მიმართულებით სვლის მიმართ. «ეს გეოპოლიტიკური ორთაბრძოლაა. ამ საკითხში ჩვენ ვერ გამოვნახავთ საერთო ენას ევროპასთან» – განაცხადა რუსეთის სახელმწიფო დუმის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ალექსეი პუშკოვმა¹¹ დუმის საპასუხო განცხადების განხილვისას ევროპარლამენტის რეზოლუციასთან დაკავშირებით, რომელმაც, ფაქტობრივად, დაადანაშაულა რუსეთი ევროკავშირის «აღმოსავლეთ პარტნიორობის» პროგრამაში შემავალ ექვს პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაზე ზეწოლაში¹².

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხარეთა პოზიციები განსხვავდება იმ უდიდესი მნიშვნელობის მქონე სფეროშიც, რომელსაც ავტორი «ენერგოლიტიკას» უწოდებს (ენერგომატარებლების მოპოვების, ტრანსპორტირებისა და მსოფლიო ბაზრებზე რეალიზაციის პოლიტიკური ასპექტები)¹³. მიუხედავად იმისა, რომ აქაც ასიმეტრია აშკარაა – რუსეთი ენერგომატარებლების მსხვილი მომპოვებელ/მიმწოდებელია, საქართველო კი ოდენ ტრანზიტის განმახორციელებელი, – საქართველოს დამოუკიდებელმა პოლიტიკამ ამ სფეროში თავისი წვლილი შეიტანა რუსეთის უკმაყოფილებაში მეზობლის ქმედებებით.

ამასთან, როგორც საქართველო, ისე რუსეთი გამოხატავენ ურთიერთობების მოგვარების მზაობას, ოღონდ – მხოლოდ საკუთარი პოზიციების საფუძველზე. ასიმეტრია აქაც ვლინდება: რუსეთი «დაინტერესებულია ურთიერთობის ნორმალიზებით იმ სფეროებში, სადაც ამისთვის მზად არის ქართული მხარე», ანუ საქმეს ისე წარმოადგენს, თითქოს საქართველოსგან ბევრი არაფერი უნდა (იმას, რითიც დაინტერესებული იყო რუსეთი, მიხეილ სააკაშვილის დროს მიაღწია) და თუკი ქართული მხარე მართლაც რაიმე მნიშვნელოვანს ესწრაფვის, უნდა დათმოს კიდეც რაღაცა მნიშვნელოვანი. არსებულ ვითარებაში კი მოსკოვი ასეთად მიიჩნევს ან საქართველოს პროდასავლურ კურსს, ან მის პოზიციას აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით, ან ორივეს ერთად (რაც ყველაზე მეტადაა სავარაუდო).

¹¹ Депутаты обвинили ЕС в русофобии // Росбалт. 20 სექტემბერი, 2013. URL: <http://www.rosbalt.ru/main/2013/09/20/1178201.html>

¹² იბ., მაგალითად: Европарламент осудил Россию за давление на страны, стремящиеся в Европейский Союз // Регнум. 12 სექტემბერი, 2013. URL: <http://www.regnum.ru/news/fd-abroad/armenia/1706870.html>

¹³ დაწვრილებით იბ.: ხაინდრავა ი. კ ვიპროცესზე ერთადაა სავარაუდო. Баку, 2012.

ასეთი მიდგომა არ უტოვებს მანევრის შესაძლებლობას საქართველოს ხელისუფლებას – იქნება ეს წინა, ახლანდელი თუ მომავალი. რუსულ პირობებზე დათანხმება ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ უსიტყვო კაპიტულაციად აღიქმება (იქნება კიდეც). თუმცა, ოფიციალური თბილისის მდგომარეობა ბევრად უფრო რთულია, ვიდრე მოსკოვისა, იმის გამოც, რომ მმართველმა კოალიცია «ქართულმა ოცნებამ» თავისი ლიდერის – ბიძინა ივანიშვილის პირით – აიღო ნებაყოფლობით-იძულებითი ვალდებულება, მოაწესრიგოს რუსეთთან ურთიერთობები ისე, რომ არ გადაუხვიოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის სტრატეგიულ კურსს. ნებაყოფლობითი – იმიტომ, რომ კოალიციამ თავად დაისახა ეს მიზანი; იძულებითი კი იმიტომ, რომ კოლექტიური უსაფრთხოების რომელიმე სისტემის მიღმა დარჩენილი საქართველო ვერ მისცემს თავს ძლევამოსილ მეზობელთან ომის ზღვარზე სიარულის უფლებას, რაც ფიტავს მას მორალურად და ფიზიკურად, ხოლო მუდმივ დაძაბულობაში ყოფნის გამო «დაღლილობის სინდრომს» იწვევს მის დასავლელ პარტნიორებში. ეს მდგომარეობა აისახება ორივე ფორმატში, სადაც საქართველოსა და რუსეთის წარმომადგენლები მოლაპარაკებების ერთ მაგიდას უსხედან – როგორც ჟენევის (მრავალმხრივი ფორმატი), ისე სპეციალური წარმომადგენლების დონეზე დიალოგისას (აბაშიძე – კარასინის ორმხრივი ფორმატი).

საგულისხმოა აბაშიძისა და კარასინის შეხვედრის მორიგი რაუნდისშემდეგ (2013წლის სექტემბერი) პრესისთვის გაკეთებული განცხადებები: პირველმა ხაზი გაუსვა მოცემულ ეტაპზე დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის შეუძლებლობას, რამდენადაც ეს იმ რეალიების აღიარება იქნებოდა, რომლებიც მიუღებელია საქართველოსთვის; მეორემ კი განაცხადა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი გადახედვას არ ექვემდებარება¹⁴. საქართველოს ნატოსკენ სწრაფვასთან დაკავშირებით ორივე ქვეყნის ლიდერების განცხადებები ასევე უეჭველს ხდის იმ გარემოებას, რომ ისინი მკაფრად მისდევნ ოფიციალურ დოკუმენტებში გაცხადებულ კურსს¹⁵.

დინამიკა

ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილის დროს (მისთვის კი ჩვეული იყო რუსეთის დადანაშაულება უკლებლივ ყველა უბედურებაში) საქართველო ღია იყო რუსული ბიზნესისთვის. რიგი მსხვილი კომპანიებისა უპირატესად რუსული (მათ შორის – სახელმწიფო)

¹⁴ გრიგორი კარასინი: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების გადაწყვეტილება მიღებულია შეგნებულად და გადახედვას არ ექვემდებარება // ინტერპრესნიუს. 20 სეტემბერი, 2013. URL: <http://www.interpressnews.ge/ru/2010-05-25-09-32-40/52411-2013-09-20-10-39-45.html>

¹⁵ Если бы в 2008 году мы дрогнули, Украина и Грузия были бы в НАТО – Медведев // Регnum. 21 ნოემბერი, 2011. URL: <http://www.regnum.ru/news/fd-abroad/georgia/1469567.html>; Иванишвили объяснил России, чем НАТО лучше // ИноТв. 27 ივნისი, 2013. URL: <http://www.inotv.rt.com/2013-06-27/Ivanishvili-obyasnit-Rossii-chem-NATO>

კაპიტალით წარმატებით მუშაობდა ქვეყანაში: PAO EEC, «იტერა», «ლუკოილი» – ენერგეტიკულ სფეროში, «ვი-თი-ბი» – საბანკო სექტორში, «ვიმპელკომი» («ბილაინი») – მობილურ კავშირში, «მადნეული» და «კვარციტი» – სამთომომპოვებელ დარგში. 2010 წლის ოქტომბრიდან საქართველომ ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ რუსეთის მოქალაქეებს 90-დღიანი უვიზო შემოსვლის ნება დართო (რაც არაერთგვაროვნად იქნა აღქმული, რადგან თავის დროს რუსეთის მიერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთათვის «ეთნიკურ» პრეფერენციებზე შემოღებული საზღვრის გადაკვეთის წესზე პასუხს წააგავდა), 2012 წელს კი ეს რეჟიმი რუსეთის ყველა მოქალაქეზე გავრცელდა. 2011 წლის ნოემბერში საქართველომ მოხსნა წინააღმდეგობა რუსეთის ფედერაციის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე (თუმცა ამან გარკვეული პრობლემები შექმნა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების მომზადების საქმეში). ეს ნაბიჯები, ცალკე თუ ერთობლიობაში აღებული, შესაძლოა უპრეცედენტოც კი იყოს იმ ვითარებაში, როცა ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვეტილია, ხოლო ამ ნაბიჯებს დგამს მხარე, რომელიც ოფიციალურად ადანაშაულებს მეორეს აგრესიასა და საკუთარი ტერიტორიის 20%-ის ოკუპაციაში. მიუხედავად ამისა, სააკაშვილი «ხელჩამოურთმევ პირად»¹⁶ დარჩა მოსკოვისთვის და ამ უკანასკნელის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ იმ პერიოდში შეიძლება დახასიათდეს ფორმულით: «ვერ გხედავ, არ გისმენ, არაფრის გაგონება არ მსურს».

საქართველოში 2012 წლის შემოდგომაზე ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ახალმა მთავრობამ წამოაყენა ინიციატივები, რაც ქართულ-რუსულ ურთიერთობებში კლიმატის გაუმჯობესების განზრახვის გულწრფელობის დასტური იყო. რუსულ მხარესთან პირდაპირი მოლაპარაკებების საწარმოებლად პრემიერ-მინისტრმა დანიშნა თავისი სპეციალური წარმომადგენელი (ზურაბ აბაშიძე); საქართველომ 180 გრადუსით შეცვალა პოზიცია სოჭის ზამთრის ოლიმპიადის მიმართ და ბოიკოტის ნაცვლად მონაწილეობა გადაწყვიტა; დაიგეგმა ნაბიჯები, რათა სამართლებრივად შემსუბუქდეს რუსეთის მხრიდან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შესვლის რეჟიმი; გაისმა იდეა აფხაზეთზე გამავალი სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენისა. მოსკოვი ამ ნაბიჯებზე შერჩევით რეაგირებდა: ზურაბ აბაშიძეს შეუწყვილეს გრიგორი კარასინი (ის რუსულ დელეგაციას ჟენევის მოლაპარაკებებზეც მეთაურობს – კვლავ ასიმეტრია); სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობის თაობაზე თბილისის გადაწყვეტილებას დადებითი კომენტარები მოჰყვა; ორი უკანასკნელი ინიციატივა კი ოფიციალური ყურადღების გარეშე დატოვეს, სამაგიროდ, რეაგირება მოახდინეს

¹⁶ Медведев назвал Саакашвили «абсолютно нерукопожатным лицом» // РБК Дейли. 4 августа, 2013. URL: <http://www.rbcdaily.ru/politics/562949988350492>

პრაქტიკულად – საფორტიფიკაციო ნაგებობების აღმართვითა და კონტროლის გამკაცრებით აფხაზეთსა (და სამხრეთ ოსეთს) და დანარჩენ საქართველოს შორის გამყოფ ხაზებზე. სამხრეთ ოსეთში ეს სკანდალურად გამომწვევი სახითაც კი განხორციელდა: რუსი მესაზღვრეები ისე ავლებენ მავთულხლართებს სოფლებზე, რომ მეზობლებსა და ნათესავებს, სახლებსა და საკარმიდამო ნაკვეთებს ამგვარად მონიშნული «სახელმწიფო საზღვრის» სხვადასხვა მხარეს ტოვებენ¹⁷. საქართველოში ამ ქმედებას არააღეკვატურად და ორმხრივ ურთიერთობებში გაჩენილი სიახლის საწინააღმდეგოდ განიხილავენ¹⁸. რუსმა პოლიტოლოგმა ანდრეი სუშენცოვმაც აღიარა, რომ სამხრეთ ოსეთის ე.წ. «ბორდერიზაცია», რომელიც ქართულ-რუსული ურთიერთობების მოწესრიგების ფონზე ხორციელდება, გაღიზიანების გამომწვევი ფაქტორია¹⁹.

კიდევ ერთი გამაღიზიანებელი ფაქტი გახდა ის, რომ ოლიმპიური ჩირალდნის ესტაფეტაში ერთ-ერთ პირველ ეტაპზე მონაწილეობის საპატიო უფლება მიანიჭეს რუს სამხედრო მფრინავს, რომელმაც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს საქართველოს საჰაერო სივრცეში საბრძოლო გაფრენისას დაზიანებული თვითმფრინავი თავის ბაზაზე დასვა. საქართველოში ეს ბევრმა პირდაპირ გამოწვევად აღიქვა, რასაც მოჰყვა გამოსვლები სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტის მოთხოვნით. საინტერესოა, რომ გერმანიის ელჩმა საქართველოში პოპულარულ ყოველკვირეულ გაზეთთან ინტერვიუში თქვა, რომ ქართველი რომ ყოფილიყო, მეჩირალდნის ინციდენტის შემდეგ წინააღმდეგი იქნებოდა ოლიმპიადაში მონაწილეობისა, რადგან ამას პროვოკაციად და შეურაცხყოფად მიიღებდა²⁰. თუმცა მთავრობა აგრძელებს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (ეოკ) მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილების მხარდაჭერას ოლიმპიადაში მონაწილეობის შესახებ, მაგრამ თუ დარჩენილ დროში «გამაღიზიანებლების» რიცხვი გაიზრდება, იგი მართლაც რთულ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს.

ასეა თუ ისე, პოლიტიკამ «ვერ გხედავ, არ გისმენ, არაფრის გაგონება არ მსურს» თავისი დრო მოჭამა და რუსეთმაც ჯერ ემბარგო გააუქმა ქართულ ღვინოსა და მინერალურ წყლებზე, შემდეგ კი – მემცნარეობის პროდუქციაზე (თუმცა რუსეთის ფედერაციის მთავარი სანიტარიული ექიმი მაღლე ისევ ალაპარაკდა ზოგიერთი ქართული ღვინის სტანდარტთან შეუსაბამობაზე²¹, რამაც არგუმენტი მისცა მათ, ვინც ფიქრობს, რომ ქართული

¹⁷ შესაბამისი გადაწყვეტილება უფრო ადრე მიიღეს, მაგრამ პროცესი რატომდაც სრულიად შეუსაბამო დროს წარიმართა (ვტოროს შენიშვნა).

¹⁸ იხ., მაგალითად, გიორგი კვირიკაშვილი: რუსეთის მხრიდან ჩვენი ნაბიჯები შეფასებულია არაადეკვატურად //ინტერვერსაჟიური. 25 სექტემბერი, 2013. URL: <http://www.interpressnews.ge/ru/2010-05-25-09-32-40/52551-2013-09-25-09-06-56.html>

¹⁹ Поландов Д. «Москва была вынуждена сделать это признание» // Эхо Кавказа. 14 ოქტომბერი, 2013. URL: <http://www.ekhokavkaza.com/content/article/25136848.html>

²⁰ ევრობის სტაბილურობას საქართველოს გულისხმისაც ვერ შევეღევით (ექსკლუზივი) //კვირის პალიტრა. 28 ოქტომბერი, 2013. URL: <http://www.kvirispalitra.ge/politic/19254-qevropis-stabilurobas-saqarathvelos-gulishvisac-ver-shevelevithq-eqskluzivi.html>

²¹ Грузинское вино могут снова запретить // Интерфакс. 8 ოქტომბერი, 2013. URL: <http://www.interfax.ru/russia/txt/333323>

პროდუქციის დაშვებამ რუსულ ბაზარზე დაუბრუნა რუსეთს საქართველოზე კონკურენციული პოლიტიკური ზოლის ბერკეტები). ჩარტერული რეისები ორ ქვეყანას შორის სისტემატურად ხორციელდება (განიხილება რეგულარული ავიამიმოსვლის საკითხი), გაიზარდა საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარე სასაზღვრო პუნქტის გამტარუნარიანობა. ოფიციალური რუსული მონაცემებით 25%-ით გაიზარდა საქართველოს მოქალაქეებზე გაცემული ვიზების რაოდენობა²². აღდგა სატვირთო ავტოტრანსპორტის მიმოსვლა ორ ქვეყანას შორის, რუსი ტურისტების რიცხვი საქართველოში წლიდან წლამდე იზრდება, გააქტიურებულია კულტურული კონტაქტები. რაც მთავარია, ორივე მხრიდან უკეთესობისკენ იცვლება ურთიერთაღწევა (თუმცა რუსეთში, ასიმეტრიის პრინციპიდან გამომდინარე, ეს უფრო ნელა ხდება). ასე, რუსეთში პასუხები კითხვაზე «როგორ უყურებთ დღეს საქართველოს?» ასე განაწილდა:²³

| | ოქტ. 2002 | აგვ. 2004 | აგვ. 2006 | სექტ. 2008 | ივლ. 2009 | ივლ. 2010 | ივლ. 2012 | ივლ. 2013 |
|--------------------------|--------------|--------------|--------------|---------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| ძალიან კარგად | 4 | 5 | 2 | 1 | 1 | 2 | 4 | 4 |
| ძირითადად, კარგად | 36 | 44 | 40 | 15 | 24 | 32 | 39 | 44 |
| ძირითადად, ცუდად | 35 | 30 | 35 | 40 | 44 | 36 | 31 | 32 |
| ძალიან ცუდად | 16 | 14 | 13 | 34 | 19 | 15 | 12 | 8 |
| მიჭირს პასუხის გაცემა | 10 | 7 | 10 | 9 | 11 | 14 | 15 | 12 |

«რუსეთისადმი ყველაზე უფრო არამეგობრულად, მტრულად განწყობილი ქვეყნების» ჩამონათვალში საქართველოს, გამოკითხულთა აზრით, კვლავ მეორე ადგილი უჭირავს (აშშ-ის შემდეგ)²⁴, თუმცა ასეთი დამოკიდებულება კლებულობს:

| | მაისი 2005 | მაისი 2006 | მაისი 2007 | მაისი 2009 | მაისი 2010 | მაისი 2011 | მაისი 2012 | მაისი 2013 |
|------------|---------------|---------------|---------------|---------------|---------------|---------------|---------------|---------------|
| საქართველო | 38 | 44 | 46 | 62 | 57 | 50 | 41 | 33 |

ანუ, სწორედ 2013-ში რესპონდენტების წილი, ვინც საქართველოს «ძირითადად, კარგად» ეკიდებიან, 2004 წელს დაფიქსირებულ მაქსიმუმს მიუახლოვდა და, შესაბამისად, მინიმუმადე დაეცა

²² О встрече статс-секретаря – заместителя Министра иностранных дел России Г. Б. Карасина со специальным представителем премьер-министра Грузии по вопросам отношений с Российской Федерацией З. Абашидзе // Министерство иностранных дел Российской Федерации. 5 октября, 2013. URL: <http://www.mid.ru/bdomp/ns-reuro.nsf/348bd0da1d5a7185432569e700419c7a/44257b100055ec1544257b810054077d!OpenDocument>

²³ Отношение россиян к Грузии, статусу Южной Осетии и Абхазии: опрос проведен 18–22 июля 2013 года // Левада-центр. 7 августа, 2013. URL: <http://www.levada.ru/07-08-2013/otnoshenie-rossiyansk-k-gruzii-statusu-yuzhnou-osestii-i-abkhazii>

²⁴ Внешнеполитические враги и друзья России: опрос проведен 23–27 мая 2013 года // Левада-центр. 18 октября, 2013. URL: <http://www.levada.ru/18-06-2013/vneshnepoliticheskie-vragi-i-druzya-rossii>

მათი წილი, ვინც საქართველოს «ძალიან ცუდად» ეკიდება. მათი რიცხვიც, ვინც საქართველოს მტრულ ქვეყნად აღიქვამს, საგრძნობლად შემცირდა, თუმცა რჩება იმ დონეზე, რომელიც აშკარად აღემატება საქართველოს შესაძლებლობას, მტრული მოქმედებები განახორციელოს რუსეთის მიმართ.

მიზანშეწონილია, აგრეთვე, საქართველოში ჩატარებული გამოკითხვების განხილვა. კითხვები აქსხვაგვარად ჩამოყალიბდა, მაგრამ შთაბეჭდილებას რუსეთის მიმართ დამოკიდებულების დინამიკის შესახებ, ისინი ადეკვატურს ქმნიან²⁵. კითხვაზე «როგორ აფასებთ საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობებს ამჟამად?» პასუხები ასეთი იყო:

| | ოქტომბერი 2008 | მარტი 2009 | ოქტომბერი 2010 | მაისი 2011 | თებერვალი 2013 | მაისი 2013 |
|--------------------------|-------------------|---------------|-------------------|---------------|-------------------|---------------|
| კარგად | 2 | 4 | 3 | 4 | 11 | 12 |
| არც კარგად, არც ცუდად | – | 1 | 1 | 1 | 5 | 16 |
| ცუდად | 97 | 94 | 94 | 93 | 82 | 68 |
| მიჭირს პასუხის გაცემა | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 4 |

კითხვაზე «რომელი ქვეყნებია საქართველოსთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პარტნიორები და რომლებია საფრთხის მატარებელი?» რუსეთთან დაკავშირებით ასეთი პასუხები გაიცა:

| | ოქტომბერი 2008 | მარტი 2009 | ოქტომბერი 2010 | მაისი 2011 | თებერვალი 2013 | მაისი 2013 |
|----------------|-------------------|---------------|-------------------|---------------|-------------------|---------------|
| პარტნიორობა | 6 | 11 | 18 | 10 | 35 | 30 |
| საფრთხის წყარო | 90 | 86 | 83 | 83 | 63 | 57 |

ანუ, 2012 წლის ოქტომბერში საქართველოში ხელისუფლების (და რუსეთთან ურთიერთობების მიმართ მიდგომის) შეცვლის შემდეგ დამოკიდებულება ჩრდილოელი მეზობლის მიმართ უკეთესობისკენ შეიცვალა. ამავე დროს, ერთგვარი «უძრაობა» რუსეთის, როგორც პარტნიორის აღქმაში 2013 წლის თებერვალიდან მაისამდე აიხსნება იმედგაცრუებით იმის გამო, რომ შემხვედრი ნაბიჯები რუსეთის მხრიდან მოლოდინს (შესაძლოა, გადაჭარბებულს) არ ამართლებს. ამ მოსაზრებას ადასტურებს პასუხების დინამიკაც (2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ) კითხვაზე «კმაყოფილი ხართ თუ არა რუსეთთან ურთიერთობის ამჟამინდელი მდგომარეობით?»²⁶:

²⁵ გამოკითხვა ჩატარა საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა (IRI). იხ.: News Releases // International Republican Institute. URL: <http://www.iri.org/news-events-press-center/news-iri/2008-2012> წელს აქ მოყვანილი კითხვები რესპონდენტებისთვის არ დასმულა.

²⁶ გამოკითხვა ჩატარა ეროვნულ-დემოკრატიულმა (NDI) იხ.: Public Attitudes in Georgia: Results of a September 2013 Survey // National Democratic Institute. 23 September 2013. URL: <http://www.ndi.org/node/20641>

| | მარტი 2013 | ივნისი 2013 | სექტემბერი 2013 |
|----------------------|------------|-------------|-----------------|
| კმაყოფილი ვარ | 38 | 25 | 23 |
| არ ვარ კმაყოფილი | 49 | 63 | 70 |
| არ იციან/პასუხი არაა | 13 | 11 | 7 |

განსახილველ კონტექსტში ინტერესს იწვევს რესპონდენტების დამოკიდებულება მთავრობის კურსის მიმართ შემდეგ საკითხებში (2013 წლის სექტემბრის იმავე გამოკითხვის მიხედვით):

| | იწონებენ | არ იწონებენ | არ იციან/არ აქვთ პასუხი |
|---|----------|-------------|-------------------------|
| ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქტების დაბრუნება რუსეთის ბაზარზე | 89 | 6 | 5 |
| სოჭის ზამთრის ოლიმპიადაში მონაწილეობა | 76 | 11 | 13 |
| აფხაზეთზე რკინიგზის აღდგენა | 75 | 15 | 10 |
| ევროკავშირში ინტეგრაცია | 81 | 9 | 10 |
| საქართველოს ნატოსთან მიერთება | 73 | 16 | 11 |

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მოქალაქეებს სურთ ევროკავშირი და ნატო, მაგრამ ასევე სურთ რუსეთთან მოწესრიგებული ურთიერთობებიც.

შესაძლებლობები

მოსკოვის მხრიდან შემხვედრი ნაბიჯები (ან მათი არარსებობა), მართლაც იმედგაცრუების მიზეზი შეიძლება იყოს, ყოველ შემთხვევაში – თბილისის ორ მნიშვნელოვან ინიციატივასთან დაკავშირებით. სოჭის ზამთრის ოლიმპიადის ბოიკოტზე უარის მიღმა იკითხება საქართველოს ახალი ხელისუფლების მზაობა, გადახედოს მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკას ჩრდილო კავკასიის მიმართ²⁷, სადაც, ბევრის მოსაზრებით, ორი ქვეყნის ინტერესები უფრო თანხვედრილია, ვიდრე რომელიმე სხვა საკითხში. რუსეთის დაინტერესება იმით, რომ მისი კავკასიური საზღვარი (უმეტესწილად – საქართველოსთან) საიმედოდ იყოს დაცული ბოევიკებისა და იარაღის გადადინება-გადმოდინებისგან, სტაბილურ და გრძელვადიან ხასიათს ატარებს. იგივეს ესწრაფვის საქართველო თავის ჩრდილო საზღვარზე და საერთო ენის გამონახვა ამ საკითხში შესაძლებელია. სოჭის ოლიმპიადის დროს (და მის შემდეგაც) უსაფრთხოების მთავარი განზომილება

²⁷ დაწვრილებით იხ.: ხაინძრავა И. Кавказский дом по тбилисскому проекту // Россия в глобальной политике. 2012. Т. 10. № 1. С. 168–179. URL: <http://www.globalaffairs.ru/number/Kavkazskii-dom-po-tbilisskomu-proektu-15469>

ჩრდილოკავკასიურია და ამ ფაქტორის გამოყენება შესაძლებელია ურთიერთნდობის ასაშენებელად თანხვედრილი ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით.

სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტის იდეა ნამდვილად არ იყო უცხო მიხეილ სააკაშვილისთვის, მაგრამ ჯერ კიდევ 2011 წელს მან განაცხადა, რომ ოლიმპიური თამაშებისთვის «ფიზიკური მუქარის» შექმნა არც საქართველოს გეგმებში შედის, და არც მის შესაძლებლობებში²⁸. მიუხედავად ამისა, როცა 2012 წელს აფხაზეთში აღმოაჩინეს სამალავები იარაღითა და საბრძოლო მასალით, რაც, სავარაუდოდ, სოჭის ოლიმპიადის წინააღმდეგ მიმართული ტერაქტებისთვის იყო განკუთვნილი, ბევრმა მოსკოვში, ჩვეულებისამებრ, ქართული სპეცსამსახურები დაადანაშაულა ტერორისტებთან თანამშრომლობაში²⁹. არანაირი სამხილი, რომელიც დაადასტურებდა საქართველოს კავშირს ამ ინციდენტთან, არც მაშინ და არც მერე არ წარმოუდგენიათ, ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში, როცა რუსეთმა დაადანაშაულა საქართველოს სპეცსამსახურები ჩრდილოკავკასიური ექსტრემისტული და ფუნდამენტალისტური ორგანიზაციების მხარდაჭერაში. საიდუმლოებით მოცული რჩება ბოევიკთა რაზმის უცნაური თავგადასავალი საქართველოს ჩრდილოეთში, რაც დასრულდა სპეცოპერაციით ლაფანყურში 2012 წლის აგვისტოს ბოლოს, ანუ საპარლამენტო არჩევნების წინ³⁰. თუმცა, ჯერ ერთი, ეს ინციდენტი ლოკალიზებულ იქნა საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში და, მეორეც, მოსკოვმა საჭიროდ არც კი ჩათვალა ოფიციალური რეაგირება ამ შემთხვევაზე³¹.

საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ არა მხოლოდ დაადასტურა სპორტსმენების სოჭის თამაშებში მონაწილეობა, არამედ გამოაცხადა, რომ გააკეთებს ყველაფერს, რაც კი მის შესაძლებლობებშია, ოლიმპიადის უსაფრთხოებისთვის³². დაიწყო კიდეც კეთება: 2013 წლის 13 სექტემბერს ბათუმში დააკავეს რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, ჩეჩნეთის მკვიდრი იუსუფ ლაკავი, რომელიც ირიცხებოდა იმ პირთა სიაში, ვინც საფრთხეს წარმოადგენს 2014 წლის ოლიმპიადისთვის³³;

²⁸ სააკაშვილი: საქართველო სოჭის ოლიმპიადას ნულოვან საფრთხეს უქმნის // Civil.ge. 25 თებერვალი, 2011. URL: <http://www.civil.ge/geo/article.php?id=23710&search=>

²⁹ იბ., მაგალითად: ერთი გვარი გვარი უმაროვა // Аргументы и факты. 10 მაისი, 2012. URL: <http://www.aif.ru/incidents/33220>; უმაროვა მოგვიანებით გვინდრობდა გვარი უმაროვა // Единая Россия. 10 მაისი, 2012. URL: <http://www.er.ru/news/2012/5/10/umarova-mogut-podderzhivat-gruzinskie-specsluzhby-schitayut-v-gosдуме/>; ბორისოვ თ. გამარჯობა, უმაროვა // Российская газета. 11 მაისი, 2012. URL: <http://www.rg.ru/2012/05/10/terrorizm-site.html>

³⁰ События в южной Осетии в августе 2008 года // Кавказский Узел. 23 октября 2013. URL: <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/219343>

³¹ ენდრიუ კოვერნის საინტერესო მოსაზრებები ამ ამბის თაობზე იბ.: Harper's Magazine. Andrew Cockburn. The Bloom comes off the Georgian Rose // Harper's Magazine. 31 იქტომბერი 2013. URL: <http://www.harpers.org/blog/2013/10/the-bloom-comes-off-the-georgian-rose>

³² იბ. მაგალითად: ივანიშვილი გვიანდებოდა ბოლოვანი მოსაზრებების მიზნით სამოსახურში ამ ამბის თაობზე იბ.: Harper's Magazine. Andrew Cockburn. The Bloom comes off the Georgian Rose // Harper's Magazine. 31 იქტომბერი 2013. URL: <http://www.harpers.org/blog/2013/10/the-bloom-comes-off-the-georgian-rose>

³³ ბეგვაძე ს. ტერორისტი მოსაზრებების მიზნით გვიანდებოდა ბოლოვანი მოსაზრებების მიზნით სამოსახურში ამ ამბის თაობზე იბ.: Harper's Magazine. Andrew Cockburn. The Bloom comes off the Georgian Rose // Harper's Magazine. 31 იქტომბერი 2013. URL: <http://www.harpers.org/blog/2013/10/the-bloom-comes-off-the-georgian-rose>

³⁴ ბეგვაძე ს. ტერორისტი მოსაზრებების მიზნით გვიანდებოდა ბოლოვანი მოსაზრებების მიზნით სამოსახურში ამ ამბის თაობზე იბ.: Harper's Magazine. Andrew Cockburn. The Bloom comes off the Georgian Rose // Harper's Magazine. 31 იქტომბერი 2013. URL: <http://www.harpers.org/blog/2013/10/the-bloom-comes-off-the-georgian-rose>

რუსული მხარის მიერ ლაკაევი ეჭვმიტანილია სოხუმში რუსი დიპლომატის მკვლელობაში თანამონაწილეობაში. მის დაკავებასთან დაკავშირებით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ განცხადა, რომ ოფიციალურმა თბილისმა რამდენიმე თვის წინ შესთავაზა მოსკოვს თანამშრომლობა სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მაგრამ ეს წინადადება უპასუხოდ დარჩა³⁴. უფრო ადრე, რუსულ მხარესთან სოჭი-2014-ის კონტექსტში თანამშრომლობისთვის მზადყოფნის თაობაზე განცხადება გააკეთა აშშ-ში ვიზიტად მყოფმა (ადგილი, საფიქრალია, შემთხვევით არ იყო შერჩეული) საქართველოს თავდაცვის მინისტრმა³⁵. თუ გავაანალიზებთ ვლადიმერ პუტინის ორ განცხადებას საქართველოს მოქალაქეთათვის სავიზო რეჟიმის თაობაზე – 2013 წლის ივნისში მან თქვა, რომ ორი ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოებისა და სპეცსამსახურების თანამშრომლობა გახდებოდა ნაბიჯი სავიზო რეჟიმის გამარტივების მიმართულებით³⁶, დეკემბერში კი განაცხადა, რომ შესაძლებლად მიაჩნია უვიზო რეჟიმის დაბრუნება³⁷ – შეიძლება ვიფიქროთ, რომ სამუშაო კონტაქტები სპეცსამსახურებს შორის დამყარდა. თუმცა პუტინის ბოლო განცხადებას, შესაძლოა, სხვაგვარი სარჩულიც ედოს: დაბლოკა რა ამ ეტაპზე სომხეთისა და უკრაინის ევრომისწრაფებები, რუსეთი ახლა საქართველოს მიადგა, დასაწყისისთვის მას «თაფლაკვერი» დაანახა, «მათრახი» კი პოსტოლიმპიური პერიოდისთვის შემოინახა.

თბილისის მეორე მნიშვნელოვანი ინიციატივა – აფხაზეთზე სატრანზიტო სარკინიგზო მოძრაობის აღდგენა – ასევე მოსკოვის ოფიციალური პასუხის გარეშე დარჩა. ამოუწურავ სარკინიგზო თემაში ჩაღრმავების გარეშე³⁸, რაც ცალკე გამოკვლევას მოითხოვს (ამ პროექტის მიმართ დამოკიდებულება სხვადასხვანაირია ბაქოში, ერევანში, ანკარაში, თეირანში და, საფიქრალია, სხვა დედაქალაქებშიც), უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთი პოლიტიკურად სხვაზე უფრო მეტად დაინტერესებულ მხარედ გამოიყურება და მისი გარეგნული ინდიფერენტულობა ამ პროექტისადმი გაკვირვებას იწვევს.

«სამაგიეროდ», მოსკოვი ინტენსიურად აიარაღებს საქართველოს ორ უშუალო მეზობელს სამხრეთ კავკასიაში (არა მხოლოდ სომხეთს, არამედ აზერბაიჯანსაც) და ამას

³⁴ იქვე.

³⁵ Вартанян О. США выдали Аласания аванс // Эхо Кавказа. 22 აგვისტო, 2013. URL: <http://www.ekhokavkaza.com/content/article/25083440.html>

³⁶ Россия хочет восстановить отношения с Грузией // Интерфакс.12 ივნისი, 2013. URL: <http://www.interfax.ru/russia/txt/311976>

³⁷ «Большая» пресс-конференция президента РФ по итогам 2013 года // NEWSru.com. 19 დეკემბერი, 2013. URL: <http://www.newsru.com/russia/19dec2013/pressputin13.html>

³⁸ Экономические аспекты этого проекта см.: Мириманова Н. Восстановление железных дорог на Южном Кавказе: оценка потенциального экономического эффекта // International Alert. October 2013. URL: http://www.international-alert.org/sites/default/files/Caucasus_RailwaysRehabilitationPt1_RU_2013.pdf

რეგიონში სამხედრო პარიტეტის შენარჩუნების აუცილებლობით ხსნის³⁹. ეს განმარტება, თუმცადა, საეჭვოა, რამდენადაც მოვლენების ამნაირად განვითარება ამოაგდებს საქართველოს რეგიონული პარიტეტიდან⁴⁰. პროცესს თან ახლავს რიტორიკა იმის თაობაზე, თუ რა რარიგ კეთილგანწყობილია რუსეთის ხელმძღვანელობა ქართველი ხალხისადმი და რა კარგი იქნებოდა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების გაუმჯობესება.

რაც შეეხება ხალხთა შორის ურთიერთობას, ასე ჩანს, რომ ვითარება აქ უკეთესია, ვიდრე პოლიტიკურ დონეზე. ქართული მიდგომის ფორმულირება ასე შეიძლება: ქართველ ხალხს რუს ხალხთან ურთიერთობის პრობლემა არ აქვს, მაგრამ საქართველოს აქვს დიდი პრობლემები რუსეთთან ურთიერთობაში. რუსული მიდგომა არაერთგვაროვანია. ქართველებს მიაკუთვნებენ «კავკასიური ეროვნების პირებს» (лица кавказской национальности), რომელთა მიმართ რუსეთში განსაკუთრებული სიმპათიები არ შეინიშნება. სამარცხვინო კამპანია მოსკოვის სკოლებში ქართული გვარის მატარებელი ბავშვების გამოსავლენად, ქართველების დეპორტაცია რუსეთიდან სატვირთო თვითმფრინავებით 2006 წლის შემოდგომაზე, ადასტურებს რუსეთში მათი მდგომარეობის ორჟოფულობას. იმ პერიოდში რუსეთში გამოკითხულთა 38%-მა მხარი დაუჭირა ყველა ქართველის, მათ შორის – რუსეთის მოქალაქეობის მქონეთა – დეპორტაციას (49% – წინააღმდეგი)⁴¹. მიუხედავად ამისა, ასი ათასობით ქართველი აგრძელებს მუშაობას რუსეთში და მატერიალურად ეხმარება თავის ნათესავებს, აგზავნის რა სამშობლოში უფრო მეტ ფულს, ვიდრე ყველა სხვა ქვეყნიდან ერთად აღებული⁴². რუსეთიდან საქართველოში ჩამოსული ტურისტები (მათი რიცხი კი ყოველწლიურად იზრდება) ურიგო შთაბეჭდილებებით როდი ბრუნდებიან სამშობლოში და განსაკუთრებით აღინიშნავენ ანტირუსული განწყობების არარსებობას.

საქართველოს ხმირისტუმარი, უურნალისტი და პოლიტოლოგი ფიოდორ ლუკიანოვი, ასე გადმოსცემს შექმნილი ვითარების მისეულ ხედვას: «რატომ უნდა ვიღვაწოთ საქართველოსთან ურთიერთობების მისაღებ დონეზე დასაბრუნებლად? ნატო აქტუალური აღარაა. მტრული პოლიტიკა ჩრდილო კავკასიაში საეჭვოა, რომ ახალი ხელისუფლების დღის წესრიგში იყოს. ყოფილ ავტონომიებს თბილისი ვერ აკონტროლებს. მჭიდრო

³⁹ Россия продает оружие Азербайджану для сохранения паритета сил в Закавказье – Бордюжа // Регнум. 26 03бისი, 2013 წელი. URL: <http://www.regnum.ru/news/russia/1676314.html>

⁴⁰ ქ. ბონის საერთაშორისო კონვენციის ინსტიტუტის (BICC) მიერ შედგენილ მილიტარიზაციის გლობალურ რეიტინგში (Global Militarization Index-2013), სომხეთმა მეოთხე ადგილი დაიკავა ყველაზე მილიტარიზებული ქვეყნების სიაში, აზერბაიჯანმა – მე-9, საქართველომ – 54-ე (რუსეთმა მე-3, თურქეთმა 23-ე, ირანმა 28-ე). Армения и Азербайджан вошли в первую десятку самых милитаризированных стран мира // Регнум. 8 ნოემბერი, 2013. URL: <http://www.regnum.ru/news/fd-abroad/georgia/1730118.html>

⁴¹ 38 процентов россиян выступают за депортацию всех грузин // Лента.ру. 20 თებერვალი, 2006. URL: <http://www.lenta.ru/news/2006/10/20/deport>

⁴² За 11 месяцев в Грузию поступило 1,3 млрд долларов денежных переводов // Новости–Грузия.18 დეკემბერი, 2013. URL: <http://www.newsgeorgia.ru/economy/20131217/216235221.html>

კავშირის პერსპექტივები არ იკვეთება. იმგვარი ინტერესები, დიდ ძალისხმევას რომ გაამართლებდა, არ არის. მერკანტილური თვალსაზრისით ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ, რაც არ უნდა ხდებოდეს ურთიერთობებში, საქართველო არის ქვეყანა, რომელიც კულტურულად და ისტორიულად ძალიან ახლოა რუსეთთან. თანამედროვე მსოფლიოში, სადაც იზრდება ზედაპირული ერთობა, მაგრამ ღრმავდება არსებითი გაუცხოება, ასეთი «აქტივების» გაფლანგვა მიზანშეუწონელია»⁴³.

ცალკე კვლევას იმსახურებს ეკლესიათაშორისი კავშირები. ნებისმიერი საზომით ცუდი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ფონზე საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიები ინარჩუნებენ დალაგებულ, ხაზგასმულად პატივისცემით გამსჭვალულ ურთიერთობას, რასაც საფუძვლად უდევს არა მხოლოდ ერთმორწმუნეობა, არამედ პოლიტიკური (რა პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს ეს) ინტერესების თანხვედრაც. მეტიც, ქართული საზოგადოების ლიბერალურ, დასავლეთზე ღირებულებებით ორიენტირებულ ნაწილში ფეხს იკიდებს შიში, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისადმი ხალხის ტრადიციულად მაღალი ნდობიდან გამომდინარე – ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ – რუსული ღვთისმეტყველების (თანაც – მისი რეტროგრადული მიმართულების) ქართველ მღვდელმსახურებზე შესამჩნევი გავლენის გამო, სწორედ ეკლესია წარმოადგენს თუმცა შენიდბულ, მაგრამ ყველაზე უფო ეფექტურ არხს საქართველოში რუსეთის გავლენის გაძლიერებისა. გლობალური მასშტაბით რუსეთმა იწყო თავის წარმოჩენა, როგორც ქრისტიანული ფასეულობების ბურჯმა (უფრო გაშლილად ამის შესახებ – ქვემოთ), რაც გააძლიერებს კლერიკალური წრეების ლტოლვას ახალი «ზნეობრივი ორიენტირისკენ». აღსანიშნავია, რომ 15 ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიიდან მხოლოდ იერუსალიმის, რუსეთის, საქართველოსა და სერბეთის ეკლესიები არ გადასულან ახალ სტილზე, რაც ხაზს უსვამს მათ თვითიზოლაციას დანარჩენი ქრისტიანული (ამ შემთხვევაში – დასავლური) სამყაროსგან. მოკლედ რომ ითქვას, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ორიენტაციის ვექტორი არ ემთხვევა პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივს.

კონფლიქტი კონფლიქტების ირგვლივ

მუგვარებელი ქართულ-აფხაზური და ქართულ-სამხრეთოსური კონფლიქტები სერიოზული პოლიტიკური და მთავარი ემოციური (ქართული მხრიდან, ყოველ შემთხვევაში)

⁴³ Лукьянин Ф. Зачем нам Грузия? // Российская газета. 6 февраля 2013 года. URL: <http://www.rg.ru/2013/02/06/lukjanov.html>

დაბრკოლებააქართულ-რუსულიურთიერთობებისმოწესრიგების გზაზე. აქ იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს არასდროს გაუზიარებია საქართველოს ყოფილი ხელისუფლების (მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით) გამარტივებული მიდგომა, რომლის მიხედვით საქართველოს თითქოს აქვს მხოლოდ ერთი ტოტალური კონფლიქტი რუსეთთან, ყველა დანარჩენი კი (მათ შორის – კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში) მისგან გამომდინარეა. ქართულ-აფხაზურ და ქართულ-სამხრეთოსურ კონფლიქტებს გააჩნია საკუთარი ისტორია, ფესვები, გენეზისი და რუსული ფაქტორი უცბად რომც გაქრეს, ეს კონფლიქტები თავისთავად, ერთბაშად და ავტომატურად ვერ მოგვარდება. მიუხედავად იმისა, რომ სწორედ რუსულმა ფაქტორმა აქცია ეს კონფლიქტები ამ მომენტისათვის გადაუჭრელ საერთაშორისო მასშტაბის პრობლემებად, საქართველოს ყველა წინა ხელმძღვანელობამ, მეტად თუ ნაკლებად, თავისი წვლილი შეიტანა მათ გაღრმავებაში (ან უსუსური აღმოჩნდა მათი პრევენციისა თუ მოგვარების საქმეში). ავტორი არ იზიარებს არც მათ ზედაპირულ მიდგომას, ვისაც სჩვევია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების სიმეტრიულად, ერთ სიბრტყეში განიხილვა; ამ შემთხვევაში ხომ უგულებელყოფილია მრავალი, მათ შორის – ფუნდამენტური ხასიათის განსხვავება, რომელთა შორის საკმარისია იმ გარემოების აღინიშვნა, რომ სამხრეთოსური ნაციონალური პროექტი თავისი არსით ირედენტისტულია⁴⁴ და სამხრეთ ოსეთის «დამოუკიდებლობას» სერიოზულად არ აღიქვამენ არა მხოლოდ მოსკოვში, არამედ ცხინვალშიც⁴⁵.

აფხაზური ნაციონალური პროექტი (ეთნიკური აფხაზების ნაციონალური პროექტი – ამ გარემოებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს განსახილველ კონტექსტში) კი მიზნად ისახავს აფხაზთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობას, იმდენად დამოუკიდებლის, რამდენადაც ეს შესაძლებელია თანამედროვე მსოფლიოში. ათწლეულების მანძილზე (ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული, როცა აფხაზები პერიოდულად სთხოვდნენ საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოს შემადგენლობიდან გაყვანას და რსფსრ-სთან მიერთებას) აფხაზთა მისწრაფების არსი მდგომარეობდა შემდეგში: რუსების დახმარებით თავი დაეღწიათ ქართველებისგან, შემდეგ კი რამენაირად დასხლტოდნენ რუსებსაც. მოცემულ მომენტში ამ პროგრამის პირველი ნაწილი მეტად თუ ნაკლებად შესრულებულია: აფხაზეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების

⁴⁴ იხ. მაგალითად: გუკემუხოვ მ. Национальная идея для разделенного этноса // Эхо Кавказа. 19 დეკემბერი, 2013. URL: <http://www.ekhokavkaza.com/content/article/25205457.html>

⁴⁵ დაწვრილებით იხ.: ი. ხაინდრავა. ორი ოსეთი ქართულ-რუსული ურთიერთობის კონტექსტში // რუსეთი და საქართველო: გამოსავლის ძიებაში. ქართველი და რუს ექსპრესების მიერ შემუშავებული საზოგადოებრივი პოლიტიკის სარეკომენდაციო დოკუმენტები. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. 2011. გვ.114-128. URL: http://www.gfsis.org/media/download/library/articles/RUSSIA_AND_GEOGRAPHY_SEARCHING_THE WAY_OUT_Georgian_Publication.pdf

თითქმის სამი მეოთხედის განდევნა მოხერხდა, 2008 წლის რუსულ-ქართული ომის შემდეგ კი რუსეთის ფედერაციამ აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა (რუსეთის კვალდაკვალ მისი დამოუკიდებლობა ცნეს ნიკარაგუამ, ვენესუელამ, ტუვალუმ და ნაურუმ), რაც აფხაზეთის საქართველოსგან სეცესიის საკმაოდ მტკიცე გარანტიად გამოიყურება.

თუმცა აფხაზური პროექტის რეალიზაციის გზაზე ორი გადაულახავი დაბრკოლებაა. პირველი – რუსეთმა იმისთვის კი არ წაართვა საქართველოს აფხაზეთი სამხედრო გზით, რათა უზრუნველყოს მისი რეალური დამოუკიდებლობა, მათ შორის – საკუთრივ რუსეთისგანაც. ის არცთუ მცირე სახსრებს ახარჯავს აფხაზეთს: ამ უკანასკნელის ბიუჯეტში რუსული წილი წლიდან წლამდე საშუალოდ 70%-ს შეადგენს⁴⁶ (სამხრეთ ოსეთში კი – 90%-ს⁴⁷), მაგრამ ამას უანგაროდ როდი აკეთებს. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსეთის სამხედრო პლაცდარმებია საქართველოში (სამხრეთ კავკასიაში, «ახლო საზღვარგარეთში», თურქეთის – ნატოს წევრი ქვეყნის – უშუალო სიახლოვეს). აფხაზეთი შავი ზღვის სანაპიროს მიმზიდველი ზოლიცაა, უშუალოდ ესაზღვრება 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარების ადგილს, ოჩამჩირის საზღვაო პორტი კი რუსეთის ფედერაციის შავი ზღვის ფლოტის საბრძოლო ხომალდების ბაზად გამოიყენება. რუსეთმა აფხაზეთში მონოპოლიური მდგომარეობა მოიპოვა სამხედრო-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ნებისმიერ სხვა (კულტურულ, ინფორმაციულ) ასპექტში და როგორ აპირებს აფხაზური ელიტა რუსეთის დომინირებისგან თავის დაღწევას, გაუგებარია. რუსეთი ხომ ყოველთვის «მიიჩეარის დასახმარებლად», მაგრამ შემდეგ წასვლა «ავიზუდება». არც ისე შორეული ისტორია აფხაზების უახლოესი ნათესავების – სოჭის რაიონის მკვიდრი შაფსუგებისა და უბიხების – თვალნათლივ მოწმობს, თუ რამხელა საფრთხეა ეროვნული თვითმყოფადობისთვის მონოპოლიურ რუსულ სივრცეში ყოფნა.

მეორეც – არ უნდა გვეგონოს, თითქოს აფხაზთა ნაციონალური პროექტი რესპუბლიკის ყველა მცხოვრების კონსენსუსის საგანია. დღეისათვის აფხაზეთის მოსახლეობა (რომელიც ორჯერ და მეტად შემცირდა 1992–1993 წლების შეიარაღებული კონლიქტის წინა პერიოდთან შედარებით) შედგება სამი თანაზომადი ჯგუფისგან – აფხაზების, ქართველებისა და სომხებისგან – და არის საფუძველი ვარაუდისა, რომ რიცხოვნობით მათ თანდათან რუსული თემიც წამოეწევა. სივრცით-პოლიტიკური ორიენტაცია ამ ძირითადი ჯგუფებისა განსხვავებულია. როგორც უკვე ითქვა, აფხაზების უმრავლესობას ზეამოცანად დამოუკიდებლობის მიღწევა

⁴⁶ Счетная палата: план развития Абхазии выполнен лишь наполовину // Граница.ru. 11 марта, 2013. URL: <http://www.grani.ru/Politics/World/Europe/Georgia/m.212474.html>

⁴⁷ Минфин Южной Осетии не контролирует бюджет республики // Известия. 23 апреля, 2013. URL: <http://www.izvestia.ru/news/549114>

დაუსახავს; აფხაზეთში დარჩენილი ქართველები საკუთარ მომავალს ბუნებრივად ხედავენ ერთიან სივრცეში დანარჩენ საქართველოსთან, ხოლო აფხაზეთში მცხოვრები რუსები – ასევე ბუნებრივად – ერთიან სივრცეში რუსეთთან. უფრო რთულადაა სომხური თემის ორიენტაციის საკითხი, რომელიც აქამდე აფხაზების ნაციონალური პროექტის მიმართ ლოიალობას რუსულ სივრცესთან შეუზღუდავი წვდომის სწრაფვას უთავსებდა. ასეა თუ ისე, ეთნოკურატიული მმართველობის გახანგრძლივება აფხაზეთში (ასე, აფხაზეთის კონსტიტუციის 49-ე მუხლში მკაფიოდაა დაფიქსირებული, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტად «აირჩევა აფხაზი ეროვნების პირი») მხოლოდ გაამწვავებს თემთაშორის ურთიერთობებს.

თუმცა ეთნოკურატიის წარმოსახვითმა უარყოფამაც (საამისო მზადყოფნას კი აფხაზები, ჯერ–ჯერობით მაინც, არ ავლენენ) შეიძლება შედეგად გამოიღოს აფხაზური ნაციონალური პროექტის წარუმატებლობა⁴⁸. მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის აცდენილ ინტერესთა კრისტალიზაციის მიმართულებით მოვლენათა განვითარების ალბათობა იზრდება სწორედ რუსეთის მიერ «ქართული საფრთხის» ნეიტრალიზაციის გამო; საფრთხის არარსებობის პირობებში ხომ მცირდება საზოგადოებიც კონსოლიდაციის ხარისხი, სამაგიეროდ იზრდება მოუგვარებელი შიდა პრობლემების მნიშვნელობა. განხეთქილება აფხაზობაში აფხაზეთის პასპორტების (რომლებიც, თუმცალა, არ უღიარებია საერთაშორისო თანამეგობრობას) რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები ეთნიკური ქართველებისთვის დარიგების გამო და ამასთან დაკავშირებული უსაფრთხოების მდივნის სკანდალური გადადგომა, აზრთა სხვადასხვაობა მიწის საკუთრების საკითხებზე თუ აფხაზეთის არამოქალაქეების მიერ უძრავი ქონების შეძენის უფლების თაობაზე და სხვ., მოწმობს, რომ ურთიერთსარგებლიანი გადაწყვეტილებების მიღება ვერ ხერხდება, ხოლო ეთნიკური სარჩულის მქონე პრობლემები კი არ იჭრება, არამედ გროვდება.

ანგარიშგასაწევია მზარდი ორმხრივი გაღიზიანებაც სოხუმისა და მოსკოვის ურთიერთობებში, რაც ადვილად შეინიშნება პოლიტიკოსებისა თუ ექსპერტების გამონათქვამებში. აფხაზებს აშფოთებთ, რომ რუსეთის მიერ მათი დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ დამოუკიდებლობის ხარსისხი კიდევ უფრო შეუმცირდათ და სოხუმს საკუთარი თვალთახედვის შესატყვისი გადაწყვეტილებების მიღების არე შეეზღუდა. საგარეო ასპარეზზე რუსეთი სულაც არ ლობირებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას ისე დაჟინებით და წარმატებით, როგორც ამაზე აფხაზები ოცნებობდნენ. იმედები იმის გამოც გაუცრუვდათ, რომ აფხაზეთმა

⁴⁸ იხ., მაგალითად: მარკედონ ს. პარალელно противоположные проекты // Эхо Кавказа. 30 სექტემბერი, 2013. URL: <http://www.ekhokavkaza.ru/content/article/25122058.html>

ვერ მიიღო მატერიალური სარგებელი ზამთრის ოლიმპიადისთვის მზადებისგან, სოხუმის აეროპორტი «საოლიმპიადოდ» არ გახსნილა, ხოლო თამაშების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შემოღებული მკაცრი ზომები⁴⁹ უშუალოდ შექმო აფხაზეთის მაცხოვრებლებსაც. რუსეთში კი უკმაყოფილებას იწვევს სოხუმის მცდელობები გამოავლინოს დამოუკიდებლობა მაშინ, როცა რუსეთი არა მხოლოდ ერთადერთი გარანტია აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფის, არამედ, ფაქტობრივად, საკუთარი სახსრებით ინახავს რესპუბლიკას. მოსკოვისა და სოხუმის ურთიერთობა დაამძიმა ორმა ორმაგმა მკვლელობამაც: რუსი მეწარმის სერგეი კლემანტოვიჩისა და მისი თანამგზავრის ოქსანა სკარედნოვას, აგრეთვე სოხუმში რუსეთის საელჩოს პირველი მდივნის, დიმიტრი ვიშერნევისა და მისი მეუღლისა (ჭრილობებისგან გარდაიცვალა საავადმყოფოში). საყოველთაო აღშფოთება რუსეთში ამას არ მოჰყოლია (წარმოვიდგინით, რა მოხდებოდა, რუსი დიპლომატი თბილისში რომ მოეკლათ), მაგრამ უარყოფითი პოტენციალის დაგროვებაში ამ სამწუხარო მოვლენებმა თავისი წვლილი შეიტანა.

თქმა იმისა, თითქოს სოხუმის შეშფოთება რუსეთის დომინირების გამო ტრანსფორმირდება საქართველოს, როგორც შესაძლო ალტერნატივის მიმართ ინტერესის ზრდაში, ნაადრევია. ოცი წელია სოხუმი ჯიუტად დისტანცირდება თბილისისგან, რუსული ხელით აგებს «ბერლინის კედელს» აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის გამყოფ ხაზზე, ცდილობს წაუყრუოს პოზიტიურ პროცესებსა და ტენდენციებს საქართველოში, სამაგიეროდ ხალისით ისმენს და იმახსოვრებს ნებისმიერ ნეგატიურ ინფორმაციას მის შესახებ. რუსეთის დისკომფორტი კი იმ დამატებითი პრობლემების გამო, რასაც მას აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი უქმნიან, მათ შორის – «კმარა კავკასიის გამოკვება» მომძლავრებულ კონტექსტში, სულაც არ ტრანსფორმირდება საქართველოსთვის მათი «დაბრუნების» იდეაში, რათა მათ თავად არკვიონ თავისი საქმეები. ამასობაში კი ორმხრივი უნდობლობა ერთმანეთის ჭეშმარიტი ზრახვების მიმართ მატულობს სოხუმშიც და მოსკოვშიც.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, რომ აფხაზეთი (და სამხრეთ ოსეთი) მრავალი მაჩვენებლით რუსეთის ფედერაციის ჩრდილოკავკასიურ სუბიექტებთან ერთ რიგში მოხვდნენ და თუ რამ ჯერ კიდევ აკავშირებთ სამხრეთ კავკასიასთან, ესაა გადაუჭრელი კონფლიქტები საქართველოსთან და ასობით ათასი ლტოლვილისა თუ გადაადგილებული პირის პრობლემა. მეორე მხრივ კი შეიძლება საუბარი ჩრდილო კავკასიის

⁴⁹ об.: Указ Президента Российской Федерации от 19 августа 2013 г. № 686 «Об особенностях применения усиленных мер безопасности в период проведения XXII Олимпийских зимних игр и XI Паралимпийских зимних игр 2014 года в г. Сочи» // Российская газета. URL: <http://www.rg.ru/2013/08/23/bezopasnost-dok.html>

«გადმოდინებაზე» სამხრეთში – სწორედ ამ წარმონაქმნების მიმართულებით. ამას ადასტურებს როგორც ერთიანი ოსეთის იდეა, ისე, უფრო მეტად, ის ფაქტი, რომ საერთო ადილეურ (ჩერქეზულ) დისკურსში აფხაზეთი მათი სასიცოცხლო სივრცის განუყოფელ ნაწილად განიხილება, მიუხედავად იმისა, თუ რას ფიქრობენ ამის თაობაზე საკუთრივ აფხაზები. მეტიც, აფხაზეთი (და სამხრეთ ოსეთიც) ჯერ კიდევ 1980–1990-იანი წლების მიჯნაზე, როცა დაფუძნდა კავკასიის მთიელი ხალხების კონფედერაცია (მოგვიანებით სიტყვა «მთიელი» ამოიღეს სახელწოდებიდან), სწორედ ჩრდილოვაკასიურ დისკურსში დაფიქსირდა. მაშინ ამ ორგანიზაციის შტაბ-ბინის ადგილსამყოფელი სოხუმი გახდა, ხოლო თავად კონფედერაციამ 1992–1993 წლებში აფხაზეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში ქართველების წინააღმდეგ აქტიურობით გამოიჩინა თავი.

დღეისათვის აფხაზეთი თითქოს «გამოეკიდა» სამკუთხედში რუსეთი-ჩრდილო კავკასია-საქართველო. მსოფლიოს სახელმწიფოთა უდიდესი უმრავლესობა მას საქართველოს ნაწილად მიიჩნევს, მაგრამ არსობრივად ის რუსეთის ნაწილი გახდა, კონკრეტულად კი – ფედერაციის ერთობ სპეციფიკური, მოზაიკური და მეტად პრობლემური რეგიონის – ჩრდილო კავკასიისა, რომელსაც თავის მხრივაც უჭირავს მასზე თვალი. სად რჩება აქ ადგილი და წანამძღვრები აფხაზების ნაციონალური პროექტის განსახორციელებლად, სრულიად გაუგებარია. მეტიც, როგორც შენიშნა რუსმა ანალიტიკოსმა, ალექსეი ტოვარევმა, აფხაზები განიცდიან დიდი ნაციონალური პროექტის ნაკლებობას; ისეთისა, რომლის გარეშე შეუძლებელია ახალი პოსტსაბჭოთა ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბება⁵⁰.

ასეა თუ ისე, სამხრეთ კავკასიის ორი ტერიტორიის «გადინება» ჩრდილოეთით და შემხვედრი პროცესი – ჩრდილო კავკასიის სამხრეთისკენ «გადმოდინება» – გეოპოლიტიკური განზომილების მქონე მოვლენებია, რაც უპირველესად ქართველი და რუსი ექსპერტების (მაგრამ არა მხოლოდ მათი) სიღრმისეულ ანალიზს მოითხოვს.

კონფლიქტები და ევროპა

2008 წლის ომის შედეგად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მისაღებ პირობებზე მოგვარების იმედები საქართველოს კატასტროფულად შეუმცირდა. დაკარგული პოზიციებისა და პერსპექტივების კომპენსირებას მიხეილ სააკაშვილი ევროკავშირის გააქტიურებით შეეცადა, თუმცა არც არავინ იყო სხვა, ვისი გააქტიურებაც შეიძლებოდა, რადგან 2009

⁵⁰ Токарев А. Национальный проект Абхазии // Политком.ру. 7 октября 2013. URL: <http://www.politcom.ru/16510.html>

წელს თეთრ სახლში ადმინისტრაციის შეცვლის შემდეგ, იკლო როგორც აშშ-ის აქტიურობამ სამხრეთ კავკასიაში მთლიანად, ისე მიხეილსააკაშვილის მხარდაჭერამ ვაშინგტონიდან. ევროკავშირის პოლიტიკისა რსიაფხაზეთთან (დასამხრეთოსეთთან) მიმართებით გამოიხატება, როგორც «არაღიარება და ჩართულობა» (non-recognition and engagement policy⁵¹) და იგი ფორმულირებულია ევროპული რბილი ძალის სულისკვეთებით. ამ პოლიტიკის «არაღიარების» ნაწილი მხოლოდ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთ როდი ეხება; მისი განვრცობა შესაძლებელია საქართველოს მიმართ 2008 წელს რუსეთის ნამოქმედარზეც. ტალიავინის კომისიის დასკვნაში ნათქვამია, რომ არამც თუ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს არ ჰქონდათ უფლება საქართველოსგან სეცესიისა, არამედ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება მესამე ქვეყნის მიერ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს⁵². ასე რომ, აფხაზეთის (და/ან სამხრეთ ოსეთის) აღიარების შესაძლებლობის თაობაზე საკითხის დასმაც კი ევროკავშირის წევრი ნებისმიერი სახელმწიფოს მხრიდან გახდებოდა რუსეთის უკანონო ქმედებებისთვის პოლიტიკური ინდულგენციის გამოწერის ტოლფასი და კარს გაუღებდა შემდგომ თვითნებობას საერთაშორისო ასპარეზზე.

«ჩართულობის» ნაწილში კი საქმე ასე ერთმნიშვნელოვნად როდია. სააკაშვილის ხელისუფლებისგან განსხვავებით, ახალი ქართული ხელმძღვანელობა იზიარებს იდეას, რომ აუცილებელი არ არის აფხაზეთის «ჩართულობა» მაინცა და მაინც «საქართველოზე გავლით» განხორციელდეს და დგამს კიდევ აფხაზეთის დეიზოლაციისკენ მიმართულ ნაბიჯებს⁵³. თუმცა მოსკოვის გეგმებშიარ შედის აფხაზეთის გახსნა გარესამყაროსთვის და, უპირველესად, დასავლეთისთვის. ამიტომაც ევროკავშირის მცდელობა, გააქტიურდეს აფხაზეთში (და სამხრეთ ოსეთში), აწყდება ბევრ დაბრკოლებას, უფრო ხშირად – ხელოვნურად და მიზანმიმართულად შექმნილს. მაგალითად, ევროკავშირის დამკვირვებელთა მისია, რომლის მიზანი კონფლიქტის ზონებში სტაბილურობის და ორმხრივი ნდობის დამყარებაა⁵⁴, აფხაზეთსა (და სამხრეთ ოსეთში) უბრალოდ არ შეუშევს; გაეროს მისიის (აფხაზეთში) და ეუთოს სამხრეთ ოსეთში (და მთლიანად საქართველოში) საქმიანობის გაგრძელება კი რუსეთმა 2008 წლის მოვლენების შემდეგ დაბლოკა. აფხაზური ხელმძღვანელობის პოზიცია, რომელიც შეიძლება გამოიხატოს მიდგომით

⁵¹ იხ. მაგალითად: Non-recognition and engagement. The EU's policy towards Abkhazia and South Ossetia // The European Union Institute for Security Studies. 1 December 2010. URL: <http://www.iss.europa.eu/activities/detail/article/non-recognition-and-engagement-the-eus-policy-towards-abkhazia-and-south-ossetia>

⁵² Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia. Vol. 1. P. 17. URL: http://www.ceiig.ch/pdf/IIFFMCG_Volume_I.pdf

⁵³ იხ., მაგალითად: ხაინდრავა ი. Новая власть – новая политика // International Alert. 25 მარტი, 2013. URL: <http://www.international-alert.org/blog/new-government-new-policy-russian>

⁵⁴ მისიას მანდატის შესახებ იხ.: About EUMM // European Union Monitoring Mission in Georgia. URL: http://www.eumm.eu/en/about_eumm

«რადგან თქვენ (ევროკავშირი) არ გვაღიარებთ,ჩვენც საქმეს არ დავიჭირთ თქვენთან», ზედმეტად ამბიციურია, თუკი აფხაზები მართლაც არცთუ მთლად კომფორტულად გრძნობენ თავს რუსეთის დომინირების პირობებში. ბოლოს და ბოლოს ევროპა აფხაზეთს უფრო მეტად სჭირდება, ვიდრე ევროპას – აფხაზეთი. ასეთი მიდგომით აფხაზთა სურვილი დასავლეთის ქვეყნებში დაუბრკოლებელი შესვლისა, თანაც – «ბერლინის კედლის» აღმართვისა და დანარჩენი საქართველოსგან თვითიზოლაციის ფონზე, გადაულახავ წინააღმდეგობებს აწყდება. გასაგები უნდა იყოს, რომ როცა ევროკავშირი ესწრავვის ჩართულობის იდეის განხორციელებას და იმავდროულად მყარად ხელმძღვანელობს არაღიარების პრინციპით, ამის მიღმა სრულიად გონივრული გათვლაა: აფხაზეთის მოზიდვამ და ჩართულობამ არ უნდა დააყენოს რისკის ქვეშ ნდობა საქართველოს მხრიდან, რადგან ამ შემთხვევაში დანაკარგი შენაძენზე განუზომლად მეტი შეიძლება აღმოჩნდეს.

აյ უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ამჟამინდელი ხელმძღვანელობის სწრაფვას, ევროპული კურსის შენარჩუნების პარალელურად, შეამციროს დააბულობა რუსეთთან ურთიერთობაში, რაც დაფიქსირდა 2013 წლის 23 ოქტომბრის ევროპარლამენტის რეზოლუციაში. როგორ წარმოუდგენიათ ეს ევროპელ პოლიტიკოსებს, ბუნდოვანია ისევე, როგორც ბუნდოვანია რუსეთის შესაძლო ნაბიჯები საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირების შემდეგ, უფრო ფართოდ კი – რუსეთის პოლიტიკის ტრაექტორია 2014 წლის თებერვალში სოჭის ზამთრის ოლიმპიადის დასრულების შემდეგ.

შეუთავსებლობა

ასე ჩანს, რომ ამ ეტაპზე სერიოზული ქართულ-რუსული დაახლოება შეუძლებელია. საქართველოს (და არც ვინმე სხვას დედამიწის ზურგზე) არ ძალუმს გარედან რუსეთის, მსოფლიოში თავისი ადგილის თაობაზე მისეული ხედვის შეცვლა (ეს რუსეთის ხალხის საქმეა). ამ ხედვას, რომელიც ვლადიმერ პუტინმა კლუბ «ვალდაის» მორიგ სხდომაზე 2013 წლის სექტემბერში წარმოდგინა⁵⁵, ლილია შევცოვა შემდეგნაირად განმარტავს: «პუტინის 'ვალდაის დოქტრინა' გამაწილებელია. იგი 'სბორნაია სალიანკას' შთაბეჭდილებას ახდენს, სადაც მზარეულმა დაუხედავად ჩაყარა შეუთავსებელი ინგრედიენტები: სოვეტიზმი, ნაციონალიზმი, იმპერიალიზმი, მართლმადიდებლური ფუნდამენტალიზმი. მნელია, ამ ნარევს 'იდეოლოგია' ეწოდოს,

⁵⁵ Выступление Владимира Путина на заседании клуба «Валдай» // Российская газета. 19 Сექტემბერი, 2013. URL: <http://www.rg.ru/2013/09/19/stenogramma-site.html>

თუმცა მისი ძირითადი იდეა, პუტინის მიერ გახმოვანებული, ეჭვს არ იწვევს. პუტინის ‘ვალდაის დოქტრინის’ არსია არა მხოლოდ დასავლეთის გარიყვა, არამედ რუსეთს შიგნით დასავლეთის, როგორც ლიბერალურ-დემოკრატიული ნორმების ერთობლიობის შეკავება, რუსეთს გარეთ კი – დასავლეთის საგარეო ინტერესების შეზღუდვა». შემდეგ: «პუტინი უარყოფს დასავლეთს, როგორც სისტემას, როგორც აზროვნების წესს, როგორც ცხოვრების წესს». და ბოლოს: «პუტინი არ შემოიზღუდა დასავლეთის გასრესით. მან გამოიწვია დასავლეთი, განაცხადა რა, რომ მისი წინამდლოლობით რუსული ცივილიზაცია საკუთარ თავზე იღებს დასავლეთის მიერ დაკარგული ქრისტიანული ღირებულებების აღორძინებას. თანაც საუბარი ეხება არა მხოლოდ იმას, რომ რუსეთი მორალურ-ზნეობრივი ნორმების საყრდენი ხდება. პუტინი აპირებს გადააქციოს პოსტსაბჭოთა სამყარო ‘გლობალური განვითარების დამოუკიდებელ ცენტრად’. მოკლედ, პუტინმა აცნობა მსოფლიოს, რომ მისი წინამდლოლობით რუსეთი **ანტიდასავლეთად** იქცევა, ანუ – ლიბერალური დემოკრატიების საპირწონედ და ოპონენტად»⁵⁶.

ტონალობით უფრო თავშეკავებული იყო რუსეთის პრეზიდენტის მიმართვა ფედერალურ კრებას 2013 წლის 12 დეკემბერს⁵⁷, სადაც ვლადიმერ პუტინმა კონსერვატიზმი სახელმწიფო იდეოლოგიად გამოაცხადა. თუმცა ამ შემთხვევაშიც რუსული კონსერვატიზმი უპირისპირდება დასავლურ ლიბერალიზმს საწინააღმდეგო იდეოლოგიური პოლუსის შექმნის მიზნით⁵⁸.

საინტერესოა, რომ განუხრელად მზარდი რუსული ანტიდასავლურობა ჯერ კიდევ 2009 წელს სრულიად მოულოდნელი მხრიდან გააკრიტიკეს. რუსეთის საპატრიარქოს ბავშვთა და ახალგაზრდობის სულიერი განვითარების ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე იღუმენი პეტრე (მეშჩერინოვი) წერდა: «დღეს ჩვენ ვაკვირდებით რუსეთის ამკარა სწრაფვას, გამოეყოს დასავლურ მსოფლიოს და იმეგობროს ირანთან, ჩრდილო კორეასთან, ვენესუელასთან, ანუ – იმ ქვეყნებთან, რომლებიც ხაზს უსვამენ თავიანთ ანტიდასავლურობას. მაგრამ რუსეთის ორიენტაცია ჩინეთსა და აზიაზე ხალხის ანტიევროპული ყიჟინის ფონზე, ქრისტიანული ცივილიზაციის პარადიგმიდან გასვლაა. გამოდის, რომ ჩვენ გავყვირით ჩვენი ქრისტიანობის შესახებ, საქმით კი გეოპოლიტიკურად აშვარად უარს ვამბობთ მასზე.

⁵⁶ Шевцова Л. Валдайская доктрина Путина // Ежедневный журнал. 23 სექტემბერი, 2013. URL: <http://www.ej.ru/?a=note&id=23280>

⁵⁷ Послание Президента Федеральному Собранию // Президент России. 12 დეკემბერი, 2013. URL: <http://www.kremlin.ru/news/19825>

⁵⁸ იხ., მაგალითად, ინტერვიუ ფილმორ ლუკიანოვთან: Успехи во внешней политике заставляют Россию отойти от принципов чистого pragmatizma // Радио «Голос России». 14 დეკემბერი, 2013. URL: http://www.rus.ru/rv/2013_12_14/Uspehi-vo-vneshnej-politike-zastavljajut-Rossiju-otojti-ot-principov-chistogo-pragmatizma-5106

ანუ, ეს არა მხოლოდ ტერიტორიების, არამედ თვით სამშობლოს, როგორც ქრისტიანული (ან, თუნდაც, პოსტ-ქრისტიანული) ცივილიზაციის, ძირითადი ღერძის დაკარგვაცაა»⁵⁹.

რუსეთის მცდელობა, დაებრუნებინა საქართველო თავისი განუყოფელი გავლენის სფეროში, უნაყოფო გამოდგა. ჯერ კიდევ თხუთმეტიოდე წლის წინ დასავლეთისკენ მიმართულმა საქართველოს განვითარების ვექტორმა მრავალ პერიპეტიას გაუძლო. მოცემულ კონტექსტში მიხეილ სააკაშვილის სიტყვა გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე 2013 წლის 25 სექტემბერს⁶⁰ შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ერთგვარი პოლიტიკური ანდერძი (თუ ვილაპარაკებთ არსზე და გვერდზე გადავდებთმისთვისდამახასიათებელ ეპატაჟურფრაზეოლოგიას). ამასთან, ეს სიტყვა უფრო დამაჯერებელი გამოდგა, ვიდრე ბევრი მისივე ნაკეთები საქმე და დადებითი გამოძახილი ჰპოვა არა მარტო მის მომხრეებში, არამედ პოლიტიკურ ოპონენტებშიც⁶¹. სიტყვის ლაიტმოტივი კი ის იყო, რომ საქართველო ევროპისკენ მიდის და ვერაფრით გახდება საპირისპირო მიმართულებით მოძრავი რუსეთის თანამგზავრი. სიმპტომატურია, რომ გაეროს სხდომაზე სააკაშვილის გამოსვლიდან ორიოდ დღეში პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერებისა და საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზაზე ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას ალტერნატივა არ გააჩნია და ქართული ხელისუფლება არ იშურებს ძალისხმევას, რათა საქართველოს ეს არჩევანი განხორციელდეს, შენარჩუნდეს პოზიტიური დინამიკა ევროკავშირსა და ნატოსთან ინტეგრაციის პროცესში⁶².

დასკვნა

დღესძალიან ბევრი რამაშორებს ერთმანეთისგან საქართველოსა და რუსეთს. შექმნილ ვითარებაში მნიშვნელოვანია, რომ მხარეებმა არ დაუშვან ორმხრივ ურთიერთობებში დამაბულობის ახალი ტალღის აგორება, არ გამოიგონონ და არ შექმნან ახალი, დამატებითი დაბრკოლებები დაძაბულობის განმუხტვის გზაზე, მისდიონ მინიმალისტურ, მაგრამ რაციონალურ პრინციპს «არ ავნო». საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მიმართ მიდგომებში არსებული კარდინალური განსხვავებები მიჩნეულ

⁵⁹ Футурологическое // Живой Журнал игумена Петра (Мещеринова). 26 июля 2009. Цит. по: Иг. Петр (Мещеринов): записи из удаленного ЖЖ и новые статьи. URL: <http://www.kategorii.livejournal.com/14480.html>

⁶⁰ საქართველო Online. 26 სექტემბერი, 2013. URL: <http://www.apsny.ge/2013/pol/1380224369.php>

⁶¹ Последняя речь Саакашвили в ООН понравилась грузинам // Русская служба BBC. 26 სექტემბერი, 2013. URL: http://www.bbc.co.uk/russian/international/2013/09/130926_un_saakashvili_last_speech.shtml

⁶² ბ. ივანიშვილის მიმართვის სრული ტექსტი ევროკავშირის საბჭოს პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტის ელჩებისადმი // INFO-9. 30 სექტემბერი, 2013. URL: <http://www.info9.ge/?l=G&m=108&f=0&id=21213>

უნდა იქნას მოცემულობად, ხოლო ოფიციალური რიტორიკა უნდა შენარჩუნდეს ზომიერების ფარგლებში, რისთვისაც მხარეებმა უნდა აღიარონ ერთმანეთის უფლება, თავად განსაზღვრონ საკუთარი კურსი და პრიორიტეტები. აგრესიული გამოხდომების პოლიტიკური ლექსიკონიდან ამოღებასთან ერთად, საჭიროა თავშეკავება საუკუნო სიყვარულის დაპირებისგანაც, რაც არსებულ ვითარებაში აგრეთვე ხდება გაღიზიანებისა და დაუჭვების მიზეზი. საჭიროა სახელმწიფო თაშორისი ურთიერთობების მაქსიმალური დეპერსონიფიცირება, რასაც ხელს უწყობს ქართული პოლიტიკის ავანსცენიდან მიხეილ სააკაშვილის წასვლა. შეხების წერტილების მოძებნა შეიძლება საერთო საფრთხეების გაცნობიერებით, კერძოდ – ჩრდილო კავკასიონან მომდინარე არასტაბილურობის მინიმალიზების ორმხრივი მოთხოვნილებიდან.

თანამშრომლობა მეწარმეთა შორის არ უნდა აწყდებოდეს პოლიტიკური ხასიათის დაბრკოლებებს; კომუნიკაციები უნდა განვითარდეს და გამარტივდეს. კულტურულ, სამეცნიერო, სპორტულ, ახალგაზრდულ კონტაქტებს, ექსპერტთა დიალოგს გააჩნია ბაზა, რომელიც ჯერ კიდევ შეიცავს საკმარის პოტენციალს მათ გასაღრმავებლად, რაც ხელს შეუწყობს ერთმანეთის თაობაზე ადეკვატური წარმოდგენის ჩამოყალიბებას, რომელიც მაქსიმალურად დაიცლება როგორც ნეგატიური სტერეოტიპებისგან, ისე ილუზიებისგან. მაგრამ ეს კონტაქტებიც არ უნდა დაემსგავსოს ქუჩას ცალმხრივი მოძრაობით, სადაც საქართველოს მიმართულებით მოძრაობა შეუძლია ყველას, რუსეთის მხარეს კი – მხოლოდ «სპეცტრანსპორტს». გაწონასწორებული ურთიერთობების დამყარება შესაძლებელია, თუკი ობიექტურად არსებული ასიმეტრიის გათვალისწინებით, რუსეთს აღმოჩნდება უნარი, დაინახოს საქართველოს სახით თუმც პატარა, მაგრამ პარტნიორი ქვეყანა და არა მტერი, მეტოქე, შეთქმული და ა. შ. ევროპული საქართველო ხომ გაცილებით უფრო საიმედო პარტნიორი იქნება, ვიდრე «არასისტემური», ძნელად პროგნოზირებადი და გაბოროტებული ქვეყანა რუსეთის ფედერაციის მოუსვენარ სამხრეთ საზღვართან.

ნ. ი. სილაევი, ა.ა. სუშენცოვი

რუსეთი და საქართველო: რა იმაღება წითელ ხაზებს მიღმა? რუსულ-ქართული ურთიერთობების გრძელვადიანი დღის წესრიგისთვის

2012 წლის ოქტომბერში საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა. ამ პერიოდში მკვდარი წერტილიდან დაიმრა ურთიერთობების მოწესრიგების პროცესი რუსეთსა და საქართველოს შორის, მიუხედავად ორივე მხრიდან გამოთქმული სკეპტიკური მოსაზრებებისა⁶³. დაიწყო ორ ქვეყანას შორის პირდაპირი დიალოგი; რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი რეგულარულად ხვდება საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელს რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში, ზურაბ აბაშიძეს. რუსეთშიც და საქართველოშიც საგრძნობლად იკლო მტრულმა რიტორიკამ. ტრადიციული ქართული საქონელი დაბრუნდა რუსეთის ბაზარზე. რუსი ტურისტების რიცხვი საქართველოში გაიზარდა თითქმის 40%-ით. საქართველოს პარლამენტში განიხილება ცვლილებების შეტანა კანონში ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ: იგეგმება საქართველოს ხელისუფლების ნებართვის გარეშე რუსეთიდან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში პირველად შესვლის დეკრიმინალიზაცია. გააქტიურდა კონტაქტები კულტურის სფეროში, ასევე, დიალოგები ორივე მხარის ექსპერტთა შორის. საქართველომ, პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით, რუსეთს დახმარება შესთავაზა სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და თუ ვიმსჯელებთ ზოგიერთი ფაქტის (დაღესტნის ხოსავიურტის⁶⁴ რაიონში მომხდარ მკვლელობაში ეჭვმიტანილთა, მიქაელ კადიევისა და რივზან ომაროვის, რუსი დიპლომატის, დიმიტრი ვეშერნევის და მისი მეუღლის მკვლელობაში ეჭვმიტანილი იუსუპ ლაკავის დაკავება) მიხედვით, თანამშრომლობა უკვე სახეზეა. ეს

⁶³ 2013 წლის თებერვალში მოსკოვსა და თბილისში წარმოდგენილი იქნა მოხსენება: «Грузия после выборов и перспективы российско-грузинских отношений» // Силаев Н.Ю., Сушенцов А.А. М.: МГИМО, 2012. გვ. 66. მ.: МГИМО, 2012. გვ. 66. URL: <http://www.mgimo.ru/georgia-report>. მოხსენება ეძღვნებოდა რუსულ-ქართული ურთიერთობების ანალიზს ქვეყნის სათავეში «ქართული ოცნების» მოსვლის შემდეგ და შემოთავაზებული იყო დღის წესრიგის ახალი ხედვა მოსკოვისა და თბილისისთვის. თავიათი წინადადებებით ავტორები საგანგებოდ შემოიფარგლენ დროის მცირე მონაკვეთით. ერთი მხრივ, ახალი ქართული ხელმძღვანელობის საშინაო და საგარეო კურსი მხოლოდ ყალიბდებოდა, მეორე მხრივ კი, იმ პირობებში, როცა ორ ქვეყანას შორის გაწნდა შესაძლებლობა, გადადგმულიყო მნიშვნელოვანი ნაბიჯები ურთიერთობების მოწესრიგებისთვის, ლითებური იყო, უურადღება გამახვილებულიყო ტაქტიკური ნაბიჯების ანალიზზე და არა იმ ფუნდამენტური წინააღმდეგობების განხილვაზე, რაც ერთმანეთს ამორქს რუსეთსა და საქართველოს.

⁶⁴ Москва попросит Грузию экстрадировать задержанного террориста // Georgia Times. 17 ივნისი, 2013. URL: <http://www.georgiatimes.info/news/91797.html>

მით უფრო საყურადღებოა მას შემდეგ, რაც 2013 წლის ივნისში რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ საქართველოსთან ეფექტური თანამშრომლობა ტერორიზმთან ბრძოლაში გახდება პირველი ნაბიჯი ორ ქვეყანას შორის უვიზო რეჟიმის აღდგენის გზაზე⁶⁵. რასაკვირველია, ორმხრივ პოზიტიურ სიგნალებთან ერთად, ვლინდება ნეგატიურიც. ეს გარდაუვალია, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობები მრავალი წლის განმავლობაში ფუჭდებოდა. და მაინც, ნორმალიზაციის პროცესში დადებით ძვრებზე საუბარი შესაძლებელია.

ამავე დროს, რუსულ-ქართულ ურთიერთობათა «ტაქტიკური დღის წესრიგი» იწურება. პირდაპირი დიალოგის დაწყება, შეზღუდვის მოხსნა ქართულ იმპორტზე, ტერორიზმთან ბრძოლაში თანამშრომლობის გააქტიურება, ეკონომიკა, სატრანსპორტო მიმოსვლა, მეცნიერება და კულტურა – აი, ამით ამოიწურება თემები, რაზეც რუსეთმა და საქართველომ შეიძლება იმსჯელონ ისე, რომ არ გადალახონ «წითელი ხაზები», რომლებსაც ასე ხშირად ახსენებენ მოსკოვსა და თბილისში, გულისხმობენ რა ფუნდამენტურ პოლიტიკურ წინააღმდეგობებს ორ ქვეყანას შორის. მოლაპარაკებებზე განსახილველ მიმართულებათა შორის ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ უკვე ნათელია, რომ ღვინის გატანითა და რეგულარული ავიარეისებით არ მიიღება ის მუხტი, რომელიც ახალ დინამიკას შესძენს რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების დათბობას. ორ ქვეყანას შორის დიალოგში გარდაუვალი პაუზა შეიძლება, იმედგამაცრუებელი აღმოჩნდეს. მაგრამ ამ დიალოგით იხსნება სივრცე რუსეთის გრძელვადიანი და მდგრადი ინტერესების განსახილველად ქართული მიმართულებით და სტრატეგიული საკითხების წამოსაწევად რუსულ-ქართულ ურთიერთობებში. იძულებითი პაუზის დროს ქვეყნებმა უნდა უპასუხონ მთავარ კითხვას: შესაძლებელიათ არა რუსეთსა და საქართველოს შორის სრულმასშტაბიანი ორმხრივი ურთიერთობა დიპლომატიური ურთიერთობების განახლების გარეშე. ამ საკითხის განხილვას ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი.

რუსულ-ქართული ურთიერთობების საერთაშორისო კონტექსტი

პოსტსაბჭოთა სივრცეში არც ერთი ორმხრივი მოლაპარაკება არ არის იმდენად დამოკიდებული საგარეოფაქტორებზე, რამდენადაც რუსულ-ქართული. მიუხედავად დამოუკიდებლობის მოპოვებისა, საქართველოს ეკონომიკისა და სახელმწიფო

⁶⁵ Посещение телеканала Russia Today // Президент России [официальный сайт]. 2013 წლის 11 ივნისი. URL: <http://www.kremlin.ru/news/18319>

ინსტიტუტების რღვევამ 1990-იან წლებში, მკვეთრად შეზღუდა ქვეყნის სუვერენიტეტი. სსრკ-ის დაშლის შემდეგ საქართველოს მშპ-ის ჯამური ვარდნა ყველაზე მეტი (72%)⁶⁶ იყო საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და რადიკალიზმმა ქვეყანა კრიზისამდე და სამოქალაქო ომამდე მიიყვანა. ეროვნული აღმშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად თბილისის პოლიტიკური ლიდერები მიმართავდნენ გარეშე ძალებს, რომელთა წრე იმ პერიოდში შეზღუდული იყო.

დამოუკიდებელისაქართველოს სამთავრობო ელიტის პირველი თაობა ცდილობდა, მოხდინა რუსეთისგან დისტანცირება. მართალია, საქართველო არ იყო ერთადერთი ამ მისწრაფებაში, ასე იქცეოდნენ სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიც. თბილისისთვის ასეთი პოლიტიკა არ უკავშირდებოდა დასავლურ არჩევანს. ზვიად გამსახურდიას პროგრამის ზოგიპუნქტი ერთგვარ «კავკასიურ იზოლაციონალიზმზე» მიუთითებდა. ეთნიკური ნაციონალიზმის გაძლიერებამ 1980 წლის ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში გამოიწვია ორისისხლის მღვრელისამოქალაქო კონფლიქტი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში⁶⁷. ცდილობდა რა, დაეცვა თავისი საზღვრების სტაბილურობა, რუსეთი ქმედით მონაწილეობას იღებდა სამოქალაქო კონფლიქტების რეგულირებაში პოსტსაბჭოთა სივრცეში. მოსკოვის შუამავლობით ყველგანმოხერხდა სისხლის დღვრის შეჩერება, ზოგან კი ისე, როგორც ტაჯიკეთში, მხარეთა შერიგება. მაგრამ რუსეთის ძალის ხმევა, დაერეგულირებინა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები, თბილისმა აღიქვა დაბრკოლებად განდგომილ რესპუბლიკებზე კონტროლის დამყარების გზაზე. საქართველოში ფართოდ განიხილებოდა მოსკოვის ან რუსეთის გავლენიანი ძალების მხრიდან «სეპარატისტთა მხარდაჭერის» თემა, მაგრამ ყურადღების გარეშე რჩებოდა როგორც რუსული დიპლომატის მცდელობა, დარეგულირებულიყო კონფლიქტი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საფუძველზე, ისე, მოსკოვის ზეწოლა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე, დაებრუნებინა ისინი თბილისის იურისდიქციის ქვეშ. საქართველოში რუსეთს აკისრებდნენ მთავარ პასუხისმგებლობას იმის გამო, რომ არ

⁶⁶ Григорьев Г., Кондратьев С., Салихов М. Трудный выход из трансформационного кризиса (случай Грузии) // Вопросы экономики. № 10, 2008. гг. 77-95. URL: <http://www.sigmapro.ru/files/4217/grigoryev10-08.pdf>

⁶⁷ აფხაზეთის ასსრ-სა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში თემთაშორის წინააღმდეგობათა დინამიკა, რომელიც თბილისა და ორ ავტონომიას შორის კონფლიქტებში გადაიზარდა, ცალკე განხილვას იმსახურებს. კერძოდ, საჭიროა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 1991 წლის აგვისტოში თბილისის ინიციატივით აფხაზეთში დადგინდა ეთნიკური კორტები რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე. 1992 წლის 14 აგვისტოს კი, ომის დაწყების დღეს, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში დანიშნული იყო სხდომა, რომელზეც უნდა განხილათ და დაემტკიცებინათ ხელშეკრულების პროექტი ძირითადი დამკიდებულებების შესახებ საქართველოს რესპუბლიკას და აფხაზეთის რესპუბლიკას შორის. პროექტის მე-3 პუნქტი იუწყებოდა: აფხაზეთის რესპუბლიკა ნებაყოფლობით უერთდება საქართველოს რესპუბლიკას და თავის ტერიტორიაზე სრულად ფლობს კანონშემოქმედებით, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, გარდა იმ უფლებამოსილებებისა, რაც საქართველოსა და აფხაზეთის კონსტიტუციებით მიეკუთვნება საქართველოს რესპუბლიკის გამგებლობას. 1989-2006 წწ. მ., «რუსული პანორამა». 2008 გვ. 122-123, 141.

იგრძნობოდა პროგრესი კონფლიქტების დარეგულირებაში, ამასთან, წარმატება ფასდებოდა იქიდან გამომდინარე, რამდენად ახლოს იყო საქართველოს ხელისუფლება პერსპექტივასთან, კონტროლი დაემყარებინა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე. სტატუს-კვო, რომელიც დე-იურე ამყარებდა ორი ავტონომიის არსებობას საქართველოს შემადგენლობაში, თანდათან აღიქმებოდა, როგორც საფრთხე ქართული სახელმწიფოსთვის.

საქართველოში დამკვიდრდა აზრი, რომ დასავლეთთან დაახლოების კურსი უალტერნატივოა. ამის პარალელურად, ჩრდილო-ატლანტიკური გაერთიანებისთვის პრიორიტეტული გახდა პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებდა, ჩაბმულიყვნენ ურთიერთმოქმედებაში ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნები. საქართველოს ფინანსური დახმარების პირველი პროგრამების განხორციელება დაიწყო 1993 წლიდან. აშშ-ისა და ევროკავშირის მიერ ოცი წლის მანძილზე გაწეული ფინანსური და საკონსულტაციო დახმარებით, თბილისში ჩამოყალიბდა მდგრადი პოლიტიკური კლასი, რომელიც ეროვნული ამოცანების გადაწყვეტის გზას დასავლეთის ქვეყნებთან მჭიდრო ინტეგრაციაში ხედავდა.

განვითარების ეს მოდელი არ იყო უნიკალური პოსტსაბჭოთა სივრცეში. მიზანი – «ინტეგრაცია ნებისმიერ ფასად» წამოაყენეს მხოლოდ ბალტიისპირეთის ქვეყნებმა და საქართველომ. მაგრამ თუ ბალტიისპირეთი, გეოგრაფიული და ეთნო-კულტურული სიახლოვის გამო, ბუნებრივად იღტვოდა ევროკავშირისკენ, თან, იმავდროულად, სსრკ-ის ყველაზე უფრო განვითარებულ ტერიტორიებს წარმოადგენდა, საქართველოს ატლანტიკური ორიენტაციის მოტივები იძულებითი და, გარკვეულწილად, ხელოვნური იყო. კონფლიქტებით გამოწვეული სატრანსპორტო და სავაჭრო კავშირების გაწყვეტის, ასევე, საბჭოთა კავშირის მთელ სივრცეში ღრმა ტრანსფორმაციული ვარდნის გამო, საქართველოს არ შეეძლო, ფსონი დაედო საბჭოთა სისტემის სამრეწველო კოოპერაციის შენარჩუნებაზე. ქვეყანაში წარმოიქმნა სამრეწველო კოლაფსი⁶⁸. ამან არ მისცა საშუალება ქართულ ეკონომიკას, ჩაბმულიყო სხვა რეგიონული ეკონომიკური სისტემების – თურქული, ირანული თუ შავი ზღვისპირეთის წარმოებათა ჯაჭვში. საწარმოო ძალების ვარდნამ, სხვა რესურსების უქონლობამ ეკონომიკური სუვერენიტეტის უზრუნველსაყოფად (აზერბაიჯანის ენერგორესურსების მსგავსად), გამოიწვია საქართველოს გადაქცევა ტრანზიტულ სახელმწიფოდ, რომლის ეკონომიკის მთავარი სექტორი მომსახურების სფერო აღმოჩნდა. საქართველოს ეკონომიკურ ყოფაში დომინანტური გახდა, ერთი

⁶⁸ ბელორუსის ხელისუფლების არჩევანმა, შეენარჩუნებინა და განემტკიცებინა ბელორუსის მრეწველობის კავშირები რუსეთთან, განაპირობა ის, რომ მოსახლეობის ცხოვრების დონე არ დაცმულა. 2000 წლების შუა ხანებამდე მშპ ბელორუსის თითოეულ მცხოვრებზე უფრო მეტი იყო, ვიდრე რუსეთში.

მხრივ, აზერბაიჯანისა და თურქეთის ინტერესები, მეორე მხრივ კი, სომხური ტრანზიტი რუსეთში⁶⁹. მაგრამ ეს ფუნდამენტური ეკონომიკური პროცესები მინიმალურად მოქმედებდა ქართული პოლიტიკის პრიორიტეტებზე.

2000 წლის დასაწყისიდან საქართველოში შეინიშნება უკუდამოკიდებულება – განვითარების ეკონომიკური პრიორიტეტები კი არ განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკას, არამედ–პირიქით. ამარაჯანსაღტენდენციასამყარებს დასავლეთის მომეტებული ყურადღება ქვეყნის პოლიტიკური პროცესებისადმი. რამდენადაც თბილისში უყვართ, შეასრულონ აშშ-ისა და ევროკავშირის «საშინაო დავალებები» და «შეესაბამებოდნენ მათ კრიტიკულებს», იმდენად მიუღებელია მათთვის რუსეთის შეფასებები. უცხოეთის დიპლომატიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობა და მათდამი ქართული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განსაკუთრებული ყურადღება ქმნის შთაბეჭდილებას, რომ თბილისში კონცენტრირებულია მსოფლიო მასშტაბის წინააღმდეგობრივი კვანძები. მიხეილ სააკაშვილის მთავრობის პოლიტიკამ, რომელიც ისწრაფოდა, დივიდენდები მიეღო ქვეყნის გადაქცევით რუსეთისა და ნატოს დაპირისპირების ეპიცენტრად, ექსპერტთა წრეში მიიღო დასახელება «საქართველოს პალესტინიზაცია»⁷⁰. განსაკუთრებით დრამატულია ის, რომ თბილისში მყოფი უცხოური დიპლომატიური მისიები, არც თუ იშვიათად, უუნარო იყვნენ, შეექმნათ ადეკვატური წარმოდგენა შიდაქართულ პროცესებზე⁷¹.

საქართველოში ფსონს დებენ პერსპექტივაში დასავლეთის ფინანსურ და საგრანტო დახმარებაზე. აცნობიერებს რა ქართული ეკონომიკის მხარდაჭერის იდეოლოგიურ ხასიათს, თბილისი, იმავდროულად, აგრძელებს პრაგმატული ეკონომიკური თანამშრომლობის საფუძვლების ძიებას ევროპის ქვეყნებთან. სხვა ფაქტორებთან ერთად, ამ პროცესს ართულებს საერთო საზღვრების უქონლობა. მოსალოდნელია, რომ ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის მოლოდინის კლებასთან ერთად, შესაძლოა, გაიზარდოს თბილისის ინტერესი კავკასიის რეგიონული ეკონომიკური პროცესების და მათი აუთვისებელი პოტენციალის მიმართ.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული ცვლილებები მსოფლიოში სიმდიდრისა და ძალების გადანაწილებისა, ჯერჯერობით, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ქართველ საერთაშორისო ექსპერტთა ყურადღების მიღმა რჩება. ასე

⁶⁹ Адвадзе В. С. Грузия: есть ли перспектива? // Национальные интересы . №2, 2011. URL: http://www.ni-journal.ru/archive/2f64ca2c/n2_2011/eb84fae7/1c280fb

⁷⁰ Экс-посол Грузии в России опасается палестинизации страны // Новый регион . 19 ნოემბერი, 2008. URL: http://www.nregion.com/news.php?i=27888#.Um09C_17InA

⁷¹ ამ დავიზებას ეთანხმებან ქართველი ექსპერტებიც. იხ.: ხაინძრავა И. Уроки и последствия грузинских выборов // Научное общество кавказоведов. 8 ივლისი, 2013. URL: <http://www.kavkazoved.info/news/2013/07/08/uroki-i-posledstvia-gruzinskikh-vyborov.html>

რომ, ევროკავშირისა და მასში საქართველოს ინტეგრაციის პერსპექტივების მათეულ შეფასებებზე არ იმოქმედა უმწვავესმა სიტუაციამ საბერძნეთსა და ევროპის ზოგ პერიფერიულ ქვეყანაში. არ შეიმჩნევა არც შიდა სირთულეები ევროკავშირის ბირთვში, არც ევროზონის დაშლის საშიშროება და არც თავად ევროკავშირში ინტეგრაციის ამჟამინდელი იდეის კრიზისი. თეზისი შეერთებული შტატების შედარებით დასუსტებისა და საერთაშორისო პროცესებზე მათი პოტენციური გავლენის შემცირების შესახებ თბილისში აღიქმება როგორც ანტიამერიკული პროპაგანდა, რომელსაც რეალური საფუძვლები არ გააჩნია. როგორც ჩანს, საქართველოში არ განიხილება სცენარი, რომლის მიხედვით, ნატოში ქვეყნის ინტეგრაციის პროცესი შეწყდება, ევროკავშირში გაერთიანება კი შემოიფარგლება საქართველოს ბაზრების სრული გახსნილობით ევროკავშირის იაფი პროდუქციისთვის და საქართველოს მოქალაქეთა გამარტივებული შესვლით ევროკავშირში, რაც გააძლიერებს ქვეყნის დეპოპულიზაციას და ეროვნული პროდუქციის კრიზისს, ბალტიისპირეთის ქვეყნების ანალოგიურად. ამავე დროს, საქართველოსადმი აშშ-ისა და ევროკავშირის დამოკიდებულებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები იკვეთება. პირველ რიგში, ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსების შემცირებით, ვაშინგტონის ყურადღება კონცენტრირდება ახლო აღმოსავლეთსა და აზია-ჩინარი ოკეანის რეგიონზე. ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტების გამოცდილებამ აშშ მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მსოფლიოში დემოკრატიის გავრცელებისას, გასათვალისწინებელია სტაბილურობის მაღალი ხარისხი⁷².

მეორე მხრივ, ქართული საქმის პრიორიტეტულობის შემცირებას აშშ-ში მოჰყვა 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის ფაქტების დამდგენი საერთაშორისო დამოუკიდებელი კომისიის მასალების გამოქვეყნება კონფლიქტის დაწყების გარემოებების შესახებ⁷³. მასშტაბური სამხედრო დაპირისპირების პერსპექტივა რუსეთთან, ქართული პროვოკაციის შედეგად, არასოდეს შედიოდა აშშ-ის გეგმებში. ამერიკაში პირველად გამოჩნდა ანალიტიკური პუბლიკაციები საქართველოს ნატოში გაერთიანების პროცესის მწვავე და არგუმენტირებული კრიტიკით⁷⁴. ამ პროცესს ხელს უწყობდა ლობისტების მცდელობა, ინფორმირებული გაეხადათ ამერიკული ელიტა სააკაშვილის მთავრობის დანაშაულებათა შესახებ⁷⁵.

⁷² Remarks by President Obama in Address to the United Nations General Assembly. United Nations. September 24, 2013 // The White House. Office of the Press Secretary. URL: <http://www.whitehouse.gov/the-press-office/2013/09/24/remarks-president-obama-address-united-nations-general-assembly>

⁷³ Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia. 30 September 2009. URL: <http://www.ceiig.ch/Report.html>

⁷⁴ Bandow D. Georgia's dangerous slide toward NATO // National Interest. April 26, 2013. URL: <http://www.nationalinterest.org/commentary/georgias-dangerous-slide-toward-nato-8403>; Bandow D. NATO's Georgia nightmare // National Interest. August 9, 2013. URL: <http://www.nationalinterest.org/commentary/natos-georgia-nightmare-8860>; Bandow D. No, NATO Shouldn't let Georgia in // National Interest. August 22, 2013. URL: <http://www.nationalinterest.org/commentary/no-nato-shouldnt-let-georgia-8932>

⁷⁵ Межуев Б. В конгрессе США показывали фильмы об ужасах режима Саакашвили // Известия. 24 იქტომბერი 2013. URL: <http://www.izvestia.ru/news/559496>

მესამე, ჩრდილო-ატლანტიკური თანამეგობრობის ქვეყნების დედაქალაქებში შეიმჩნევა, რომ, ზოგადად, იკლო მისწრაფებამ მსოფლიოს მართვისკენ, რაც ადრე ნატოს წევრ სახელმწიფოთა მიერ ხორციელდებოდა. ამ წინასწარ განუჭროტელი პროცესის ერთ-ერთ ელემენტად აშშ-ში მიაჩნიათ პოლიტიკურ არენაზე ბიძინა ივანიშვილის პარტიის გამოჩენა. 2012–2013 წლებში ვაშინგტონი ერთგვარი ეჭვითა და უნდობლობით ეკიდებოდა «ქართული ოცნების» მთავრობის პრიორიტეტებს, აღედგინა სამართლიანობა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მოღვაწეთა მიმართ და განეხლებინა რუსეთთან ურთიერთობები.

«ვიკილიკსის» ხელმისაწვდომი საარქივო მასალების მიხედვით, 2000-იანი წლების განმავლობაში ამერიკული დიპლომატია არ იჩენდა საკმარის ყურადღებას ქართული ეროვნული თავისებურებებისადმი და არ შეეძლო აეხსნა თბილისის საშინაო პოლიტიკის მოტივები⁷⁶. ფაქტობრივად, საქართველოში განვითარებული მოვლენების შეფასებაში დაშვებული შეცდომების დიდი ნაწილი სწორედ ამის ბრალი იყო. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შესაძლო შედეგების გამოთვლისას, ამერიკის საელჩო, როგორც ჩანს, ეყრდნობოდა ამერიკის ნაციონალური დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას, რომელზე დაყრდნობით, ვაშინგტონმა ირწმუნა, რომ წარმატებას მოიპოვებდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ხოლო პარლამენტში იქნებოდა ძლიერი ოპოზიცია «ქართული ოცნების» სახით. საარჩევნო კამპანიის პერიოდში ივანიშვილის საერთაშორისო კავშირებით დაკავებულ «ნიუ-იორკ ტაიმსთან» ინტერვიუში თედო ჯაფარიძე აღნიშნავდა, რომ, ამერიკის საელჩოსთან კონტაქტისას ამერიკელებს აინტერესებდათ, რა პოზიცია ექნებოდა «ქართულ ოცნებას,» თუ არჩევნებში დამარცხდებოდა.⁷⁷ ჯაფარიძის თქმით, ამერიკელებს არ ჰქონდათ გათვლილი ივანიშვილის გამარჯვების ვარიანტი.

არჩევნებში «ქართული ოცნების» გამარჯვების შემდეგ ამერიკელები შეეჩენენ თბილისისთვის არატიპურ და, ამდენად, საეჭვო შიდა პოლიტიკურ აქტივობას. საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის შეცვლამ ვაშინგტონში დაბნეულობა გამოიწვია, რაც დაემთხვა აშშ-ის ყურადღების გადატანას და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის დახმარების ერთი მეოთხედით შემცირებას (საქართველოსთვის 85-დან 68,7 მლნ აშშ დოლარამდე). ვაშინგტონი დაინტერესებულია თბილისის ევროატლანტიკური ორიენტაციის შენარჩუნებით, მაგრამ გაურბის საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების დაჩქარების საკითხს. აშშ ისწრაფვის, არ დაუშვას ახალი კონფლიქტი რუსეთსა და საქართველოს შორის,

⁷⁶ Saakashvili's Inaugural Address: hitting the right notes. Embassy Tbilisi unclassified cable. January 22, 2008 // WikiLeaks Cable Gate Archive. URL: <http://www.wikileaks.org/cable/2008/01/08TBILISI86.html>

⁷⁷ Barry E. Georgian leader emerges as an enigma // New York Times. October 8, 2012. URL: <http://www.nytimes.com/2012/10/09/world/europe/georgian-leader-bidzina-ivanishvili-emerges-as-an-enigma.html>

მაგრამ ვაშინგტონს არ სურს, რომ ამ პროცესმა დააშოროს თბილისი პროამერიკულ ორიენტაციას. ამერიკული ისტებლიშმენტი ივანიშვილის რიგ ნაბიჯებს ამ მიმართულებით სვლად აფასებს, ამავდროულად, სააკაშვილის ენერგიული ლობისტების ზემოქმედების ქვეშ იმყოფება და მსხვილი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გამაფრთხილებელ სიგნალებს უზავნის თბილისს⁷⁸.

მომდევნო ათი წლის განმავლობაში თბილისისთვის საკვანძო ევროატლანტიკური მიმართულებით სწრაფად მისაღწევი შედეგები არ მოიაზრება. საქართველო-ნატოსა და საქართველო-ევროკავშირს შორის პოლიტიკური გარღვევის რესურსი ამოწურულია. რადგან ახალი მთავრობის საგარეო პოლიტიკური ორიენტირებით საქართველო კვლავაც, მეტწილად, ევროკავშირსა და აშშ-თან ასოცირდება, ევროატლანტიკური ინტეგრაციის უწინდელი ალგორითმი (თანდათანობით მოძრაობა დასავლეთისკენ «საშინაო დავალებების» შესრულების გზით) თბილისში არასაკმარისად აღიქმება. ამ დასკვნის საფუძველს იძლევა ის, რომ არ ჩანს პრაქტიკული შედეგები, რომლებიც გამოხატული იქნებოდა საქართველოს უსაფრთხოების საიმედო გარანტიებში და ღრმა ეკონომიკურ ინტეგრაციაში. ღიად რჩება მაკროეკონომიკური ეფექტის საკითხი საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შემთხვევაში.

დასავლური ინვესტიციები ქართულ ეკონომიკაში ლოკალური ხასიათის იყო. «ქართული ოცნების» მთავრობა არც ახალ პირობებში ელის მის მასობრივ მოზღვავებას. ემიჯნება რა ძველი ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის არასანუგეშო შედეგებს, ბიძინა ივანიშვილი დაუფარავი სკეპტიციზმით აფასებს საქართველოს წინსვლას საინვესტიციო კლიმატის საერთაშორისო რეიტინგებში, ბიზნესის წარმოების გაიოლებას და ა.შ.⁷⁹. პრემიერ-მინისტრის ვიზიტების გეოგრაფია მიანიშნებს, რომ საგარეო ეკონომიკურ სფეროში ახალი მთავრობა პრიორიტეტს ანიჭებს მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობას.

ალბათ ამიტომ თბილისში ვერ ხედავენ, რას იღებს საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატიზაციის გასამღიერებლად გამომწვევი პოლიტიკის წარმოებით და რუსულ გავლენასთან ბრძოლით. ვაშინგტონისადაბრიუსელისთვის უთუოდღირებული საქართველოს ყოფილი მთავრობის საერთაშორისო პოლიტიკური ასპექტი სწორედ ამაში მდგომარეობდა: პრეზიდენტი სააკაშვილი იყო არადასავლელისაკვანძომისიონერი, რომელსაც განვითარების დასავლური მოდელი უნდა შეეტანა პოსტსაბჭოთა სივრცეში

⁷⁸ Corboy D., Courtney W., Yalovitz K. Justice or vengeance? // New York Times. November 26, 2012. URL: <http://www.nytimes.com/2012/11/27/opinion/global/justice-or-vengeance.html>

⁷⁹ Рокс Ю. Грузия сама себе понизила рейтинг // Независимая газета. 28 იანვარი, 2013. URL: http://www.ng.ru/cis/2013-01-28/7_gruzia.html

და უფრო ფართოდ – მსოფლიო კონტექსტში. ამ თვისებით შეუძლებელია სააკაშვილს გადააჭარბოს ვინმემ და, მათ შორის, ივანიშვილმაც, მაგრამ ინერციით სწორედ ასეთ ქმედებას ელიან საქართველოს ახალი ლიდერისგან დასავლეთში. ვაშინგტონისა და ბრიუსელის დაუკმაყოფილებელი მოლოდინით გამოწვეულ იმედგაცრუებას აღრმავებს ისიც, რომ საქართველოს ახალ მთავრობას განზრახ არ სურს, მხარი დაუჭიროს დემოკრატიული მისიის თემას რეგიონში. ეს კი დასავლეთში ავტორიტარიზმისკენ გადახრად მიიჩნევა. ახალი ხელისუფლება არ ჩქარობს გამოავლინოს სოლიდარობა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისადმი, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის მმართველობისას საქართველოს თავგამოდებული მომხრები იყვნენ. ეს განაპირობა თბილისში ჩამოყალიბებულმა აზრმა, რომ ბლოკის შექმნა პოლონეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებთან, რომლებსაც ისტორიულად ანტირუსული და იდეოლოგიური ხასიათი ჰქონდათ, არ მოიტანდა კონსტრუქციულ შედეგებს.

ევროატლანტიკური ვექტორის მნიშვნელობის დაქვეითებასთან ერთად, საგარეო პოლიტიკაში შეიმჩნევა ახალი ხელისუფლების კონტაქტების გამოცოცხლება მოსაზღვრე სახელმწიფოებთან, რომლებზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქართული ეკონომიკის კეთილდღეობა. პრემიერ-მინისტრი ივანიშვილი პირადად არის დაკავებული სტრატეგიული კომუნიკაციებით მეზობელ სახელმწიფოებთან. დავოსში ის შეხვდა პრემიერ-მინისტრ დ. ა. მედვედევს და რუსეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, ვიზიტები ჰქონდა აზერბაიჯანში, სომხეთსა და თურქეთში.

რისთვის სჭირდება რუსეთს აყვავებული საქართველო?

რუსულ-ქართული ურთიერთობები ტრადიციულად ემოციურობით გამოირჩევა, ამასთან, ორივე ქვეყნისთვის ეს ურთიერთობები ყოველთვის იყო და რჩება არა მხოლოდ საგარეო, არამედ საშინაო პოლიტიკის ფაქტორად. არ არის აუცილებელი, მოვიყვანოთ მაგალითები იმისა, თუ რა მძაფრად განიხილება რუსული საკითხი ეროვნული არჩევნების მიმდინარეობისას საქართველოში. რუსეთში კი პოსტსაბჭოთა ათწლეულებში საქართველოსთან ურთიერთობა გახდა იდეოლოგიური განსხვავებების მნიშვნელოვანი მანიშნებელი. საკავშირო ცენტრან დაპირისპირებული ზვიად გამსახურდიას რეჟიმის მხარდაჭერა 1980–1990-იანი წლების მიჯნაზე ბორის ელცინის ირგვლივ თავმოყრილი რუსეთის დემოკრატიული ოპოზიციის პოლიტიკური პროგრამის ერთ-ერთი პუნქტი იყო. ეს გამოიხატა 1991 წლის 23 მარტს ყაზბეგში ელცინისა და გამსახურდიას ცნობილი შეთანხმებით, რომელსაც პრაქტიკული შედეგები არ მოჰყოლია და რომლის

მიხედვით უნდა შექმნილიყო რსფსრ-ის შსს-ა და საქართველოს ერთობლივი რაზმისამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში წესრიგის დასაცავად, ამასთან, შეთანხმებაში წამოყენებული იყო შეთავაზება, გასულიყო საბჭოთა არმიის ნაწილები ავტონომიური ოლქიდან⁸⁰. 1992–1993 წლების ქართულ-აფხაზური კონფლიქტისადმი დამოკიდებულება იქცა ურთიერთდაპირისპირების ერთ-ერთ ელემენტად ელცინსა და რუსეთის უმაღლეს საბჭოს შორის. რუსული საზოგადოების ერთი ნაწილი თვლიდა, რომ ეს კონფლიქტი იყო ან კომუნისტური ბუნტი 1991 წლის აგვისტოს⁸¹ დემოკრატიული რევოლუციის წინააღმდეგ, ან უკანასკნელი შანსი დაკარული სამშობლოს – საბჭოთა კავშირის დასაცავად⁸².

«ვარდების რევოლუციის» შემდეგ რუსული საზოგადოების ლიბერალური ნაწილისთვის მიხეილ სააკაშვილის რეფორმები იქცა რუსულ პოლიტიკურ ტრადიციებთან დაპირისპირების სიმბოლოდ, ამ სიტყვის ფართო გაგებით. საქართველოსთან სოლიდარობა აღიქმებოდა საკუთარ ხელისუფლებასთან კრიტიკული დამოკიდებულებების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად. მეორე მხრივ, განსაკუთრებული დამოკიდებულება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან მხარდაჭერილი იყო რუსული პოლიტიკური კლასის ზოგიერთი ნაწილის მიერ, როგორც თავისებური სიმბოლური კომპენსაცია სსრკ-ის დაშლისთვის, ნიშნადიმისა, რომ მოსკოვს შეეძლოებარმოებინა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა ისეთი გლობალური მოთამაშების ანგარიშგაუწევლად, როგორებიც იყვნენ აშშ და ევროკავშირი.

ყველაფერი ეს ამძიმებდა და ამძიმებს რუსულ-ქართულ ურთიერთობებს დამატებითი მნიშვნელობით, რაც საკმაოდ შორსაა საკუთრივ ამ ურთიერთობების ჩარჩოსგან. რუსული ინტერესების ფორმულირებას ქართული მიმართულებით ყოველთვის თან ახლდა მწვავე იდეოლოგიური კამათი. ამ გარემოების გათვალისწინებით საჭიროა მსჯელობა ღირებულებით კატეგორიებს მიღმა.

რუსეთის მოსახლეობა რაოდენობით ოცდაათზერ და მეტად აღემატება საქართველოს მოსახლეობას. რუსეთის მშპ მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით 127-ჯერ აჭარბებს საქართველოსას (მსოფლიო ბანკის 2012 წლის მონაცემებით)⁸³. მშპ ერთ სულ მოსახლეზე მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით მხოლოდ მეოთხედია რუსეთთან შედარებით. ეს შედარებები გვაიძულებს ორი, რამდენადაც აშკარა, იმდენად

⁸⁰ Протокол о встрече и переговорах председателя Верховного Совета РСФСР и председателя Верховного Совета Республики Грузия // Конфликты в Абхазии и Южной Осетии. Документы 1989–2006 гг. М.: Русская панорама, 2008. გვ. 246.

⁸¹ Червонная С.М. Абхазия 1992: посткоммунистическая грузинская Вандея. М.: Мосгорпечать, 1993.

⁸² ჩრდილოკავკასიელ მოხალისეთა მონაწილეობა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში და მათი მოტივაცია დღემდე ფართოდ განიხილება. ნაკლები უურადღება ეთმობა რუსი მოხალისეებს მოტივაციას. ზოგიერთი მასალა ამ თემაზე იხილეთ: Белая книга Абхазии. Документы, материалы, свидетельства. 1992–1993. М., 1993.

⁸³ Gross Domestic Product 2012, PPP. World Development Indicators database. World Bank. September 23, 2013. URL: http://www.databank.worldbank.org/data/download/GDP_PPP.pdf

მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთებას. ერთი მხრივ, მსჯელობა იმის შესახებ, რომ თავად საქართველომ შესაძლოა, საშიშროება შეუქმნას რუსეთისუსაფრთხოებას, უსაფუძვლოა. მეორემხრივ, საქართველოს მნიშვნელობა რუსეთის საგარეო პოლიტიკისთვის განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, გეოპოლიტიკური კონტექსტით, რომელშიც იგულისხმება ორმხრივი ურთიერთობები.

ამასთან, რუსულ-ქართულ ურთიერთობებში კითხვების უფრო მეტი წილი მოდის უსაფრთხოების საკითხებზე, ვიდრე რუსეთის სხვა მეზობლებთან დამოკიდებულებებში. საქართველო-რუსეთის ერთობლივი საზღვარი, 557 კმ⁸⁴ გადის კავკასიონის მთავარ ქედზე და ეკვრის ექვს ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკას. საქართველოს უჭირავს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მნიშვნელოვანი ნაწილი. აღსანიშნავია, რომ სსრკ-ის დაშლის შემდეგ სანაპიროს რუსეთის კუთვნილი მონაკვეთი შეადგენს 400 კმ-ს, ძირითადად, ვიწრო ზოლს მთებსა და ზღვას შორის. აზოვი-შავი ზღვის აუზზე მოდის რუსული პორტების ტვირთბრუნვის 32% (მეორე ადგილი ბალტის შემდეგ), ამ აუზის შიგნით კი ძირითადი დატვირთვა მოდის ნოვოროსიისკზე (აუზის ტვირთბრუნვის 67%) და ტუაფსეზე (11%)⁸⁵. ასე რომ, საქართველოს უშუალო სიახლოეს იმყოფება როგორც რუსეთის ყველაზე ნაკლებად სტაბილური რეგიონი (ჩრდილო კავკასია), ისე, მისი ეკონომიკის მსოფლიო ბაზართან დამაკავშირებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო არტერია. ამ ორი ფაქტორის შერწყმით შეიძლება აიხსნას, რატომ განსხვავდება მოსკოვის დამოკიდებულება საქართველოს ნატოში შესვლასა და ლიტვა-ლატვია-ესტონეთის ალიანსში გაწევრიანებაზე: ისინიც მდებარეობენ მსხვილი რუსული სავაჭრო პორტების სიახლოეს, მაგრამ არ ესაზღვრებიან რეგიონებს, სადაც მაღალი ტერორისტული აქტივობაა.

2000 წლის აგვისტოში რუსეთი გამოვიდა შეთანხმებიდან დასთის ქვეყნებს შორის უვიზო მიმოსვლის შესახებ, შემდეგ კი დადო ანალოგიური ორმხრივი შეთანხმებები ყველასთან, საქართველოს გარდა, რადგან ცდილობდა, შეეზღუდა ტერორისტული დაჯგუფებების შემოსვლა საქართველოს ტერიტორიიდან⁸⁶. ამით აიხსნებოდა რუსეთის ხელმძღვანელობის მოთხოვნა საქართველოს ხელისუფლებისადმი, მიეცათ მის ტერიტორიაზე ტერორისტების განეიტრალების უფლება⁸⁷. ჩრდილო კავკასიასთან სახელმწიფო

⁸⁴ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების შემდეგ.

⁸⁵ Стратегия развития морской портовой инфраструктуры России до 2030 г. М., 2012. URL: http://www.rus-shipping.ru/upload/filearchive/671_strategy_2030_file_229_8917.pdf

⁸⁶ სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ვიზების შემოღება თავისთავად არ უზრუნველყოფდა რუსულ-ქართული საზღვრის დაცვას, საქართველო კი არ იყო დასთ-ის ერთადერთი ქვეყანა, საიდანაც ტერორისტებს შეეძლოთ ჩრდილო კავკასიაში მოხვედრა.

⁸⁷ საქართველოში ეს მოთხოვნები აღიქმებოდა ქვეყნის სუვერენიტეტის ხელყოფად. შესაძლოა, თბილისში ნაკლებ შიშს გამოიწვევდა ერთობლივი ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარების შეთვაზება, მაგრამ უცნობია, რამდგრად იყო მზად ქართული არმა და პოლიცია ასეთი ამოგანის შესასრულებლად 1999- 2000 წლებში.

საზღვრის მოწყობის ძვირადლირებული პროგრამა ნაკარნახევი იყო შეიარაღებული ტერორისტული ჯგუფების შემოჭრის საფრთხით. 2003–2007 წლებში ჩრდილო კავკასია იყო ფედერალური მიზნობრივიპროგრამის «სახელმწიფოსაზღვარი»პრიორიტეტული მიმართულება. ამ წლებში პროგრამაზე დაიხარჯა 18,7 მლრდ რუსული მანეთი⁸⁸. ახლაც, პრესის მასალებზე დაყრდნობით, ტერორისტული ჯგუფების შემოჭრის აღკვეთა რუსეთის ტერიტორიაზე ჩრდილოკავკასიელი მესაზღვრეების მთავარი ამოცანაა⁸⁹. რუსეთის საზღვარი კავკასიაში იმითაც განსხვავდება ბალტიისპირეთის ქვეყნების საზღვრისგან, რომ მ. სააკაშვილის მმართველობისას ქართული არმია, ქვეყნის სიდიდესთან შეფარდებით, რეკორდული ციფრით – 37 000-მდე გაიზარდა⁹⁰. ჯარისკაცთა უმრავლესობა გაწვრთნილი და ეკიპირებული იყო ნატოს სტანდარტების მიხედვით. ბალტიისპირეთის სამივე ქვეყნის არმია, ერთად აღებული, ორჯერ ნაკლებია. საფრთხის საშიშროება აიძულებს რუსეთს პირველხარისხოვანი ყურადღება დაუთმოს ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქისა და რეგიონში დისლოცირებული შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფების მაღალ საბრძოლო მზადყოფნას. დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ საქართველოს სახით რუსეთს სჭირდება სტაბილური პარტნიორი საერთო საზღვრის დასაცავად⁹¹.

საქართველოზეგადისსატრანსპორტოგზარუსეთსადასომხეთს შორის. მას შემდეგ, რაც მთიანი ყარაბახის კონფლიქტის გამო სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარი დაიკეტა, საქართველო გახდა მთავარი ფანჯარა სომხეთის საგარეო ვაჭრობის ტვირთბრუნვისა და მისი ორიენტაციის ფოთი-ილიჩევსკზე გადატანისთვის. საქართველოს ტერიტორიაზე გადის ნავთობსადენიც, რომელიც გაზით ამარაგებს სომხეთს. რუსეთის პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანია, მხარი დაუჭიროს მოკავშირე სომხეთს, რომელიც კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების წევრი და სასაზღვრო კავშირის პოტენციური მონაწილეა.

საქართველო თამაშობს მნიშვნელოვან როლს მსოფლიო ბაზარზე აზერბაიჯანის ნახშირწყალბადების ტრანსპორტირებასა და თურქეთ-აზერბაიჯანის სხვადასხვა ტვირთის ტრანზიტში. ავღანეთში ნატოს ოპერაციის დასრულებამდე საქართველო განიხილება ალიანსის სამხედრო დაჯგუფების მოსამარაგებელი

⁸⁸ Программа «Государственная граница Российской Федерации» (2003–2011 гг.) // Федеральные целевые программы России. Министерство экономического развития Российской Федерации [официальный сайт]. URL: <http://www.fcp.vpk.ru/cgi-bin/cis/fcp.cgi/Fcp/ViewFcp/View/2008/150>

⁸⁹ Поздняков В. Продолжаем наблюдение // Русский репортер. 2013. № 25. URL: <http://www.rusrep.ru/article/2013/06/24/nabludenie>

⁹⁰ SIPRI-ის მონაცემებით, 2007 წელს საქართველოს სამხედრო დანახარჯებმა მიაღწია 1201 მლნ აშშ დოლარს (2011 წლის ფასებით), რამაც ქვეყნის მშპ-ის 9,2% შეადგინა. იხ.: SIPRI Military Expenditure Database, 1988–2012 // Stockholm International Peace Research Institute. URL: <http://www.milexdata.sipri.org/files/?file=SIPRI+milex+data+1988–2012+v2.xlsx>

⁹¹ Сушенцов А.А. России нужен стабильный и предсказуемый сосед // Эхо Кавказа. 23 сებერვალი, 2013. URL: <http://www.ekhokavkaza.com/content/article/24910226.html>

სარეზერვო მარშრუტის ერთ-ერთ მონაკვეთად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გეოგრაფიული მდებარეობაა ის მთავარი რესურსი, რაც თბილისშეუძლია, გამოიყენოს საერთაშორისო პოლიტიკაში.

მოსკოვის თვალთახედვით, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში მთავარია ორი საკითხი უსაფრთხოების სფეროდან. პირველ ყოვლისა, რამდენად აკონტროლებს თბილისი თავის ტერიტორიას («გეოგრაფიული რესურსი»)? მეორე, როგორ იყენებს ის ამ რესურსს რუსეთთან ურთიერთობებში. ორ ქვეყანას შორის ერთიერთობების პოსტსაბჭოური ისტორია იძლევა ფართო მასალას ამ უკანასკნელი თეზისის საილუსტრაციოდ. რუსეთის შეხედულებით, 1990-იან წლებსა და 2000-იანი წლების დასაწყისში პრობლემა იყო ის, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ცუდად აკონტროლებდა საკუთარი ქვეყნის ტერიტორიას. «გეოგრაფიული რესურსი» სრულად გამოიყენეს ჩრდილო კავკასიის ტერორისტულმა ჯგუფებმა, რამაც გამოიწვია მოსკოვის მოთხოვნა, დაეშვათ საქართველოს ტერიტორიაზე რუსული არმიის ნაწილები ტერორისტების გასანეიტრალებლად. ეს კოლიზია გადაწყდა შეერთებულიშტატების ჩარევით, რომლებმაც მოამზადეს ქართული პოლიციისა და არმიის ძალები ტერორისტებთან საბრძოლველად და ხელი შეუწყვეს სპეცოპერაციის ჩატარებას პანკისის ხეობაში.

2003 წლის ნოემბრის შემდეგ მოსკოვში დადგებითად აღიქვეს მიხეილ სააკაშვილის გუნდის ძალისხმევა, აღედგინა ცენტრალური ხელისუფლების კონტროლი ქვეყნის ტერიტორიაზე. ამასთან, რუსეთი მკაცრად მოითხოვდა, დაცული ყოფილიყო საქართველოს მიერ ხელმოწერილი შეთანხმება ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების დარეგულირების შესახებ. ამიტომ 2004 წელს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში ქართული შეიარაღებული ძალების შეყვანამ, რაც არ იყო გათვალისწინებული სოჭის შეთანხმებით, გამოიწვია ურთიერთობის მკვეთრი დამაბვა ორ ქვეყანას შორის. თუ საქართველო ქმედუნარიან სახელმწიფოდ შედგებოდა, ეს შეიძლებოდა პოზიტიურ ფაქტორად ქცეულიყო თბილისისა და მოსკოვის ურთიერთობებში. მაგრამ ასე არ მოხდა. შეცდომა იყო ქართული ხელისუფლების გათვლა, ერთი მხრივ, რუსეთსა და აშშ-ს შორის წინააღმდეგობის გაღრმავებაზე და, მეორე მხრივ, რუსეთის სისუსტეზე.

როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილის ლოგიკით, მას ჯერ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები უნდა წარმოეჩინა როგორც ქართულ-რუსული და შემდეგ ეს უკანასკნელი ჩაესვა აშშ-ის პოლიტიკურ კონტექსტში, რომელიც მიმართული იყო რუსეთის შეკავებისკენ, რის განხორციელებასაც ცდილობდა ჯორჯ ბუშ-უმცროსის ადმინისტრაცია მის მეორე საპრეზიდენტო ვადაში⁹². ამ ლოგიკით, საქართველო აღიქმებოდა

⁹² Хайндрава И. Сейчас первойшей задачей является освобождение страны от агрессора // Мтели кви-ра. 18 აგვისტო, 2008. URL: <http://www.southcaucasus.com/old/index.php?page=%20publications&id=1825>

როგორც შეერთებული შტატების რესურსი რუსეთთან დაპირისპირებაში და ამ პირობებით თეორიულად იღებდა უსაფრთხოების გარანტიებს.

გათვლა არასწორი აღმოჩნდა რამდენიმე მიზეზით. ჯერ ერთი, რუსეთთან დაპირისპირება არ იყო აშშ-თვის ფუნდამენტური სტრატეგიული არჩევანი, და ეს გამოჩნდა კიდევ 2009 წლის გაზაფხულზე დაწყებულ «გადატვირთვაში». 70-წლიანი დაპირისპირების მანძილზე ორმა ქვეყანამ გამოიმუშავა კონფლიქტურ- კოოპერატიული თანამოქმედების მოდელი, რომლის დესტაბილიზაცია არ შეუძლია საქართველოს მსგავს სუსტ სტიმულს. მეორე მხრივ, დასუსტებული რუსეთის ნაცვლად გამოჩნდა რუსეთი, რომელიც გამალებით იკრებდა საგარეო-პოლიტიკურ ძლიერებას. და მესამე, სარგებლობა (ფინანსური და საკონსულტაციო დახმარება), რაც საქართველომ, ფაქტობრივად, მიიღო ასეთი პოლიტიკის შედეგად, გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე მისგან გაწეული დანახარჯები. რუსეთს მიხეილ სააკაშვილის კურსი 2008 წლის კრიზისად შემოუბრუნდა. პროვოკაციული «ახალი ჩრდილოკავკასიური პოლიტიკით» საქართველომ ვერ შეძლო გამკლავებოდა ამ რეგიონში უსაფრთხოების დიდ გამოწვევებს, ნაცვლად – ხელი შეუწყო იქ უკვე არსებული საფრთხეების შენარჩუნებას. რუსეთმა, აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობით გააფართოვა თავისი სამხედრო ყოფნა კავკასიის სამხრეთ კალთებსა და შავი ზღვის სანაპიროზე. რუსულ-ქართულ ურთიერთობებში კვლავაც არსებული გაურკვევლობა შესაძლებელს ხდის ძველი სიძნელეების განახლებას უსაფრთხოების სფეროში.

ახლა საბრძოლო მოქმედებების ესკალაცია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში პრაქტიკულად გამორიცხულია და ქართველ ხელისუფალთა განცხადებებით ან ზოგიერთი მოქმედებით თუ ვიმსჯელებთ, მათ უარი თქვეს პრეზიდენტ სააკაშვილის «ახალ ჩრდილოკავკასიურ პოლიტიკაზე». მაგრამ მნელია ითქვას, რამდენად მყარია ეს ტენდენცია. ამას გარდა, გაურკვეველია, რამდენად უნარიანია საქართველოს სახელმწიფო, აკონტროლოს, ვინ და როგორ გამოიყენებს მის ტერიტორიას ჩრდილო კავკასიაზე ზემოქმედებისთვის.

და თუმცა ივანიშვილის მთავრობის რიგმა წევრებმა საჯაროდ დაგმეს სააკაშვილის მთავრობის პროვოკაციული პოლიტიკა ჩრდილო კავკასიასთან დაკავშირებით, ზოგმა ორგანიზაციამ კი (ტელეარხი პიკი, ფონდი «კავკასია»), რომლებიც ამ პოლიტიკის გზამკვლევებად მოიაზრებოდნენ, მკვეთრად შეკვეცეს თავიანთი საქმიანობა, გაურკვევლობა მაინც რჩება. მოსალოდნელია თუ არა ჩრდილოკავკასიური პოლიტიკის გაგრძელება სხვა ორგანიზაციების მიერ? ფონდ «კავკასიის» ადგილი დაიკავა კავკასიელ ხალხთა ინტეგრაციის ფონდმა უმარ იდიგოვის

მეთაურობით. ახალი ფონდის ერთ-ერთი პირველი ღონისძიება იყო ჩეჩენ-ინგუშების დეპორტაციის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. საღამოზე ნაჩვენები იყო მკვეთრად ანტიოსური ფილმი, რომლის პრეზენტაციაზე გამოვიდა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მინისტრი. გრძელდება ჩერქეზეთის კულტურული ცენტრის მოღვაწეობა, რომელიც მუშაობს თემაზე «ჩერქეზთა გენოციდი». მუშაობს ილიას უნივერსიტეტის კავკასიური კვლევების საერთაშორისო სკოლა, რომელიც ეჭვია, რომ მხოლოდ წმინდა სამეცნიერო და საგანმანათლებლო კვლევებით არ ინტერესდება⁹³.

ჯერჯერობით არ არის ნათელი, რამდენად აგრძელებს ასეთი პოლიტიკა სააკაშვილის ეპოქას და როგორია მისდამი ახალი ხელისუფლების დამოკიდებულება. საერთოდ რამდენად აქვს უნარი ქართულ პოლიტიკურ ელიტას, აკონტროლოს ასეთი ტიპის ქმედება თავის ტერიტორიაზე? ქართულ ორგანიზაციებს, რომლებიც ჩრდილო კავკასიაში მუშაობენ, აფინანსებენ მესამე ქვეყნები⁹⁴. მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მონაცემებით, საქართველოს მოქალაქეები სირიის სამოქალაქო ომში ოპოზიციის მხარეს იბრძვიან, რაც ბადებს მოსაზრებას, რომ ქვეყანაში საკმაოდ ადვილად ხდება მათი დაქირავება⁹⁵. არსებობს საფუძველი, ვიფიქროთ, რომ საქართველოს ხელისუფლება საკუთარ ქვეყანაში ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს ჯიპადისტური და ჯგუფებებისადმი, იმედოვნებს რა, რომ ამით თავიდან აიცილებს მათთან კონფლიქტს. მნელია იმსჯელო, რამდენად ეფექტურია ასეთი მიდგომა საქართველოს უსაფრთხოების თვალსაზრისით, განსაკუთრებით გრძელვადიან ჭრილში. მისი მეზობლებისთვის კი ეს ნიშნავს, რომ ამ ქვეყნის ტერიტორიიდან შესაძლოა, საშიშროება დაემუქროს მათ უსაფრთხოებას⁹⁶.

ჩვენ შორს ვართ იმ ფიქრისგან, რომ საქართველოს ისეთი პარტნიორები, როგორებიც არიან აშშ და ევროკავშირი, მხარს დაუჭერენ ჩრდილოკავკასიელ ტერორისტებს, გამოიყენონ ქართული ტერიტორია. მაგრამ მსოფლიოში ბევრი სხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო მოთამაშე დაინტერესებულია ასეთი პოლიტიკის წარმოებით. თანაც ჯერ რთულია იწინასწარმეტყველო, როგორ შეიცვლება მეზობელი თურქეთის საგარეო-პოლიტიკური კურსი: რუსულ-თურქული ურთიერთობები ზოგადად პოზიტიურად ვითარდება, მაგრამ

⁹³ ასევე, რუსეთშიაც მოქმედებენ ექსპერტები და ორგანიზაციები, რომლებიც მოუწოდებენ საქართველოსთან დაპირისივებისკენ და მისი სახელმწიფო ბრონიში შერყვევისკენაც კი. სიტუაციის ნორმალურად მომხრებს მოსკოვსა და თბილიში მოუწევთ, ისწავლონ ორივე მხრიდან წამოსული პროვოკაციების ნებატიური შედეგების შემცირება.

⁹⁴ ზედამირზე დეკანი მაგალითი – ამერიკული ჯეიმსთაუნის ფონდის (Jamestown Foundation) საქმიანობა საქართველოში.

⁹⁵ ანალოგიურ პრობლემას ეჯახება რუსეთიც. ყოველი შემთხვევისთვის, ამ მხრივ ორივე ქვეყანა ერთ ნავში ზის.

⁹⁶ დამატებით გამოკვლევას მოითხოვს, როგორ უყურებს აზერბაიჯანი საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს შორის ჯიპადისტური პროპაგანდის წარმოებას.

ორი ქვეყნის პოზიცია ურთიერთსაპირისპიროა სირიის საკითხში. ამას გარდა, არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ თურქეთის ტერიტორიაზე მოქმედებენ ორგანიზაციები, რომლებიც ქირაობენ მებრძოლებს, მათ შორის, საქართველოშიც, სირიის ოპოზიციისთვის⁹⁷.

ამ მიზეზების გამო, რუსეთი დაინტერესებულია ძლიერი, სუვერენული და მეგობრული საქართველოთი. უსაფრთხოების სფეროში ეს იძლევა გარანტიას, რომ არ განახლდება საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ასევე, რუსეთი დაინტერესებულია, შეთანხმებულად განისაზღვროს კურსი, თუ როგორი უნდა იყოს ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში ჯიპადისტური ჯგუფებისადმიდამოკიდებულება, სურს, აგრეთვე, ითანამშრომლოს საქართველოსთან ტერორიზმთან ბრძოლაში, აინტერესებს, აქვს თუ არა საქართველოს ხელისუფლებას სწრაფვა და უნარი, წინ აღუდგეს დესტაბილიზაციის მცდელობას კავკასიაში საქართველოს ტერიტორიის გამოყენებით.

მეგობრულ და ნდობაზე დამყარებულ რუსულ-ქართულ ურთიერთობებს შეუძლია გზის გაკაფვა უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობისკენ. საქართველოსთან ურთიერთობის მნიშვნელობა მოსკოვისთვის გაიზრდება, თუ პერსპექტივაში რუსეთის საგარეო პოლიტიკა მოითხოვს მეტ ჩარევას შავიზღვისპირა აუზსა და ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ პოსტსაბჭოთა ათწლეულებში თბილისმა ააგორეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობების საკუთარი სისტემა.

საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტი და სავაჭრო ურთიერთობები რუსეთთან

უკანასკნელ ათწლეულში საქართველომ გადალახა ეკონომიკური სიძნეელები, რომლებსაც წააწყდა სსრკ-ის დაშლისა და სამოქალაქო ომების შემდეგ. მაგრამ ქვეყნის მდგომარეობა კვლავ რთულია. რადიკალური რეფორმებისა და ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიუხედავად, კრიზისის წინა წლებში ქვეყანა რჩებოდა იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნების რიცხვში, რომელთა შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე ახლა უფრო დაბალია, ვიდრე სსრკ-ის დაშლის წინ⁹⁸. ეკონომიკური სიძნეელების გამო ქვეყანა დატოვა მილიონამდე კაცმა (სსსრ-ის მოსახლეობის თითქმის

⁹⁷ მაგალითად, ასეთ საქმიანობაში შეიძლება ჩათრეული იქნას თურქული ორგანიზაცია Imkander. 2012 წლის მაისში ალექსანდრე კვახაძე, თბილისში მოქმედი ჩერქეზული კულტურული ცენტრის თანამშრომელი, მონაწილეობდა ორგანიზაცია Imkander-ის მიერ სტამბოლი მიწოდებილ კონფერენციაში. კონფერენციის მონაწილეობაზე დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებად ისინი თვლიან «კავკასიის იმარტ» დოკუ უმაროვს. იხ.: ამელია ქ. თბილის კავკასიის ისლამისტთა კავშირი // «Регнум». 18 ივნისი, 2012. URL: <http://www.regnum.ru/news/1542558.html>

⁹⁸ Журавлев С., Ивантер А. Нефть, капитал, диктатура // Эксперт. 2011. № 1. 26 დეკემბერი. URL: <http://www.expert.ru/expert/2012/01/neft-kapital-i-diktatura>

ერთმა მეხუთედმა), შობადობის შემცირებისა და შრომისუნარიანი ასაკის ადამიანების გადინების გამო, დარჩენილი მოსახლეობა ბერდება. 2010 წლისთვის საქართველოში მცხოვრებთა 14,4%-ის ასაკი 65 წელს ზევით იყო (რუსეთში – 12%), თითოეულ პენსიონერზე მოდიოდა 0,75 დასაქმებული (რუსეთში – 1,7)⁹⁹. სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო (5,5 მლრდ დოლარი) შეადგენს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ერთ მესამედზე მეტს, საგარეო ვალი კი, სახელმწიფოსა და კომპანიების ვალის ჩათვლით, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის 85%-ს. ბოლო ათწლეულში, რეფორმების მიმდინარეობისას, საქართველომ მთლიანად გახსნა თავისი ბაზარი იმპორტული საქონლისთვის, რამაც ძლიერი დარტყმა მიაყენა ეროვნულ მრეწველობას. ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის 54% დაკავებულია სოფლის მეურნეობაში, რომელიც აწარმოებს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 8%-ს, არადა სოფლის მეურნეობა ტრადიციულად საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ ძლიერ დარგად ითვლებოდა¹⁰⁰. საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში დიდია შრომითი მიგრანტების გზავნილების წილი და ეს ქვეყანას იმ ქვეყნების ეკონომიკურ კონიუნქტურაზე დამოკიდებულს ხდის, სადაც ისინი იმყოფებიან. საგარეო ვალის მაღალი დონე ვალის რესტრუქტურიზაციისას ან ახალი კრედიტების გაცემისას, კრედიტორებს საშუალებას აძლევს, მიმართონ პოლიტიკურ მანიპულაციებს. საბოლოო ჯამში, ეროვნული ეკონომიკის სისუსტე და არამდგრადობა იწვევს თავად ქართული სახელმწიფოს სისუსტეს. უცხოური ინვესტიციების, კრედიტებისა და გრანტების მოზიდვის კრიზისამდელი პერიოდის ზრდის მექანიზმების ამოქმედება, ჯერჯერობით, მთავრობამ ვერ შეძლო, ამიტომ სიტუაციის გაუარესების შემთხვევაში, საქართველო შეიძლება გახდეს არაპროგნოზირებადი მეზობელი, უუნარო, უზრუნველყოს წესრიგი თავის ტერიტორიაზე. რუსეთი ობიექტურად დაინტერესებულია, რომ დაეხმაროს საქართველოს, თავი აარიდოს მოვლენათა ასეთ განვითარებას. ერთ-ერთი წამყვანი ქართველი ეკონომისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ვლადიმერ პაპავა თვლის, რომ ზრდის ახალი წყარო საქართველოში იქნება ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობა, რომელიც დაიწყება ამ ორგანიზაციასთან სათანადო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. ევროკავშირის სტანდარტებით წარმოებული ქართული საქონლის ექსპორტის

⁹⁹ Арчвадзе И. Современное демографическое положение Грузии – заложник политико-экономического состояния // Демографическая ситуация в Грузии. Материалы семинара 17 октября, 2011 г. / НП «Кавказское сотрудничество». Тбилиси, 2011. გვ. 11. URL: <http://www.georgiamonitor.org/upload/medialibrary/84/8a427de67e6af833df4626239c5940cc.pdf>

¹⁰⁰ საქართველოში მიღებული დასაქმების აღრიცხვის წესების მიხედვით, დასაქმებულად ითვლება ყველა, ვისაც აქვს საკუთრებაში სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი. ეს ადაბლებს უმუშევრობის მაჩვენებლებს. ფაქტობრივად კი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩაბმულია ქვეყნის შრომისუნარიანი მოქალაქეების გაცილებით მცირე ნაწილი.

შესაძლებლობების ზრდა, მიხეილ სააკაშვილის მიერ გაუქმებული ანტიმონპოლიური რეგულირების შემოღებასა და საქართველოში შედარებით დაბალ გადასახადებთან ერთად, პაპავას აზრით, უზრუნველყოფს ეროვნული წარმოების ზრდას, რაც ქვეყნის მშპ-ს 2020 წლამდე 5–10%-ით გაზრდის¹⁰¹. თუმცა მკვლევარი აღნიშნავს, რომ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენა რუსეთთან ნაკლებ სავარაუდოა, პრინციპში მათ მიერ საქართველოსთვის შეთავაზებული ექსპორტის გაფართოების საფუძველზე ეკონომიკური ზრდის მოდელი თანხვედრაშია რუსულ-ქართული ეკონომიკური კავშირების გაფართოებასთან. ამასთან, ექსპორტის რუსულ მიმართულებას გარკვეული უპირატესობები გააჩნია: მაგალითად, ევროკავშირზე ნაკლებ მკაცრი ტექნოლოგიური სტანდარტები ბაზრის მოცულობასთან შედარებით; მომხმარებლური ჩვევები; რუსული წარმოების მთელი რიგი სასაქონლო პოზიციების უქონლობა ან ნაკლებობა და ა.შ. თავის მხრივ, რუსეთი დაინტერესებულია საქართველოში მანქანათმშენებლობის პროდუქციის იმპორტის გაფართოებით, რაც განსაკუთრებით აქტუალურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მრავალი ქართული ობიექტის ინფრასტრუქტურა ამორტიზებულია. საქართველოს აქვს ჰიდროენერგეტიკის განვითარების დიდი პოტენციალი. თუ მხედველობაში მიიღება წარსულში დაგროვილი ერთობლივი კომპეტენციები, ეს შეიძლება, გახდეს ორი ქვეყნის თანამშრომლობის ბუნებრივი მიმართულება. საქართველოს შეუძლია იქცეს მსუბუქი და სასურსათო მრეწველობის პროდუქციის ექსპორტიორად რუსეთის სამხრეთისთვის¹⁰².

აუცილებელია, გადაიხედოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების ვექტორის საკითხი, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება თბილისის ძიებას, იპოვოს თავისი ადგილი მსოფლიო შრომის განაწილებაში. ევროკავშირთან ან რუსეთთან თანამშრომლობაში პრიორიტეტების არჩევა საქართველოში აღიქმება არა როგორც პრაგმატული გათვლის შედეგი, არამედ, როგორც, თუ არა ეგზისტენციალური, ღირებულებითი არჩევანი მაინც, დაფუძნებული იდენტობაზე. ალბათ ამიტომ ევროკავშირში შესვლის პერსპექტივის შემცირებამ გააცოცხლა ფორმულა «ევროპულ სტანდარტებთან და ღირებულებებთან მიახლოება – თავისთავად არის მიღწევა». გარდა ამისა, ქართველი ექსპერტები მცდელობას არ აკლებდნენ, მოეძებნათ პრაგმატული საფუძველი ევროკავშირთან ეკონომიკური კავშირისთვის და მიუთითებდნენ, რომ მიხეილ სააკაშვილს არასწორად მიჰყავდა ევროინტეგრაციის პოლიტიკა. ვლადიმერ პაპავა მიუთითებდა, რომ ერთიანი

¹⁰¹ Папава В. Экономика Грузии: в поиске модели развития // Мир перемен. 2013. № 3. გვ. 55–56.

¹⁰² 2013 წელს კარაბულავში (ინგუშეთის რესპუბლიკა) ამოქმედებული საფქვაო ქარხანა უკვე გზავნის თავის პროდუქციას საქართველოში.

ნაციონალური მოძრაობის მმართველობისას საქართველო თავის ევროპულ ორიენტაციას უწევდა პროპაგანდას, მაგრამ ეკონომიკურად ვითარდებოდა სინგაპურის მოდელით, რაც აშორებდა მას ევროპული ტიპის ეკონომიკური მოწყობისა და თავად ევროკავშირისგან¹⁰³.

საქართველოს ევროპაა—არარისერთადერთისაზოგადოებრივი ნარატივი ქვეყანაში¹⁰⁴. იმის მიუხედავად, რომ სააკაშვილის მმართველობისას ის ენერგიულად ინერგებოდა, არ შეიძლება ითქვას, რომ ამას იწონებდა მთელი ქართული საზოგადოება. შესაძლებელია, დროთა განმავლობაში საქართველოში გააცნობიერებენ, რომ დემოკრატია, ბაზარი და სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი სტანდარტები აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისია ქვეყნის განვითარებისთვის. ისინი ინსტრუმენტებია და არა განვითარების საბოლოო მიზანი. საჩვენებელი შეიძლება იყოს რუსეთის საერთაშორისო სტრატეგიის ტრაექტორია, რომელიც პარალელური კურსით მიემართება ევროკავშირის სახელმწიფოებისკენ, მათთან საერთო ეკონომიკური და პოლიტიკური მომავლისკენ. რუსეთს საქართველოსგანგანასხვავებს ის, რომ მოსკოვი ხელმძღვანელობს ფხიზელი გათვლებით და სწრაფვით, შეინარჩუნოს თავისი კონკურენტული უპირატესობები მომავალ გაერთიანებაში. ფორმულა «ევროკავშირი თუ რუსეთი» ხელოვნური ალტერნატივაა იმიტომ, რომ რუსეთი თავად ისწრაფვის ევროკავშირთან ურთიერთობების გაღრმავებისკენ სრულუფლებიანი პარტნიორის უფლებით. 2013 წლის ნოემბერში საქართველოსთან ხელშეკრულების პარაფირება ასოცირებისა და თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ სიმბოლური მიღწევა იყო საქართველოს პოლიტიკური ელიტისთვის. ევროკავშირისთვის კი ეს ნაბიჯი ემსახურება არა საქართველოს ევროპული იდენტობის ცნობას, არამედ უფრო საზღვრების შემოხაზვას მათ შორის. ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირთან დადებული აქვთ ისეთ განსხვავებულ ქვეყნებს, როგორებიცაა: ალაური, ჩილე, ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, ლიბანი, მაროკო, სამხრეთ აფრიკა და სხვ. ევროპული ანდორრის, ისლანდიის, ნორვეგიისა და შვეიცარიის მსგავსად თავისუფალი ვაჭრობის ზონები ევროკავშირს აქვს მექსიკისა და პალესტინის ეროვნულ ადმინისტრაციებთან. მოლაპარაკებები მიდის კოლუმბიასა და პერუსთან, სამხრეთ კორეასთან, აფრიკის რიგ სახელმწიფოებთან და «აღმოსავლური პარტნიორობის» ცალკეულ სახელმწიფოებთან.

მხედველობაშია მისაღები, რომ 1990-იან წლებში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ბაზრების გახსნამ ევროკავშირის მწარმოებლებს მოუტანა 20-წლიანი ეკონომიკური ზრდა

¹⁰³ Папава В. Экономика Грузии: в поиске модели развития. гз. 54.

¹⁰⁴ Другие – «Грузия православная страна и союзник России», «Грузия это Кавказ».. იხ.: Shatirishvili Z. National Narratives and New Politics of Memory in Georgia // Small Wars & Insurgencies. 2009. Vol. 20. Issue 2. P. 391–399.

ადგილობრივი მრეწველების შევიწროებისა და მათი ევროპულით ჩანაცვლების ხარჯზე¹⁰⁵. ამიტომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ბაზრების გახსნა უწინდელი პოლიტიკის გაგრძელებაა ახალშემოერთებული ქვეყნების სამომხმარებლო რესურსის გამოსაყენებლად. არის საფუძველი, ვიფიქროთ, რომ იაფი საქონელი ევროკავშირიდანდაბრკოლებას შექმნის საკუთრივ ქართული მრეწველობის აღდგენის გზაზე. ნებისმიერი ქართული მთავრობა, რომელიც აქცენტს გააკეთებს არა ტრანზიტსა და მომსახურების სფეროზე, არამედ საკუთარი მრეწველობის აღდგენაზე, იძულებული იქნება, მიიღოს შიდა ბაზრის დაცვის გადაწყვეტილება. ეკონომიკური ინტერესების ანალიზისადმი საქართველოში არსებული მიდგომით ივარაუდება, რომ საერთაშორისო ინსტიტუტები თავიანთი არსებობით პროცესებს აქცევენ მონაწილეთათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელ კალაპოტში. ამას ეწინააღმდეგება მსხვილი სახელმწიფოების (აშშ-ის, იაპონიის, კორეის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის, რუსეთისა და სხვ.) მოქმედების პრატიკა. ისინი ცდილობენ, მოპოვონ პრივილეგიები თავიანთი მწარმოებლებისთვის საერთაშორისო ვაჭრობის რეჟიმების ჩარჩოებში.

საქართველოში კვლავაც მიიჩნევენ, რომ ბელარუსის, ყაზახეთისა და რუსეთის საბაჟო კავშირი იძულებაზეა დამყარებული¹⁰⁶. მნელია იმსჯელო, რას ემყარება ასეთი შთაბეჭდილება, მით უმეტეს, რომ საქართველოს სამეცნიერო ლიტერატურას ნაშრომი ამ პრობლემაზე არ გააჩნია. საბაჟო კავშირის ამოცანაა სატარიფო პოლიტიკისა და საბაჟო დაცვის უნიფიკაცია მონაწილე ქვეყნების ეროვნული მწარმოებლების დასაცავად. საკუთარი წარმოების გაძლიერება საბაჟო კავშირის წევრებს საშუალებას აძლევს, პრეტენზია ჰქონდეთ უფრო მომგებიან პოზიციებზე შრომის საერთაშორისო განაწილებაში. საბაჟო კავშირის სამი სახელმწიფო შეადგენს მსხვილ სამომხმარებლო ბაზარს, რომელსაც შეუძლია არა მარტო ხელი შეუწყოს ეროვნულ წარმოებას, არამედ პარიტეტულ საფუძველზე, ისე, რომ თავად არ დაზიანდეს, ივაჭროს სხვა მსხვილ ბაზრებზე, მათ შორის, ევროპულზეც. საბაჟო კავშირს ხელეწიფება, აგრეთვე, მრავალმხრივ საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანებისას, ივაჭროს საბაჟო დაცვის უფრო მაღალი დონის მისაღებად. ასე რომ, ყაზახეთის ხელისუფლების სწრაფვამ, შეინარჩუნოს რთული ეროვნული წარმოება (მანქანათმშენებლობა, შავი და ფერადი მეტალურგია, ქიმიური წარმოება და სხვ.), უბიძგა მას, მიეწვია რუსეთი ერთობლივი მოლაპარაკებების საწარმოებლად

¹⁰⁵ პოლონეთის გარდა, რომელმაც მოახერხა, ევაჭრა და ასე მოეპოვებინა სახელმწიფო მხარდაჭერის მაღალი ხარისხი სოფლის მეურნეობისთვის.

¹⁰⁶ Ивлиан Хайндрава: Основанный на принуждении, Евразийский союз перспектив иметь не может // ArminInfo. 15 октября 2013. URL: <http://www.armininfo.info/index.cfm?objectid=C3BDFC40-35A9-11E3-B0670EB7C0D21663>

ევროკავშირსა და აშშ-თან მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციაში შესასვლელად¹⁰⁷.

ჩამოთვლილი არგუმენტები გასაგებს ხდის სომხეთის არჩევანს საბაჟოკავშირის სასარგებლოდ. ამარჩევნის ლოგიკა განპირობებულია არა იმდენად რუსეთთან სამხედრო კავშირით, არამედ ერევნის მისწრაფებით, შეინარჩუნოს ინდუსტრიალიზაციისა და ეკონომიკის მოდერნიზაციის მიღწევები შემდგომი განვითარებისთვის. სომხეთის აქტივშია ამიერკავკასიაში ერთადერთი ატომური სადგური, განვითარებული მანქანათმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა, მინერალური რესურსების მოპოვება, რომ აღარაფერი ვთქვათ სოფლის მეურნეობასა და ფართო მოხმარების საგნების წარმოებაზე. სომხეთის მთავარი პარტნიორია რუსეთი, რომლის ბაზრიდანაც გაედინება სომხური საქონელი საბაჟო კავშირის დანარჩენი ქვეყნების ბაზრებზე. არგუმენტები ერევნის საბაჟო კავშირში იძულებით შესვლის შესახებ კრიტიკას ვერ უძლებს იმიტომაც, რომ კავშირში შემავალი ქვეყნების მეთაურთა შორის ჩამოყალიბდა გადაწყვეტილებების გამომუშავების კოლეგიური ხასიათი¹⁰⁸. «აღმოსავლური პარტნიორობის» ქვეყნებს არ ძალუმთ ზემოქმედება მოახდინონ ბრიუსელზე ისე, როგორც ყაზახეთი და ბელორუსი ახდენენ გავლენას ევრაზიული ეკონომიკური კომისიის გადაწყვეტილებებზე¹⁰⁹.

ასევე, საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველო ობიექტურად ერთვება სავაჭრო-ეკონომიკურ პროცესებში გაერთიანების ახლანდელ და მომავალ წევრებს შორის. ინტენსიური ტემპებით განახლებული რუსულ-ქართული ვაჭრობის კვალდაკვალ საქართველო ემსახურება რუსულ-სომხურ ტრანზიტს. ამას გარდა, საქართველოში აქტიურად იკვეთება საბაჟო კავშირის მეორე წევრის, ყაზახეთის ინტერესები. ეს უკანასკნელი დაინტერესებულია ასტანა-ბათუმის მარშრუტის სამხრეთ კავკასიური კორიდორით, რომელიც აერთიანებს ცენტრალური აზის ქვეყნებს, აზერბაიჯანსა და საქართველოს ერთიანი სატარიფო სივრცის ფარგლებში¹¹⁰. ბათუმის პორტს მართავს ყაზახური კომპანია დაყაზახეთში მიიჩნევა «ევროპის ფანჯრად». სატრანზიტო ტარიფებში კონსენსუსის მიღწევის შემთხვევაში, ყაზახურ-რუსული კონსორციუმი მზად არის განახორციელოს ინვესტიცია ნავთობის ტერმინალის გასავითარებლად და

¹⁰⁷ Пресс-конференция по итогам заседания Высшего Евразийского экономического совета // Президент России [официальный сайт]. 24 октября 2013. URL: <http://www.kremlin.ru/transcripts/19485>

¹⁰⁸ ურნალ ექსპერტთან ინტერვიუში პრეზიდენტის მრეველმა სერგეი გლაზევმა თქვა: «როცა ვიწყებდით საბაჟო კავშირის შექმნის პროცესს, რუსეთს საბაჟო კავშირში ჰმების 57%. მას შემდეგ, რაც კავშირი შეიქმნა, მიღებული იქნა ერთიან ეკონომიკურ სივრცზე გადაწყვეტილება ხმათა თანაბარი პრინციპით. ამგვარად, რუსეთმა თავის ნებით თქვა უარი ხმათა უმრავლესობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, ამსთან, სწორედ ჩვენ გვაქვს საბაჟო კავშირის ეკონომიკური პოტენციალის 85%», იხ.: Власова О. Драма ассоциации // Эксперт. 11 ноября 2013. URL: <http://www.expert.ru/expert/2013/45/drama-assotsiatsii>

¹⁰⁹ Евразийская экономическая комиссия. URL: <http://www.eurasiancommission.org>

¹¹⁰ Ермухамет Ертысбаев: включение Грузии в Евразийский союз стало бы большим подарком // New Caucasus. 16 სექტემბერი, 2013. URL: <http://www.newcaucasus.com/index.php?newsid=6683>

მარცვლეულის ტერმინალის ასაშენებლად საქართველოს სამხრეთ სანაპიროზე.

საბაჟო კავშირის ფარგლებში ეკონომიკური ინტეგრაციის გასავითარებლად მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ძირითადი მომენტი – მონაწილეთა შემადგენლობისგაფართოებაპოსტსაბჭოთა სივრცის გარეთ არსებული სახელმწიფოების ხარჯზე. ყველაზე ახლოს ამ ნაბიჯის გადადგმასთან ვიეტნამია. მიმდინარეობს მოლაპარაკებები საბაჟო კავშირში ისრაელის, ინდოეთისა და თურქეთის შესაძლო გაერთიანებაზე. საბაჟო კავშირის გასვლა პოსტსაბჭოთა სივრცის გარეთ და რუსული ბაზრის მოცულობის შესაბამისი ქვეყნების ჩართვა მის შემადგენლობაში, ობიექტურად ხელს შეუწყობს პოსტსაბჭოთა ქვეყნების შეშფოთების შესუსტებას იმის გამო, რომამინტეგრაციულ პროექტს, შესაძლოა, პრორუსული პოლიტიკური სარჩული ჰქონდეს.

თურქეთის დაინტერესება საბაჟო კავშირის წევრობით არის სიგნალი იმისა, რომ გაზრდილია საქართველოს ტრანზიტული პოტენციალის მნიშვნელობა რუსულ-თურქულ ვაჭრობაში. განსაკუთრებულ პრიორიტეტულობას ამ მიმართულებას ანიჭებს ის გარემოება, რომრუსეთისადათურქეთისაზღვაოვაჭრობაიზღუდება ორივე მხარის შავიზღვისპირა პორტების გადატვირთულობის გამო. დროთა განმავლობაში ეს სიტუაცია წამოჭრის არა მარტო სახმელეთო ავტოგადაზიდვების ინფრასტრუქტურის მოდერნიზების საკითხს¹¹¹, არამედ დღის წესრიგში დააბრუნებს სამუშაოების განახლების ამოცანას აფხაზეთის რკინიგზაზე. ამ საკითხში საქართველო არ იჩენს ინიციატივას, მაგრამ ქვეყნის ხელმძღვანელობათანახმაა, ნებისმიერიფორმითაღდგესსარკინიგზო მიმოსვლა, გარდა აფხაზეთის საზღვრის ლეგალიზაციისა. თუ იქნა სოხუმის ეკონომიკური დაინტერესება, ალბათ მოიძებნება კომპრომისი მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის სატრანსპორტო კორიდორების ფუნქციონირების მოდელის მიხედვით.

ეკონომიკურ სიახლოესთან ერთად, საქართველოს შეუძლია გახდეს რუსეთის მნიშვნელოვანი პარტნიორი ჰუმანიტარულ სფეროში. უძველესი და ამ ოცი წლის განმავლობაში თითქმის მივიწყებული როლი «მართლმადიდებელი ქვეყნისა მუსულმანურ გარემოცვაში» ახალ იმპულსს იღებს. ეს გამოწვეულია რამდენიმე ვითარებით. პირველ რიგში, საქართველოში რწმენა რჩება იდენტობისმნიშვნელოვანნაწილადდასოციალურრეგულატორად, ეკლესია კი – ყველაზე ავტორიტეტულ საზოგადოებრივ ინსტიტუტად¹¹². მეორე მხრივ, იმ მრავალწახნაგოვანი კრიზისის პირობებში მსოფლიომ ბოლო წლებში რომ გადაიტანა, უფრო

¹¹¹ რუსეთ-საქართველოს აკავშირებს მხოლოდ ერთი ავტოტრასა ლარსის გამშვები პუნქტით. ტრასა არ ფუნქციონირებს დეკემბრიდან თებერვლის ჩათვლით.

¹¹² По данным международного глобального опроса Gallup International/WIN «Глобальный барометр надежды и отчаяния» (Global Barometer on Hope and Despair) от января 2012 г., православная Грузия вошла во вторую десятку самых религиозных стран мира, вместе с католической Польшей. Цит. по: Синелина Ю. Религия в современном мире // Эксперт. 2013. № 1.

აქტუალური ხდება იდეური და ეთიკური ძიებები, მათ შორის, რელიგიის სფეროში. ჩვენ მოვხვდით სამყაროში, სადაც «რწმენას კვლავაც აქვს მნიშვნელობა», ეთიკური საკითხები კი კვლავ დგება პოლიტიკურ კალაპოტში. თანამედროვე რუსეთი აქცენტს აკეთებს თავის მრავალკონფესიურობაზე, მაგრამ, ამავე დროს, ხმამაღლა აცხადებს, რომ განზრახული აქვს, მისდიოს ტრადიციული კონფესიების რელიგიურ დოქტრინებს, არაფორმალური პაქტი კი, ამ ისტებლიშმენტში შემავალ წარმომადგენლებს შორის, ითვალისწინებს მართლმადიდებლობის გარკვეულ უპირატესობას. ქართულმა კონსერვატიულმა დისკურსმა უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში შესამჩნევი ევოლუცია განიცადა: თუ სსრკ-ის დაშლის ეპოქაში რუსეთი და რუსები აღიქმებოდნენ როგორც საქართველოს თვითმყოფადობის დამთრგუნველი უცხო ძალები, ახლა რუსეთი უფრო იდენტობის შენარჩუნების გარანტია იმ საფრთხის წინაშე, რომელსაც შეიცავს ევროპული კულტურული ექსპანსია თავისი უახლესი ანტიქრისტიანული გამოვლინებებით¹¹³.

ქართულ კულტურას – მაღალი საზოგადოებისას, ქალაქურსა და კავკასიურს¹¹⁴, ამ თვისებებითაც შეუძლია, გააძლიეროს მაღალი საზოგადოების ქალაქური ტრენდი ჩრდილო კავკასიაში, თუ მოსკოვი და თბილისი მოძებნიან საქმიან ურთიერთგაგებას ამ რეგიონის სასურველი მომავლისთვის.

უხერხული წონასწორობა

რუსეთისა და საქართველოს დაახლოების ხელისშემშლელი ფაქტორი ნათელია: ეს არის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსი. რუსეთმა ცნო სსსრ-ის ყოფილი ავტონომიები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. საქართველო თვლის, რომ ეს არის მისი ტერიტორიის ნაწილები. თბილისისთვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება აბრკოლებს ორ ქვეყანას შორის 2008 წლის ცნობილი კონფლიქტის შემდეგ გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ანუ თბილისის სუვერენიტეტის დამყარება ორ რესპუბლიკაზე, საქართველოში მიიჩნევა უმთავრეს პოლიტიკურ ამოცანად. ამ მხრივ, ფართო კონსენსუსია სხვადასხვა პოლიტიკურ ძალას შორის.

რამდენადაც შესაძლებელია განვსაჯოთ, მათ შორის, რუსეთის ხელმძღვანელების ოფიციალური განცხადებებით¹¹⁵, მოსკოვი

¹¹³ Уважайте наши традиции! Открытое письмо грузинской интеллигенции советнику Евросоюза г-ну Т. Хаммарбергу // Православие.ru . 25 იქტომბერი, 2013. URL: <http://www.pravoslavie.ru/jurnal/65190.htm>

¹¹⁴ ქრისტიანული სომხეთი საკუთარ თავს ასოციაციურად უკავშირებს არა იმდრნად კავკასიას, რამდენადაც ახლო აღმოსავლეთს თავისი გლობალური დიასპორით. აზერბაჯანი ინარჩუნებს მდგალი საზოგადოების ზასიათს, მაგრამ მისი მმართველი ელიტა სულ უფრო ხშირად მიმართავს ისლამურ კულტურულ მემკვიდრეობას.

¹¹⁵ Интервью Дмитрия Медведева // Президент России [официальный сайт]. 5 აგვისტო, 2011. URL: <http://www.kremlin.ru/news/12204>; Посещение телеканала Russia Today // Президент России [официальный сайт]. 11ივნისი, 2013. URL: <http://www.kremlin.ru/news/18319>

არ აპირებს ხელი შეუშალოს გაყოფილი ტერიტორიების ახალ გაერთიანებას ორი პირობით: ეს უნდა მოხდეს მხოლოდ მშვიდობიანი გზით და სამივე ხალხის სურვილით. საქართველო დარწმუნებულია, რომ 1980-იანი წლების ბოლოს დაწყებული აფხაზური და სამხრეთოსური მოძრაობა თვითგამორკვევისთვის და შემდეგ დამოუკიდებლობისთვის, ინსპირირებული და მხარდაჭერილი იყო მოსკოვის (ან მოსკოვის რომელიმაც გავლენიანი ძალების) მიერ, და ამიტომ, რუსეთის განაცხადს შესაძლო მომავალ გაერთიანებაზე, მზაკვრობად აღიქვამს. საქართველოს მიერ მიღებული კონცეფცია რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის «ოკუპაციის» შესახებ, პროპაგანდისტული როლის შემსრულებელია, მაგრამ არ შეესატყვისება საერთაშორისო სამართლის ცნებებს¹¹⁶. ეტყობა, მას შეცდომაში შეჰყავს საქართველოს ექსპერტთა საზოგადოება, რომელიც აშკარაა, სათანადოდ ვერ აფასებს ორი რესპუბლიკის ავტონომიას მოსკოვთან ურთიერთობაში. საბოლოო ჯამში «ოკუპაციის» კონცეფცია ბლოკავს ქართული მხარის შესაძლებლობას, დიალოგი აწარმოოს სოხუმსა და ცხინვალთან. თუმცა აუცილებელია აღინიშნოს, რომ ქართველ პოლიტიკოსებსა და ექსპერტებს შორის გაისმის საუბრები აფხაზეთსა და ოსეთთან თბილისის პირდაპირი მოლაპარაკებების მხარდასაჭერად¹¹⁷.

აფხაზეთი და ოსეთი კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან რაიმე სახის კონტაქტს საქართველოსთან, გარდა დამოუკიდებელი სახელმწიფოების მეზობლური ურთიერთობებისა. მოსკოვში არ მაღავენ, რომ საქართველოს მიერ ორი სახელმწიფოს აღიარებას თვლიან ახალი ინტეგრაციის აუცილებელ და გარდაუვალ პროლოგად. ამ სქემის რეალისტურობა ეჭვს იწვევს ქართველ დამკვირვებლებში. პირველ რიგში, მიუთითებენ ისინი, საქართველო არ ჩავა აღიარებაზე, რადგან ეს გადაწყვეტილება არ იქნება ლეგიტიმური ქართველი ამომრჩევლის თვალში და თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება ნებისმიერი პოლიტიკური ძალისთვის, რომელიც ამ გადაწყვეტილებას მიიღებს. მეორეც, არ ჩანს გარანტია, რომ პროლოგს მოჰყვება თბილისისთვის სასურველი ეპილოგი; კერძოდ, იმის გამო, რომ გაურკვეველია, რამ უნდა აიძულოს ეს რესპუბლიკები, მას შემდეგ, რაც მათ აღიარებენ, კვლავ გაერთიანდნენ. ამიტომ საქართველო აყენებს ინიციატივას, აეწყოს ურთიერთობები აფხაზებსა და ოსებთან ორივე ქვეყნის ხელისუფლების ოფიციალური ორგანოების გვერდის ავლით. არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საქართველოს, აფხაზეთის,

¹¹⁶ რუსეთი არ ახორციელებს ეფექტურ კონტროლს ამ ორი რესპუბლიკის ტერიტორიაზე. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში განლაგებული რუსეთის შეარაღებული ძალების ნაწილები არ გამოსცემენ ადგილობრივი მოსახლეობისთვის საცალდებულო ნორმატიულ აქტებს, არ აქვთ პოლიციური და ადმინისტრაციული ფუნქციები. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს მათი საკუთარი სამოქალაქო ხელისუფლებები, არჩევნების შედეგად მინიჭებული უფლებამოსილებებით.

¹¹⁷ Мамука Арешиძე: Грузия должна начать переговоры с Сухуми и Цхинвали о подписании соглашения // GHN News. 9 მეტომბერი, 2012. URL: <http://www.rus.ghn.ge/news-23513.html>

სამხრეთ ოსეთის ექსპერტთა საზოგადოებებს შორის დიალოგი მიმდინარეობს სხვადასხვა მოედანზე და სხვადასხვა ფორმატით, მაგრამ არ მოაქვს რამდენადმე შესამჩნევი პოლიტიკური შედეგები. თბილისის ჰუმანიტარული ინიციატივები (მაგალითად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის სამედიცინო მომსახურების შეთავაზება) თუმცა გარკვეული მოთხოვნით სარგებლობს, მაგრამ რაიმე პოლიტიკური ძვრების მომტანი არ არის, ისევე, როგორც საქართველოდან შეტანილი საქონლის მზარდი ნაკადი, განსაკუთრებით, აფხაზეთში. რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზების გზაზე დიდი დაბრკოლება შექმნა 2013 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე მავთულხლართების გავლებამ საქართველო-სამხრეთ ოსეთის საზღვარზე. და თუმცა საქართველოს ახალი ხელისუფლება, მიხეილ სააკაშვილის მსგავსად, საზოგადოებაში ანტირუსულ განწყობებს არ აღვივებდა, ამ ფაქტებმა ფართო საზოგადოებრივი რეაქცია გამოიწვია, თვით ნორმალიზაციის პროცესის ჩავარდნის საკითხის დაყენებით.

რუსეთის ხელმძღვანელობისთვის მოვლენათა ასეთი განვითარება მოულოდნელი აღმოჩნდა. საქართველოსთან საზღვრის მოწყობა, რომელსაც სამხრეთ ოსეთსა და ცხინვალში სახელმწიფო საზღვრად თვლიან, იყო შედეგი ავადსახსენებელი «წითელი ხაზებისა» და დაიწყო ჯერ კიდევ 2009 წელს ცხინვალის ინიციატივით¹¹⁸. ქართული ხელმძღვანელობა არა მხოლოდ ინფორმირებული იყო ამ პროცესების შესახებ, არამედ არაერთხელ ჰქონდა მიწვევა, მონაწილეობა მიეღო ყოფილი სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის კონტურების დადგენაში. ქართული წარმომადგენლების უარმა თანამშრომლობაზე, გამოიწვია ის, რომ სამხრეთ ოსეთმა ერთპიროვნულად დაიწყო საზღვრების მონიშვნა. სამწუხაროდ, რიგ შემთხვევებში, საზღვარმა გაიარა დასახლებულ პუნქტებში ქართველებისა და ოსების კუთვნილი საოჯახო მეურნეობების ტერიტორიებზე. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ 1990-იან წლებში დაწყებული კონფლიქტის შემდეგ, 2008 წლამდე საზღვრის ხაზზე გაჩნდა საცხოვრებელი სახლები. ამას გარდა, საბჭოთა დროში სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის მონიშვნის საჭიროება არ იდგა და ადმინისტრაციული საზღვარი შეიძლება, არ დამთხვეოდა მიწათმფლობელისას.

ტექნიკური ხასიათის მიზეზთა გამო, საზღვრის გამაგრების პროგრამა ვერ დასრულდა მიხეილ სააკაშვილის მმართველობის ვადაში, რომლის ქმედებებმა 2008 წლის აგვისტოში აიძულა სამხრეთ ოსეთი, კედლით გამიჯნულიყო საქართველოსგან. ამ პროექტის დასრულების გადადება ამძიმებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს და თბილისს არასწორ წარმოდგენას

¹¹⁸ აფხაზეთის ხელისუფლება არ ცდილობდა, ამგვარად მოეწყო საზღვარი საქართველოსთან. პირიქით, გამშვები პუნქტების რაოდენობა საერთო საზღვარზე ხუთამდე გაიზარდა.

უქმნის რუსეთის ქმედებების მოტივებზე საქართველოსთან დამოკიდებულებაში. ეჭვგარეშეა, რომ ეს პროგრამა უნდა განიხილებოდეს არა რუსულ-ქართულ ჭრილში, არამედ ქართულ-სამხრეთოსური ურთიერთობების კონტექსტში. ამას გარდა, საზღვრის გამაგრება იყო ოთხი წლის წინანდელი გეგმური პროექტი, რომელიც არ მიეკუთვნება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის თანამედროვე კონტექსტს ხელისუფლებაში «ქართული ოცნების» მოსვლის შემდეგ.

რუსული დიპლომატიის მოჩვენებითი არათანმიმდევრულობა – ერთი მხრივ, ნორმალიზება, მეორე მხრივ კი საზღვრის გამაგრება – დამკვირვებლებს თბილისში არასწორი დასკვნების გაკეთებისკენ უბიძგებს მოსკოვის მოტივების შესახებ. თბილისში გავრცელებული ვერსიების მიხედვით, რუსეთი თითქოსდა უფრთხის საქართველოს ახალ პოლიტიკას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან. ქართველი დამკვირებლების აზრით, ამ პოლიტიკამ მოიტანა ამ ორი რესპუბლიკიდან მცხოვრებთა მიგრაცია საქართველოში, ისე, როგორც ხდებოდა მოსახლეობის გადასვლა აღმოსავლეთიდან დასავლეთ ბერლინში ცივი ომის წლებში. ამ გათვლას ემყარება სამხრეთ ოსეთის ირგვლივ ე.წ. «მშვიდობის სარტყელის» შემოვლება – რომ სუფთა, ფაქიზმა ქართულმა დასახლებებმა არ აცდის მიერთო, გადავიდნენ საქართველოში უკეთესი ხვედრის ძიებაში.

ეს გეგმები ეფუძნება ორ გარემოებას, რომლებიც არ ჩანს რეალისტური. პირველი – საქართველოს შესვლა ევროკავშირში გარდაუვლად იწვევს თბილისის მიმართ ოსების სიმპათიებს. მეორე – ოსებს ამძიმებთ რუსეთის ყოფნა მათ ტერიტორიაზე და მზად იქნებიან შეწყვიტონ ეს, როგორც კი შემთხვევა მიეცემათ. ასეთი შეხედულების არსებობა მოვლენებზე, შესაძლებელია მხოლოდ კონტრფაქტობრივი მიდგომით ადგილზე საქმის ანალიზისას. ალბათ, გონივრულია, ლოზუნგის მიხედვით – «დავიბრუნოთ ხალხი და არა ტერიტორიები», სოხუმმა და ცხინვალმა მიიღონ ის, რასაც ითხოვენ: გარანტირებული იყოს მათი უსაფრთხოება ორმხრივი ხელშეკრულებებით, ფორმალური სახე მიიღოს კონტაქტებმა ორივე რესპუბლიკასთან და შემდეგ აჩვენოს საქართველომ მის შემადგენლობაში ყოფნის უპირატესობა.

რუსულმა დიპლომატიამ შეწყვიტა მსოფლიოს დღის წესრიგში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების წინ წაწევა. რეალისტური არ ჩანს ორი რესპუბლიკის საბაჟო კავშირში შესვლის სცენარიც¹¹⁹. მაგრამ ფართო აღიარების უქონლობა პრინციპულად არ ცვლის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მდგომარეობას. ოფიციალური წარმომადგენლების გამოსვლებს

¹¹⁹ Владислав Сурков: Мы преодолеем трудности, с которыми Южная Осетия столкнулась в предыдущий период // Информационное агентство РЕС. 4 დეკემბერი, 2013. URL: <http://www.cominf.org/en/node/1166500441>

რეფრენად გასდევს, რომ რუსეთის მიერ მინიჭებული ახალი სტატუსის გარანტიები ამომწურავია.

ქართული დიპლომატია აცნობიერებს, რომ მსოფლიოში არ არსებობს ძალა, რომელსაც ძალუქს, აიძულოს რუსეთი უარი თქვას აღიარებაზე და თან მზად იყოს, გაიღოს ამისთვის აუცილებელი დიდი დანახარჯები. თბილისი ეწევა არიერგარდულ ბრძოლას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული მდგომარეობის შესახებ თავისი ხედვის გასატანად მსოფლიოს ყველა ხელმისაწვდომ მოედანზე. ამას ემოციური კმაყოფილების გარდა, სხვა შედეგი არ მოაქვს. ქართული პოზიციის გავლენიანი მომხრეები – აშშ და ევროკავშირი – არ აპირებენ მსხვერპლზე წასვლას, რათა დაარწმუნონ ან აიძულონ რუსეთი, უარი თქვას აღიარებაზე. უფრო მეტიც, როცა მოლაპარაკების ჩარჩოებში მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის შესახებ დადგა საკითხი ტვირთების გადაადგილების რეჟიმის შესახებ რუსეთის საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთის გავლით, ვაშინგტონმა, ფაქტობრივად, აიძულა საქართველო, მიეღო რუსეთის პირობები. გაეროს გენერალური ასამბლეის კენჭისყრის თბილისისთვის წარმატებულ რეზულტატს მისი წარმომადგენლების მიერ შეთავაზებული რეზოლუციების პროექტებზე, რომლებიც ორ რესპუბლიკას ეხებოდა, შედეგები არ მოჰყოლია.

ჟენევის დიკუსიებმა თავისი წვლილი შეიტანა კონფლიქტების ამ ორ ზონაში უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. მაგრამ ახლა მათ ძნელად თუ შესწევთ უნარი, მიაღწიონ სრულმასშტაბიან დარეგულირებას, რასაც ხელს უშლის ქართული მხარის პოზიცია, რომელიც მოითხოვს, რომ რუსეთმა ცნოს თავი აგვისტოს კონფლიქტის მხარედ და უარს ამბობს, ხელი მოაწეროს ჟენევის დისკუსიების მონაწილეთა საერთო დეკლარაციის პროექტს ძალის გამოუყენებლობის შესახებ.

რუსეთსა და საქართველოს შორის წინააღმდეგობას იწვევს, აგრეთვე, სხვადასხვა ხედვა ევროპის უსაფრთხოების სისტემის მომავლის შესახებ. ოფიციალური თბილისი ნატოს გაფართოების მომხრეა და ისწრაფვის ამ ალიანსში გაწევრიანებისკენ. რუსეთი, აღიარებს რა საქართველოს უფლებას, აირჩიოს მოკავშირეები, ამავე დროს, თვლის, რომ ნატოს გაფართოება და მის საზღვრებთან მიახლოება ემუქრება რუსეთის უსაფრთხოებას. თან ალიანსის სამხედრო ინფრასტრუქტურის განთავსება რუსეთის სიახლოვეს, პირდაპირი საფრთხის გარდა, შეიცავს ირიბ საფრთხესაც – საერთო ევროპული უსაფრთხოების სისტემიდან მოსკოვის თანდათანობით გამორიცხვას.

2008 წლის ბუქარესტის ნატოს სამიტზე საქართველოს შეპირდნენ, რომ ის გახდებოდა ალიანსის წევრი, მაგრამ კონკრეტულივადებიმითითებულიარყოფილადაარცმოქმედების გეგმა წევრობისთვის არ წარუდგენიათ. ნატოს გაფართოების

გაგრძელება უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობაში, კერძოდ, საქართველოსა და უკრაინაში, ჯორჯ ბუშ-უმცროსის ადმინისტრაციის პროექტი იყო. მას მხარს უჭერდნენ ნატოს ახალი წევრები ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან. ნატოს ძველი წევრებიდან ბევრი, პირველ რიგში, საფრანგეთი და გერმანია ამ პროექტს სკეპტიკურად უყურებდნენ. მათი პოზიცია იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ პროექტი ჩავარდა. ჯორჯ ბუშის შემცვლელი ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ, ფაქტობრივად, შეაჩერა ბლოკის გაფართოება, მიუხედავად იმისა, რომ არანაირი განაცხადი ამის შესახებ არ გაუკეთებია.

ქართული პოლიტიკური კლასის უმრავლესობა აღიარებს, რომ ნატოში შესვლის პერსპექტივა მათი ქვეყნისთვის ფრიად შორეული მომავალია, მაგრამ ეს მიზანი მაინც რჩება დღის წესრიგში. მთავარია, რომ საქართველო უარს ამბობს განიხილოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის სხვა მექანიზმები, მიაჩნია რა ასეთი დისკუსია კავშირების თავისუფლების პრინციპზე თავდასხმად და ამ პოზიციას აცხადებს ერთ-ერთ «წითელ ხაზად» რუსეთთან ურთიერთობაში¹²⁰.

ქართული საექსპერტო საზოგადოებისთვის დამახასიათებელია ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს შესვლის პერსპექტივების აშკარა გადაჭარბება. თანაც არასწორად ფასდება როგორც შესვლის ალბათობა, მიუხედავად აშკარა დაბრკოლებებისა ნატოს წევრობის გზაზე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაურეგულირებელი სტატუსის გამო, ისე, გარანტიების ღირებულება, რაც შეიძლება საქართველომ მიიღოს ალიანსის წევრობით. პრაქტიკულად არ არის გაკეთებული პრობლემის მეორე მხარის ანალიზი: ნატოს წევრობის შემთხვევაში, საქართველო შეიძლება გახდეს დარტყმის მიზანი რუსულ სამხედრო დაგეგმარებაში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კი რუსეთის სამხედრო ყოფნა, დიდი ალბათობით, გაძლიერდება. ქართველი ექსპერტები არ აანალიზებენ არც იმ გარემოებას, რომ პრაქტიკული ნაბიჯები ნატოში შესასვლელად მოითხოვს სამხედრო-სტრატეგიულ (და ნებისმიერ სხვა, ეკონომიკურ და კულტურულ) თანამოქმედებას თურქეთთან, რაც არასასურველად ფასდება ქართული საზოგადოების შესამჩნევი ნაწილისთვის.

რუსეთსა და საქართველოში საგარეო-პოლიტიკურ უთანხმოებას ახლავს შიდა პოლიტიკური ასპექტიც, არცთუ უმნიშვნელო ორმხრივი ურთიერთობებისთვის. ქართველი კონსერვატორები, რომლებიც, პრინციპში, მიესალმებიან რუსულ-ქართულ დაახლოებას, მკაცრ პოზიციას იკავებენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემის მიმართ. ქართველი

¹²⁰ ზურაბ აბაშიძე: არ უნდა შევიქმნათ ისეთი განცდა, რომ რუსეთთან ყველაფერი მოვაგვარეთ და სადღესასწაულო უამი დადგა // «ტაბულა», პრილი, 2013. № 124. URL: <http://www.tabula.ge/ge/story/64774-zurab-abashidze-ar-unda-sheviquanat-iseti-gancka-rom-rusettan-kvelaferi-movagvaret-da>

ლიბერალები, აშშ-თან, ნატოსა და ევროკავშირთან დაახლოების მომხრეები, ერთგვარი გულგრილობით უყურებენ ამ ორ რესპუბლიკას და, იმავდროულად, ეწინააღმდეგებიან რუსეთთან დაახლოებას, თვლიან რა მას საფრთხედ თავისუფლებისა და ევროატლანტიკური არჩევნისთვის. რუსი კონსერვატორები არ ენდობიან საქართველოს, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას დიდ საგარეო-პოლიტიკურ მიღწევად მიიჩნევენ, თვლიან, რომ ეს არის სიმბოლო იმისა, რომ რუსეთს შეუძლია გაატაროს დამოუკიდებელი კურსი ისე, რომ არაფრად ჩააგდოს დასავლეთის აზრი. რუსი ლიბერალები სიმპათიით არიან განწყობილი საქართველოსადმი, მაგრამ ვერ ხედავენ მოსკოვის აქტიური პოლიტიკის პერსპექტივას ქართული მიმართულებით.

ამასთან, საქართველოს საშინაო-პოლიტიკური სიტუაციის საყურადღებო თავისებურება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გახდა თავისუფლების ხარისხის მნიშვნელოვანი გაფართოება იმ ჯგუფებისთვის, რომლებიც ორიენტირებული არიან რუსეთთან თანამშრომლობაზე საქართველოს ეროვნული ამოცანების გადასაჭრელად. ეს რამდენიმე ასპექტში ვლინდება. პირველ რიგში, ლიბერალური ისტებლიშმენტისთვის სულ უფრო რთული ხდება, შეინარჩუნოს ილუზია, რომ ნატოში ინტეგრაციის კურსი ერთსულოვნად მხარდაჭერილია ქვეყნის მოქალაქეთა მიერ. მეორე მხრივ, რუსეთთან თანამშრომლობისთვის განწყობილი ჯგუფები არ განიცდიან ზეწოლას ხელისუფლებისგან. სააკაშვილის გუნდის მიერ კონტროლირებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კვლავ აგრძელებენ რუსეთთან დაახლოებისკენ მიმართული ნებისმიერი ინიციატივის კრიტიკას, მაგრამ მნიშვნელოვნად შემცირდა იმ ექსპერტებისა და სამოქალაქო აქტივისტების დევნის რისკი, ვინც გამოდის რუსეთთან დაახლოების სასარგებლოდ.

ამ ჯგუფების სისუსტე განპირობებულია იმით, რომ არ გააჩნიათ ან სუსტად აქვთ განვითარებული პოლიტიკური გავლენის ინფრასტრუქტურა: პარტიიები, ექსპერტთა კლუბები, გავლენიანი კვლევითი ცენტრები, ძლიერი არასამთავრობო ორგანიზაციები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. მნიშვნელოვანწილად, ეს უკავშირდება იმას, რომ განსხვავებით ქართველი ლიბერალებისა და ატლანტისტებისგან, მათ არ შეუძლიათ, დასავლური ორგანიზაციების მხარდაჭერის იმედი იქონიონ, რუსეთს კი პოსტსაბჭოთა ქვეყნების სივრცეში არ გააჩნია სამოქალაქო ორგანიზაციების ინსტიტუტების ფინანსირების განვითარებული, მდგრადი და გამჭვირვალე სისტემა. მიუხედავად ამისა, რუსული თემის მნიშვნელობა ქართულ შიდა პოლიტიკურ კონტექსტში ხელს უწყობს საჯარო ინტერესის გაღვივებას ქართულ საზოგადოებაში იმ ჯგუფების შეხედულებებისადმი, რომლებიც ორიენტირებულები არიან მოსკოვთან თანამშრომლობაზე.

პრაქტიკულ სიმნელეს რუსულ-ქართულ დიალოგში ქმნის ის,რომ ქართული პოლიტიკური კლასი უაღრესად დამოკიდებულია დასავლეთევროპული და ამერიკული პოლიტიკური ფონდების დახმარებაზე. როგორც ჩანს, გარკვეული როლის შესრულებას, ასევე, იწყებს თურქული და აზერბაიჯანული დაფინანსება. ძნელია ივარაუდო, რომ ქართული პოლიტიკური კლასის წარმომადგენლები ამ ვითარების გათვალისწინებით მსჯელობენ. მაგრამ ქართული ეროვნული ეკონომიკის სისუსტის გამო, შეიძლება, დამკვირვებლებს სულ უფრო და უფრო გაუჭირდეთ გაერკვნენ, რამდენად განაპირობებს საქართველოს ეროვნული ინტერესების ფორმულირების პროცესს გარე ფაქტორები.

ხაზგასასმელია, რომ რუსულ-ქართულ კოლიზიაში არ არსებობს სივრცე რაიმენაირი გარიგებისთვის. მოსკოვი არ საჭიროებს დათმობებზე წასვლას, რომ საქართველომ უარი თქვას ნატოს წევრობაზე, რადგან ამ წევრობის პერსპექტივები ფრიად გაურკვეველია. საქართველოს არ შეუძლია, შეუქმნას რუსეთს ისეთიმასშტაბის სიმნელეები (ანშესთავაზოს რაიმეუპირატესობა), რომ აიძულოს ის, გადახედოს თავის გადაწყვეტილებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ (მიხეილ სააკაშვილის «ახალი ჩრდილოკავკასიური პოლიტიკის» გატარების გამოცდილებამ ეს დაადასტურა). აშშ და ნატო არ საჭიროებს დამატებითი რესურსებით უზრუნველყონ საქართველოს ინტერესები, რადგან ის ისედაც დაინტერესებულია მათთან მჭიდრო ალიანსში. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს არ შეიძლება არ ესმოდეთ, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში მათი ნორმალური განვითარება ფერხდება თბილისთან დაურეგულირებელი ურთიერთობების გამო, მაგრამ მიმდინარე მოვლენები არ აძლევს მათ იმის საშუალებას, რომ რაიმე სახით გამოხატონ ეს.

პრობლემაა ისიც, რომ მოსკოვს არ შეუძლია პოლიტიკური წინადადების ფორმულირება, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა, შეცვლილიყო შექმნილი და ყველასთვის მოუხერხებელი წონასწორობა. ეს არანაკლებ უკავშირდება იმას, რომ რუსეთს არ ჰყოფნის პოლიტიკური, ეკონომიკური, ინტელექტუალური, კულტურული რესურსების ერთობლიობა, რომ იქცეს ერთგვარ მიზიდულობის ცენტრად, მაგალითად, ევროკავშირის აღტერნატივად. ამავე დროს, მოსკოვს არც უმოქმედობა შეუძლია ამიერკავკასიაში იმის მოლოდინში, რომ მისი შიდა რესურსები გაიზრდება. ეს შეუძლებელია რეგიონის მნიშვნელობის გათვალისწინებით რუსეთის უსაფრთხოებისთვის.

დასამალი არ არის, რომ რუსეთ-საქართველოს შორის არსებული ფუნდამენტური უთანხმოების გადაჭრის კონკრეტული გზების შეთავაზება პროექტიორობის რისკს შეიცავს. მაგრამ

შესაძლებელია რამდენიმე ფართო თეზისის ფორმულირება, რომლებიც მიმართული იქნება ორივე ქვეყანაში უთანხმოების შესახებ დისკუსიების გასაღრმავებლად.

რუსეთმადადასტურათავისიარჩევანი, უარიეთქვასაფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს თავისი ტერიტორიის შემადგენლობაში მიღებაზე. უკანასკნელი დადასტურება ამისა არის ინიციატივები მათი ინტეგრაციისა საბაჟო კავშირში და სამხრეთ ოსეთთან რუსეთის საზღვრის დემარკაცია. ეს არჩევანი გასაგებია: 2008 წლის აგვისტოში მოსკოვს ჰქონდა მორალური და პოლიტიკური საფუძვლები მათი დამოუკიდებლობის აღიარებისთვის, მაგრამ არ იყო და არ არის მათი ანექსიის საფუძველი. ამას გარდა, რუსეთს თავისი ისტორიული გამოცდილებით არ სურს, წავიდეს ტერიტორიების შემატების ბიწიერი იმპერიული გზით.

ყოფილ იუგოსლავიაში ისეთივე კონფლიქტებთან შეჯახებისას, როგორსაც წააწყდა ყოფილი საქართველოს სსრ, დასავლეთმა არჩია ეცნო ყველა ჩამოშორებული ტერიტორიის დამოუკიდებლობა, ჩერნიგორიისა და კოსოვოს ჩათვლით. კოსოვოს დამოუკიდებლობის მიღების პროლოგად იქცა სამხედრო ოპერაცია, როცა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი ჩაერია იუგოსლავიის სამოქალაქო კონფლიქტში, რითაც უზრუნველყო კოსოვოელი ალბანელების ფაქტობრივი დამოუკიდებლობა და გზა გაუხსნა კოსოვოელი სერბების ეთნიკურ წმენდას. შედეგად, გაჩნდა ხედვა ყოფილი იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ნამსხვრევების დაახლოებისა მომავალში მათისაერთოევროპულინსტიტუტებში ინტეგრაციით. მოსკოვი ეწინააღმდეგება ასეთ ლოგიკას მთიან ყარაბახსა და დნესტრისპირეთში და ეჭვევეშ არ აყენებს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, აზერბაიჯანისა და მოლდოვის იურიდიულ მთლიანობას. ეწინააღმდეგებოდა ამას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართაც 2008 წლის 26 აგვისტომდე, როცა ნათელი გახდა, რომ საქართველო და მისი დასავლელი მოკავშირები უარს ამბობენ, მიიღონ და განიხილონ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთა უსაფრთხოების პრობლემის არსებობა. ხაზს ვუსვამთ, რომ საუბრობენ რა აღიარების შემდგომ შესაძლო რეინტეგრაციაზე უმაღლესი პოლიტიკური იურისდიქციის ეგიდით, რუსეთის წარმომადგენლები ახალს არაფერს იგონებენ, მხოლოდ ასახავენ ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულ სქემას, რომელიც უკვე მოქმედებს იუგოსლავიის ნანგრევებზე.

ძნელია უარყო ქართული პოლიტიკური კლასის მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ წამოყენებული და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ლოზუნგის «დავიბრუნოთ ხალხი და არა ტერიტორიები» გონივრულობა, მაგრამ მას არ ჰყოფნის კონკრეტიკა. თბილისს ჯერაც არ გაუსაჯაროებია აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით თავისი ახალი პოლიტიკა.

გასაგებია დიპლომატების ლოგიკა, რომლებიც ნებისმიერ კონტაქტს ორივე რესპუბლიკის წარმომადგენლებთან აფასებენ მხოლოდ იქიდან გამომდინარე, როგორ იმოქმედებს ის მათი სტატუსის შესახებ ქართული პოზიციის სიმტკიცეზე. სწორედ ეს ლოგიკა აძლევს საშუალებას ქართულ დიპლომატიას მხოლოდ აკრიტიკოს სტატუს-კვო, მაგრამ არ შეცვალოს ის. მოვიყვანთ მაგალითს: საქართველოს თანხმობა სოხუმის აეროპორტის გახსნაზე სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ჩარჩოში თითქმის შეარყევს თბილისის პოზიციას იმის შესახებ, რომ აფხაზეთი საქართველოს ტერიტორიის ნაწილია¹²¹. არადა, შეიძლებოდა ის გამხდარიყო კეთილი ნების მნიშვნელოვანი გამოვლინება, რომელიც ხელს შეუწყობდა «ადამიანების დაბრუნებას». კონკრეტიკა საკმარისი არ არის იმაშიც, თუ რის გაკეთებას აპირებს საქართველო აღიარების ჰიპოტეტური უარყოფისა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის «დეოკუპაციის» შემთხვევაში. ამგვარად, გაურკვეველია, აღიარების გამოხმობამ როგორ უნდა აიძულოს ორი რესპუბლიკა, ცნოს თავი თბილისის იურისდიქციის ქვეშ. უსაფრთხოების რა გარანტიები (გარდა მშვიდობიანი განზრახვების შესახებ ქართველი პოლიტიკოსების გამოთქმული განცხადებებისა, რომლებსაც არ ენდობიან სოხუმსა და ცხინვალში) რჩებათ მათ მოქალაქეებს? 2008 წლამდე თბილისი ისწრაფოდა შეეცვალა რუსი მშვიდობისმყოფელები ამერიკელებით ან ევროპელებით, იმ დროს, როცა არც ამერიკელები, არც ევროკავშირი, არც აფხაზები და არც ოსეთ პერსპექტივას დიდი ენთუზიაზმით არ უყურებდნენ. მიიღება თუ არა მხედველობაში ახლაც ასეთი რამ? შესაძლოა, თბილისში თვლიან, რომ «ხალხის და არა ტერიტორიების დაბრუნების» პოლიტიკა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებს აზრს შეაცვლევინებს და ისინი მიიღებენ გადაწყვეტილებას, ცნონ თავი თბილისის ხელისუფლების ქვეშ. მაგრამ როგორი პოლიტიკური ძალა დააფიქსირებს აფხაზებისა და ოსების ამ გადაწყვეტილებას? ამ ძალის უდავო ლეგიტიმურობაში ხომ დარწმუნებული უნდა იყვნენ ორივე რესპუბლიკის მოქალაქეებიც და საქართველოც. სახელმწიფო გადატრიალების სცენარები სოხუმსა და ცხინვალში საეჭვოა, რომ მშვიდობიანად მიიჩნეოდეს.

რაც შეეხება ნატოში ინტეგრაციის გეგმას, მისი შუალედური შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ საქართველო, ცდილობს რა, მიიღოს უსაფრთხოების გარანტიები ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისგან, ჯერჯერობით დარჩენილია ყოველგვარი რეგიონული უსაფრთხოების სისტემის გარეშე. მას იცავს მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, საკმაოდ მყიფე

¹²¹ ცნობილია ქართული მხარის მკაფრი პოზიცია, რომელიც კატეგორიულად ეწინააღმდეგება აეროპორტის მუშაობის განაცლებას მაშინ, როცა ის ვერ აკონტროლებს აფხაზეთის საპერი სივრცეს. მსგავსი კოლიზიები წარმოიქმნება სარკინიგზო თუ საავტომობილო ტრანზიტის აღდენის განხილვის დროსაც.

ორი პოსტსაბჭოთა ათწლეულის გამოცდილებით, და ასევე სუსტი საერთაშორისო ძალების ბალანსი.

მცირე საქმეთა პოლიტიკა

იმ პირობებში, როცა რუსეთს უმნელდება საქართველოსთვის ერთი დიდი პოლიტიკური წინადადების შეთავაზება, ლოგიკურია გაკეთდეს ბევრი მცირე.

რუსეთი ობიექტურად დაინტერესებულია საქართველოს ეკონომიკური გაძლიერებით და მასზე გავლით ქვეყნის პოლიტიკური სუვერენიტეტითაც. ამიტომ ორი ქვეყნის თანამშრომლობის დარგია სავაჭრო-ეკონომიკური. ეკონომიკური გარდაქმნა საქართველოში, მიმართული ეროვნული წარმოების განვითარებისკენ, პასუხობს რუსეთის ინტერესებს. ამასთან, თავისი ბუნებრივი უპირატესობების გამო, რუსეთი ვარაუდობს, შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი ქართულ ექსპორტში. წარმოების ზრდისკენ მიმართული რუსული ინვესტიციები და არა აქტივებისა და ფინანსური ნაკადების უბრალო კონტროლი, როგორც ეს ხდებოდა წინა წლებში, საბოლოო ჯამში შექმნიან საქართველოში ძლიერ ეკონომიკურ ჯგუფებს, დაინტერესებულებს ორმხრივი ურთიერთობის მოწესრიგებით.

სავაჭრო-ეკონომიკურ საკითხებში დიალოგის გააქტიურება ახალ დინამიკას შესძენს ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური დიალოგის არსებულ ფორმატს. საშუალოვადიან პერსპექტივაში ამ ფორმატის საფუძველზე შეიძლება, ორგანიზებული იყოს რუსულ-ქართული ეკონომიკური ფორუმი, რომლის მუშაობაში ჩაბმული იქნებიან როგორც ორი ქვეყნის სავაჭრო და მწარმოებელი წრეების, ისე, პროფილური უწყებების წარმომადგენლები. ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების არქონამ ხელი არ უნდა შეუშალოს მათ მონაწილეობას ფორუმში, რამდენადაც არსებობს პრეცედენტი მოლაპარაკებებისა ეკონომიკურ საკითხებზე 2008 წლის შემოდგომაზე, როცა განიხილებოდა ენგურჰესის მუშაობის რეჟიმი. ეკონომიკური ფორუმი შექმნის შესაძლებლობას, აღინუსხოს თანამშრომლობის გაფართოების წინაშე მდგარი დაბრკოლებები, დაისახოს მათი გადალახვის გზები და განახლდეს კონტაქტები რუსეთისა და საქართველოს მეწარმეთა შორის. დროის საშუალო მონაკვეთში ფორმატი შეიძლება გაფართოვდეს სავაჭრო წარმომადგენლების მოზიდვის ხარჯზე, ეკონომიკურმა ფორუმმა კი მუდმივად იფუნქციონიროს და, მონაწილეთა მზადყოფნის შემთხვევაში, ორმხრივი რეჟიმიდან გადავიდეს მრავალმხრივში, რეგიონულში, ამიერკავკასიის, თურქეთისა და ირანის სახელმწიფოთა წარმომადგენლების მონაწილეობით. ასეთი სამუშაოს ბუნებრივ გაგრძელებად შეიძლება იქცეს სტრუქტურების შექმნა რუსული ინვესტიციების

განსახორციელებლად საქართველოში – მაგალითად, ინვესტორთა მუდმივი საბჭოს დაარსება.

რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობის შესაძლებლობები ამოუწურავია. განხილვის საგნად შეიძლება იქცეს საბაჟო რეჟიმის შემსუბუქება რუსეთში მიმავალი ქართული ტვირთებისთვის და ახალი სატრანსპორტო კორიდორების განვითარება. დაღესტანში შენდება გზა მაღალმთიან ტლიარატინის რაიონში. ის შეიძლება გავიდეს აზერბაიჯანზე და სატრანზიტო გახდეს. გზის მონაკვეთი გადის რუსეთ-საქართველოს საზღვრის გასწვრივ და მცირე დანახარჯებით შეიძლება, აშენდეს ამ გზის საქართველოსკენ მიმავალი განშტოება. ეს შეამსუბუქებს სატრანსპორტო მიმოსვლას ორ ქვეყანას შორის, ხელს შეუწყობს დაღესტნის მაღალმთიანი რაიონების ეკონომიკურ განვითარებას და გააძლიერებს კავშირს ბართან. პოლიტიკურ ჭრილში ქართულ ექსპორტს რუსეთში აფერხებს ნდობის ნაკლებობა, რომ ქართული პროდუქციის ტექნიკური და სანიტარიული ნორმები გამჭვირვალედ და პროგნოზირებულად დარეგულირდება. მოკლე ხანში ასეთი გარანტიები შეიძლება შეიქმნას. უკანასკნელ თვეებში მოსკოვმა გააფართოვა ვიზების გაცემა საქართველოს მოქალაქეებზე. კერძოდ, ახლა ვიზის გაცემა განიხილება არა მხოლოდ ახლობლების, არამედ რუსეთში მყოფი ნებისმიერი ნათესავის მოწვევის საფუძველზე. სამწუხაროდ, საქართველოში ეს პოზიტიური ცვლილება ცოტა მოქალაქემ თუ შეამჩნია. მოკლევადიან პერიოდში საჭიროა უფრო გაჯერებული საინფორმაციო პოლიტიკა რუსეთის ოფიციალური წრეების მხრიდან, რუსულ-ქართული დიალოგის არსისა და შედეგების ახსნა, მათ შორის, ცვლილებების განმარტება ვიზების გაცემის პრაქტიკაში. შუალედურ პერსპექტივაში შეიძლება, განხორციელდეს ინიციატივა, გაიხსნას თბილისში საპასპორტო-სავიზო ცენტრი, მსგავსად ანალოგიური ცენტრებისა ევროკავშირსა და მოსკოვში, რაც შეამცირებდა უშუალო კონტაქტებს რუსეთის საკონსულოს თანამშრომლებსა და საქართველოს მოქალაქეებს შორის და გააჯანსაღებდა ატმოსფეროს, რომელიც შეიქმნა ვიზების გაცემის საკითხის ირგვლივ. მოსკოვსა და თბილისს შორის უფრო მგრძნობიარე სფეროებში (მაგალითად, სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ჩრდილო კავკასიაში) ურთიერთგაგების მისაღწევადუნდადადგეს საკითხის საქართველოს მოქალაქეთა თვის ტურისტული ვიზების შემოღებისა და სავიზო მოსაკრებლის შემცირებისა. ჯერ რუსეთის ინტერესების სექციიდან გამსვლელი ვიზების რაოდენობა შეზღუდულია, მათ შორის, თბილისში მოვალეობის შემსრულებელი დიპლომატების თვისაც. რუსულ-შვეიცარიული და ქართულ-შვეიცარიული «კეთილი ნების» მისიის შეთანხმებათა მიხედვით, დიპლომატიური პასპორტების რაოდენობა შეზღუდულია ათამდე, რაც არ აძლევს საშუალებას რუსული ინტერესების სექციას თბილისში,

დააკმაყოფილოს აუიოტაუური მოთხოვნა ვიზებზე. მართებულია აღინიშნოს, რომ რუსეთსა და თბილისს შორის დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობისას, შეთანხმების დადება უვიზო რეჟიმზე შეუძლებელია.

დიალოგი ჩრდილო კავკასიის სიტუაციის შესახებ შეიძლება, იმართებოდეს როგორც ექსპერტების, ისე, პოლიტიკოსების დონეზე. მოსკოვს ესაჭიროება, რომ მოკლე ვადაში ნათელი მოეფინოს, თუ როგორი პოლიტიკის გატარებას აპირებს საქართველოს ხელისუფლება რეგიონში და რამდენად არის მზად, ყურიმიუგდოს რუსეთის შეშფოთებას, რომელსაც ის გამოთქვამს ამ საკითხის გარშემო. შუალედურ პერსპექტივაში, ურთიერთგაგების მიღწევის შემთხვევაში, დიპლომატიური ურთიერთობების უქონლობა არ იქცევა დაბრკოლებად თანამშრომლობის არაფორმალური მექანიზმების ჩამოსაყალიბებლად ინფორმაციის გაცვლისთვის საერთო საზღვარსა და სხვა საკითხებზე, რომლებიც აინტერესებთ პროფილურ უწყებებს რუსეთსა და საქართველოში.

გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობებისა და პოლიტიკური დღის წესრიგის სიმცირის გამო, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახალხო დიპლომატიის მექანიზმებს. შეზღუდული სივრცის პირობებში მხარეების მანევრებში დიდ როლს ითამაშებს ნორმალიზაციის პროცესის საექსპერტო თანხლება, მიმართული თანამშრომლობის არასტანდარტული მოდელის ძიებისკენ დიპლომატიური ურთიერთობების არქონისას. მოკლევადიან პერიოდში მნიშვნელოვანია რუსეთში ქართველი სპეციალისტების ვიზიტების ორგანიზების მხარდაჭერა ამ სფეროში მომუშავე რუსული ორგანიზაციების მხრიდან (როსსოტრუდნიჩესტვო, ა. მ. გორჩაკოვის სახელობის სახალხო დიპლომატიის ფონდი, რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭო, საზოგადოებრივი პალატა). განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო, რომ ქართული საზოგადოება და ექსპერტთა წრეები გაეცნონ საქმის რეალურ მდგომარეობას რუსეთში. საშუალოვადიან პერსპექტივაში ეს პროგრამები უნდა შეიქმნას მყარ ინსტიტუციურ საფუძველზე, ასეთი კი არის თანამშრომლობა რუსულ და ქართულ უნივერსიტეტებს შორის, ორმხრივი საგანმანათლებლო პროგრამები, საგრანტო პროგრამები მკვლევართათვის და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის. მომავალში ასეთ სამუშაოში უნდა ჩაერთონ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, რაც ახალ იმპულსს შესძენს მათსა და თბილისს შორის დიალოგის დაწყებას.

ამგვარი ზომებით უახლოეს მომავალშივე გაუძლიერდებათ ურთიერთნდობა რუსულ და ქართულ საზოგადოებებს და გაიფართოებენ ცოდნას ერთმანეთის შესახებ. უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რომელიც «ვარდების რევოლუციის» შემდეგ, მრავალი წლის მანძილზე, მუდმივი ანტირუსული პროპაგანდის ობიექტი იყო.

ანტიქართული კამპანია რუსულ მასმედიაშიც გვხვდებოდა, თუმცა ის ასეთი ყოვლისმომცველი და ხანგრძლივი არ ყოფილა. ქართული საზოგადოება ძალიან დეზინფორმირებულია იმის თაობაზე, თუ რა ხდება რუსეთში¹²² და ეს ფაქტორი ართულებს ორმხრივ ურთიერთობას.

საშუალოვადიან პერიოდში მეტად სავარაუდოა, რომ საქართველოში ჩამოყალიბდება მდგრადი და ინტეგრირებული პოლიტიკური და ეკონომიკური ჯგუფები, რომლებიც არ იქნებიან წინასწარ ნეგატიურად განმსჭვალული რუსეთის მიმართ და დაინტერებული იქნებიან მასთან თანამშრომლობით. აუცილებელია, ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ასეთი ჯგუფები, პირველ რიგში, საქართველოს ეკონომიკური ინტერესების გარშემო უნდა ჩამოყალიბდეს და მხოლოდ შემდეგ მიეცეს მათ პოლიტიკური გამოხატულება.

საჯარო დიპლომატიის მექანიზმები არა მხოლოდ გააჩენს ურთიერთნდობას რუსულ და ქართულ საზოგადოებებს შორის, არამედ ორივე ქვეყანაში შექმნის ისეთი ხალხის კრიტიკულ მასას, რომელსაც შეეძლება პოლიტიკური სამუშაოს წარმოება ორმხრივი ურთიერთობის გასაუმჯობესებლად.

ჩრდილო კავკასიასთან ურთიერთობაში ქართული პოლიტიკის თაობაზე კითხვების მოხსნა განაპირობებს რუსულ-ქართული ურთიერთობის «დესეკურიტიზაციას» და საშუალოვადიან პერსპექტივაში გააჩენს რეგიონის განვითარების ახალ შესაძლებლობებს ტრანსსასაზღვრო ეკონომიკური თანამშრომლობის გააქტიურების, ორ ქვეყნას შორის ხალხის მიმოსვლასა და საქონლის მოძრაობაზე შეზღუდვების ეტაპობრივად მოხსნის გზით.

შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ გარკვეული «დესეკურიტიზაცია» მოხდება საქართველო-აფხაზეთსა და საქართველო-სამხრეთ ოსეთს შორის ურთიერთობებშიც. მათი მოქალაქეების ჩართვა მოსკოვ-თბილისის დიალოგის ფარგლებში არსებულ ჰუმანიტარულ თუ სხვა პროგრამებში განაპირობებს სიმძიმის ცენტრის შეცვლას ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ საკითხში: სტატუსისა და უსაფრთხოების ნაცვლად აქცენტი გადავა პრაქტიკულ თანამშრომლობაზე.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ: რუსეთს არ შეუძლია საქართველოსთან ურთიერთობაში პაუზის აღება. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ პაუზას სხვა მოთამაშეები შეავსებენ, რომელთაც საკუთარი ინტერესები აქვთ რეგიონში. ასე ძლიერდება საქართველოში თურქეთის ეკონომიკური ექსპანსია, მის კვალდაკვალ კი პოლიტიკურიც. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობის

¹²² ამას ხელს უწყობდა საქართველოს მოქალაქეებისთვის შემოღებული რუსული სავიზო რეჟიმი, რომელიც შემზღვდავი გახდა საქართველოში მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში.

გაუმჯობესებას ხელი იმან შეუწყო, რომ ამ ორ ისტორიულ მეტოქეს საერთო საზღვარი აღარ ჰქონდათ. კავკასიაში ასეთი საერთო საზღვრის ხელახლა გაჩენა, თუნდაც არაფორმალურად, ძნელად თუ ჩაითვლება ხელსაყრელ სცენარად. არ შეიძლება იმის გამორიცხვაც, რომ საქართველო კვლავ იყოს გამოყენებული «პოსტსაბჭოთა პლაცდარმად» რუსეთის წინააღმდეგ, როგორც ეს ხდებოდა ჯორჯ ბუშ-უმცროსის მეორე საპრეზიდენტო ვადის დროს. და ბოლოს, რუსეთის უმოქმედობის შემთხვევაში ყველაზე ცუდი სცენარია საქართველოს თანდათანობითი დასუსტება და დეპოპულაცია, რის შემდეგაც ქვეყანა დადგება რისკის წინაშე, გადაიქცეს სივრცედ, რომელსაც ყველა მოსურნე სახელმწიფო თუ სხვა მოთამაშე გამოიყენებს რუსეთის მოწყვლად სამხრეთ ნაწილში დესტაბილიზაციის გამოსაწვევად. ორი ქვეყნის დამოუკიდებლად არსებობის ორი ათწლეულის მანძილზე, საქართველო რუსეთისთვის რთული მეზობელი იყო, მაგრამ რთული მეზობლის ყოლა სჯობს მის საერთოდ არარსებობას.

რეკომენდაციები

უსაფრთხოების დარგში

ერთწლიან ვადაში:

- დაიწყოს დიალოგი რუსეთისა და საქართველოს პროფილურ უწყებებს შორის სოჭის ოლიმპიადაზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- შენარჩუნდეს კონსტრუქციული ურთიერთობები სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტურ ზონებში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების ფარგლებში;
- თავიდან იქნეს არიდებული ე.წ. «წითელ ხაზებთან» დაკავშირებულ საკითხებზე ისეთი მაპროვოცირებელი ნაბიჯები, რომლებმაც შეიძლება ავნოს რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის ნორმალიზებას.

სამ წლამდე ვადაში:

- შეიქმნას საერთო საზღვარზე არსებული სიტუაციის შესახებ ინფორმაციის გაცვლის სისტემა სოჭის ოლიმპიადაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფისას დაგროვილ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

ვაჭრობასა და ეკონომიკაში

ერთი წლის ვადაში:

- მოეწყოს რუსულ-ქართული ეკონომიკური ფორუმი, რომლის მუშაობაში ჩაერთვებიან ორი ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო წრეების და პროფილური უწყებების წარმომადგენლები;
- ხელი შეეწყოს რუსეთში ექსპორტირებულ ქართულ პროდუქციაზე ჩატარებული სანიტარიული და ტექნიკური ზედამხედველობის გამჭვირვალობას;

- შეიქმნას ტექნიკურ-ეკონომიკური საფუძველი რუსეთსა და საქართველოს შორის ძველი და ახალი სახმელეთო სატრანსპორტო გზების აშენება-რეკონსტრუქციისთვის.

სამი წლის ვადაში

- გაფართოვდეს რუსეთ-საქართველოს შორის არსებული დიალოგის ფორმატი კარასინი-აბაშიძის ხაზით და მასში ჩაერთონ ორი ქვეყნის სავაჭრო წარმომადგენლები;
- გადავიდეს რეგიონული ფორუმი მუდმივ რეჟიმში და მხარეების მრავალფეროვანი მასში ჩაერთონ ამიერკავკასიის ქვეყნების, თურქეთისა და ირანის წარმომადგენლები;
- შეიქმნას მუდმივმოქმედი სტრუქტურა, მაგალითად, რუსი ინვესტორების საბჭო, რომლის მიზანი იქნება რუსული ინვესტიციების მიმართვა საქართველოს წარმოებაში.

სავიზო საკითხებში

ერთ წლამდე ვადაში

- უკეთ ინფორმირდნენ საქართველოს მოქალაქეები რუსეთის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე ვიზების გაცემის გამარტივების შესახებ;
- დაწესდეს ტურისტული ვიზები რუსეთში საქართველოს მოქალაქეებისთვის.

სამ წლამდე ვადაში:

- გაიზარდოს დიპლომატების რიცხვი საკონსულოს იმ განყოფილებაში, რომელიც მუშაობს თბილისში რუსული ინტერესების განხრით;
- თბილისში გაიხსნას სავიზო ცენტრებისა რუსეთში;
- შემცირდეს სავიზო მოსაკრებელი საქართველოს მოქალაქეებისთვის.

ჰუმანიტარული თანამშრომლობის დარგში

ერთ წლამდე ვადაში:

- მხარდაჭერა გაეწიოს ექსპერტული დიალოგის და კულტურის გაზიარების არსებულ ფორმატებს, შეიქმნას ექსპერტული დიალოგისთვის საჭირო მუდმივმოქმედი მექანიზმები.

სამ წლამდე ვადაში:

- საფუძველი ჩაეყაროს რუსული და ქართული უნივერსიტეტების მუდმივ თანამშრომლობას;
- მკვლევრებისა და რუსული და ქართული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის დაწესდეს საგრანტო პროგრამები, რომელთა მიზანი იქნება ორივე ქვეყნის საზოგადოებას მეტად გააცნოს ერთმანეთი, მხარი დაუჭიროს საჯარო დიპლომატიას და კულტურების გაზიარებას;
- შეიქმნას პირობები, რომ რუსულ-ქართულ ექსპერტულ დიალოგში ჩაერთონ აფხაზეთი და ოსეთი.

ავტორების შესახებ

ივლიანე ხაინდრავა

რესპუბლიკური ინსტიტუტის (საქართველო, თბილისი) დირექტორი, სამხრეთ კავკასიური კვლევების პროგრამების ხელმძღვანელი. საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოციაციის თანადამფუძნებელი და გამგეობის წევრი, აგრეთვე კავკასიური ინსტიტუტის (ერევანი, სომხეთი) გამგეობის წევრი. ი. ხაინდრავას ანალიტიკური ნაშრომები, მიძღვნილი ეროვნული და რეგიონული უსაფრთხოების, კონფლიქტების მოგვარების, დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების საკითხებისადმი, რეგულარულად ქვეყნდება ქართულ და საზღვარგარეთულ ბეჭდურ თუ ელექტრონულ გამოცემებში. ორჯერ – 1992–1995 და 2004–2008 წლებში ი. ხაინდრავა არჩეული იყო საქართველოს პარლამენტის წევრად; 1993–1995 წლებში იყო სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი. საერთაშორისო მისის შემადგენლობაშია კვირდებოდა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს უკრაინაში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. 2002 წელს მიწვეული იყო მკვლევრად აშშ-ში, ვაშინგტონში, დემოკრატიის ეროვნულ ფონდში.

ანდრეი სუშენცოვი

რუსი პოლიტოლოგი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, ამერიკანისტი. დაიბადა 1983 წელს ორენბურგში. დაამთავრა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატი («აშშ-ის პოლიტიკური სტრატეგია საერთაშორისო კონფლიქტებში 2000-იან წლებში (ავღანეთისა და ერაყის მაგალითზე)», 2011).

2006 წლიდან – რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობათა მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტის (უნივ.) საერთაშორისო პრობლემების გამოყენებითი ანალიზის კათედრის უფროსი მასწავლებელი. 2007 წელს – ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის (აშშ) მიწვეული მკვლევარი, 2008 წელს – ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის (აშშ) მიწვეული მკვლევარი.

ავტორი მონოგრაფიისა «აშშ-ის მცირე ომები. აშშ-ის პოლიტიკური სტრატეგია ავღანეთისა და ერაყის კონფლიქტებში». მ.: ასპეკტ-პრესი, 2014. საერთაშორისო კვლევების ასოციაციის (აშშ) წევრი. რუსეთ-ამერიკის ურთიერთობების მომავალზე მომუშავე ჯგუფისა და რუსულ-ამერიკულ ურთიერთობებზე ახალგაზრდა ექსპერტებისთვის გამართული დარტმუტის დიალოგების მონაწილე.

ნიკოლაი სილაევი

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი (მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2003, «ჩრდილო კავკასია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში: ინტეგრაციის დემოგრაფიული, ეკონომიკური, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ასპექტები»). მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის კავკასიის პრობლემათა და რეგიონული უსაფრთხოების (2004 – დღემდე) ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. ჟურნალ «ექსპერტის» პოლიტიკის განყოფილების რედაქტორი. არაკომერციული პარტნიორობის «კავკასიური თანამშრომლობა» (2009 – დღემდე) დირექტორი.

სამეცნიერო ინტერესები: საერთაშორისო ურთიერთობები სამხრეთ კავკასიაში, სოციალურ-პოლიტიკური ტრანსფორმაციები ჩრდილო კავკასიაში, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში.

ნინო ქიზიყურაშვილი

საქართველო-რუსეთის დიალოგის ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის კონფლიქტების პრევენციისა და მშვიდობის მშენებლობის მიმართულების ხელმძღვანელი

რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭო
კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო
კვლევითი ცენტრი

Printed in Russia